მ ა ტ ი ა ნ ე

ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 26 მაისი, 2019 წ. 1-2 (27-28)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -
- ეროვნული აღორძინებისს"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი









მოგონება

სულო, გითხარი რომ არაო
იშალნენ წამწამთა ქოხები,
შენ ცისარტყელავ და მარაო,
ცად რომ დამიფინე ნოხები.
რად არ მოაპკურე ცვარები
გლოვიან უდაბნოს გველისას,
სულში კვლავ რად მიიპარები,
არ სცნობ უარებას სთველისას,
მაცდურო სიცოცხლევ, გამეცა,
გველო, ანგელოსურ თვალებით,
დღითაც შენ გიგონებ, ღამეცა,
მძულხარ და თან მევალალები!

სულო, დაიცა...

საით მიილტვი, სულო, დაიცა,
სულო მბორგავო, შესდექ!
ცხრა კართაგენი თუნდაც დაეცეს,
უნდა ელოდო შემდეგს.
სულო, გასდიე სალი კლდის არწივს,
ლაჟვარდში შვება იცან,
ვარსკვლავთა წალკოტს ოცნებით ასწვდი
და ეამბორე მიწას.
რა უკვდავების ქნარით გვიგალობ,
ეს რა სამკვიდრო გერგო,
ბოროტებასთან შეურიგალო
მარადისობის ნერგო.

31 მარტი - ზვიად გამსახურდია

„31 მარტი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია!
ეს არის დღე საყოველთაო რეფერენდუმისა, რომელიც ჩატარდა საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე და რაც გახდა საფუძველი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებისა.

ეს არის დღე, როდესაც საქართველოს ისტორიაში, ასევე, პირველად ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების არჩევნები.

და, ეს არის თარიღი, რომელიც დაემთხვა ზემოთჩამოთვლილი ამ უმნიშვნელოვანესი აქტების მთავარი იდეის მატარებლისა და განმახორციელებლის - საქართველოს ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელისა და ლიდერის, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს!

დიახ, წლევანდელი (2019) 31 მარტი აღსანიშნავია იმითაც, რომ დღეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს გმირს, სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს, პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანების „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ ხელმძღვანელს, პოლიტიკური ორგანიზაციების: „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებისა“ და „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების“ თავმჯდომარეს, ბატონ ზვიად გამსახურდიას საიუბილეო 80 წლისთავია.

ოფიციალური ცნობები ბატონი ზვიად გამსახურდიას შესახებ გვამცნობს, რომ იგი დაიბადა თბილისში, ქართველი მწერლის, აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას და მირანდა ფალავანდიშვილის ოჯახში. დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო სკოლა (1957) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისური ლიტერატურის სპეციალობით (1962). წლების მანძილზე მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დოცენტად. 1973 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1991 წელს — მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხები. 1972-1977 და 1983-1990 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1970-1977 წლებში საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. მას გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები (მათ შორის 4 მონოგრაფია) რუსთველოლოგიის, ქართული კულტურის ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიის, თეოლოგიის, ამერიკული პოეზიის ისტორიის საკითხებზე. გამოცემულია მისი ლექსებისა და იგავ-არაკების კრებულები, აგრეთვე, შექსპირის, ბოდლერის, გოგოლის და სხვათა თხზულებების მისეული თარგმანები.

1976 წელს გამსახურდიას და კოსტავას თაოსნობით თბილისში დაფუძნდა საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი. ჰელსინკის ჯგუფი აქტიურად გამოდიოდა ადამიანის უფლებების, უპირველეს ყოვლისა კი - ქართველების უფლებების, ქართული ენისა და კულტურის ძეგლების, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დასაცავად.

დისიდენტური საქმიანობისათვის ზვიად გამსახურდია საბჭოთა უშიშროების კომიტეტმა დააპატიმრა 1956 და 1977-1979 წლებში. 1977 წლის 1 აპრილს ზვიად გამსახურდია გარიცხეს საქართველოს მწერალთა კავშირიდან „ანტისაბჭოთა პროპაგანდისათვის“.

დღიდან გათავისუფლებისა (1979) ზვიად გამსახურდია სათავეში ჩაუდგა მოძრაობას პატიმრობიდან მერაბ კოსტავას დასახსნელად, რაც მოხერხდა 1987 წელს. გამსახურდია იყო მთავარი ორგანიზატორი 1987-1990 წლებში გამართული თითქმის ყველა ძირითადი მშვიდობიანი მასობრივი აქციისა, მათ შორის 1989 წლის აპრილის საპროტესტო აქციისა, რომელიც დასრულდა 9 აპრილს სისხლიანი დარბევით, რის შემდეგაც ზვიად გამსახურდია დააპატიმრეს, როგორც აქციის ორგანიზატორი. მერაბ კოსტავას დაღუპვის შემდგომ ზვიად გამსახურდია სათავეში ჩაუდგა „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოებას". ბატონმა ზვიად გამსახურდიამ შექმნა პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო". მისი მთავარი პოლიტიკური მიზანი იყო ჯერ დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება, შემდეგ კი - ამ რეფერენდუმზე დაყრდნობით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის მიღება.

პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" საარჩევნო ბლოკმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველ დემოკრატიულ და მრავალპარტიულ არჩევნებში. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე (1990 წლის 14 ნოემბერი) ზვიად გამსახურდია აირჩიეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. ამ მოვალეობას ის 1991 წლის მარტამდე ასრულებდა. აღნიშნული სესიის გადაწყვეტილებით ქვეყანას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა"; აღადგინეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სახელმწიფო ატრიბუტიკა (დროშა, გერბი და ჰიმნი).

ამასთან, დამოუკიდებლობის აღდგენამდე გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი. 1991 წლის მარტში უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად, რაც დადასტურებულ იქნა იმავე წლის 26 მაისის საყოველთაო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნებზე მისი გამარჯვებით.

1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმზე შეკითხვას „ხართ თუ არა თანახმა, რომ აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?" საქართველოს საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 98%-მა დადებითი პასუხი გასცა. 1991 წლის 9 აპრილს, რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრიდან დაიწყო და 1993 წლის ბოლომდე (ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებამდე გაგრძელდა სახელმწიფოებრივი-სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება.1993 წლის 31 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტი დაიღუპა ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში (ამ ფაქტზე 2004 წლიდან დღემდე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სახელმწიფო კომისიისა და პროკურატურის მიერ). 1994 წლის თებერვალში იგი გადაასვენეს გროზნოში, ხოლო 2007 წელს გადმოსვენებულ იქნა თბილისში და დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ბატონი ზვიად გამსახურდია არის მრავალი სამეცნიერო შრომის და ლიტარატურული თხუზულებების ავტორი.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ შექმნა დიდი ეროვნული ეპოქა უახლოეს ისტორიაში. ყველა ქვეყანას ჰყავდა და ჰყავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ლიდერი, მაგრამ ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის განსაკუთრებულობა იმაშია, იმითაა განსხვავებული და აღმატებული სხვებისაგან, რომ მან შექმნა უმძლავრესი მსოფლმხედველობა, ფილოსოფია, იდეოლოგია - ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგია!

ბატონი ზვიადის მოღვაწეობა დღესაც გრძელდება! იგი გრძელდება მის მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაციების: „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“, „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების“ და ამ ორგანიზაციათა მიერ დაფუძვნებული საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოსა" და რაც მთავარია, ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის იდეოლოგიით გაჟღენთილი მის ურიცხვ

თანამებრძოლთა მიერ. ამ ორგანიზაციებსა და მამულიშვილთა ლაშქარს კი, ბატონი ზვიადის გარდაცვალების შემდგომ, ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, რამდენადაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, მინისტრთა კაბინეტს, ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, მათ ხელმძღვანელ პირებსა და წარმომადგენლობას, ანუ, მთლიანობაში დევნილ კანონიერ ხელისუფლებას დღემდე არ გამოუცხადებია თვითლიკვიდაცია, არ დაუნიშნავს ახალი ლეგიტიმური არჩევნები და თავისი სამართალმემკვიდრეობა არ გადაუცია არცერთი მომდევნო ხელისუფლებისათვის, კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის ლეგალიზაცია და აღდგენა გარდამტეხ როლს შეასრულებს ქვეყანაში სამართლიანობისა და ამომრჩეველთა ღირსების აღდგენის, ზოგადად, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინების თვალსაზრისითაც. ქვეყნის არსებული კრიზისული მდგომარეობიდან გამოსახსნელად ერთადერთი გზაა – მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით, ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიით საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება".

31 მარტი იყო გამოძახილი იმ შორეული და დიადი „დიდგორის ომისა". 1991 წლის 31 მარტი სწორედ ისეთივე ისტორული მიშვნელობის დღეა, როგორც 1121 წლის 12 აგვისტო, რამეთუ ეს არის დღე, რომელმაც განსაზღვრა დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი, ხოლო ზვიად გამსახურდია ჩვენი ეპოქის, უპირველეს ყოვლისა, სულიერების აღმაშენებელია! ბედნიერებაა, გქონდეს თუნდაც მცირედი შეხება საქართველოს ისტორიაში ამ ერთერთ უდიდეს პიროვნებასთან. ეროვნული გმირი, ქვეყნის დამოუკიდებლობის მთავარი შემოქმედი, მეცნიერი, მწერალი, მაგალითი ზნეობრიობისა, გაუტეხლობისა, ჭეშმარიტი ქრისტიანობისა. აკი მის საფლავს ამშვენებს კიდევაც მისივე სიტყვები: „ქართველი ერის გზა ქრისტეს გზაა, გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა". სწორედ ასე იცხოვრა მან, სწორედ ეს გზა გაიარა და ჩვენმა სამშობლომაც ამ გზით უნდა იაროს. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ სამყაროს უბოროტესი ძალები უპირისპირდებიან ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, რაშიც ჩაბმულნი არიან როგორც გარე, ასევე შიდა ძალები. ეს ხდება როგორც აშკარად, ასევე ფარულად, შენიღბულად. სამწუხაროდ, პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებამ", რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებაში, რომლის არაერთმა წევრმა სიცოცხლე გაწირა სამშობლოს საკეთილდღეოდ და რომლის წევრებიც დღესაც ერთგულად დგანან ქვეყნის სამსახურში, მოქცეულია სრულ ვაკუმში, აბსოლუტურად იზოლირებულია, თითქოს ის საერთოდ არ არსებობს! და ეს ხდება მაშინ, როცა, ეს ორგანიზაცია დღესაც არის მთავარი შემადგენელი კანონიერი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა. დღესაც, ბატონ ზვიად გამსახურდიას და მისი ერთგული პოლიტიკური ორდანიზაციების, განსაკუთრებით „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" მიმართ კვლავ ღიაც და ფარული პოლიტიკური ომი მიმდინარეობს! ეს არის ფარული შეთქმულება, არაოფიციალური შეთანხმებაა, რაშიც მონაწილეობენ არათუ სახელმწიფო სტრუქტურები, არამედ მასმედიაც და ზოგჯერ, სამწუხაროდ, კანონიერი ხელისუფლების ზოგიერთი გადაგვარებული ყოფილი მომხრენიც, რომლებიც ავრცელებენ ხმებს, რომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი" დიდი ხანია აღარ არსებობს. არსებობს, ბატონებო, არსებობს! საქმესაც აკეთებს და იმედის თვალით შესცქერის მომავალს, როდესაც ეროვნული ძალები კვლავაც წარუძღვებიან წინ ერს და წარმმართველი ძალა კვლავაც „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" იქნება!

ბოლოს და ბოლოს, ბოლოს და ბოლოს, ყველა ნებდება, ყველა წყვეტს ბრძოლას.
ყველა ნებდება ბოლოს და ბოლოს, თითო-ოროლა დარჩება მხოლოდ,
ვინაც არ დათმობს მამულს და ენას, ვინც არ შეიცვლის აზრსა და რწმენას!
ვიღაც იარაღს აიღებს ხელში და დაასრულებს სიცოცხლეს ტყეში.
ვიღაც გიჟისას ჩაიცვამს სამოსს, რომ მამულისთვის ასე ეწამოს.
საყოველთაო სიმშვიდის მიღმა, ვიღაც ლოთისას მოირგებს ნიღაბს
და როგორც ადრე, ცრემლის არმჩენი დაელოდება მამული ჩვენი
მას, ვინც გაარღვევს მონობის წყვდიადს:
ახალ ილიას და ახალ ზვიადს!

26 მაისი - მერაბ კოსტავა

„მაშ, ისევ ქრისტიანული სარწმუნოებისაკენ მოვუწოდოთ ერთიან საქართველოს, თორემ უღმერთობის მესვეურებს, დიდი ილია რომ არ დაინდეს, არც საქართველოს ხელყოფაზე აუკანკალდებათ ხელი.“

მერაბ კოსტავა



26 მაისი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელო-ვანესი თარიღია!

ეს არის 1918 წელს, თბილისში, საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი დღე.

26 მაისი ასევე, ბატონ ზვიად გამსახურდიასთან ერთად საქართვე-ლოს გმირს, საქართველოს ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი სულის-ჩამდგმელისა და ლიდერის - ბატონ მერაბ კოსტავას დაბადების დღეა!

დიახ, წლევანდელი (2019) 26 მაისი აღსანიშნავია იმითაც, რომ დღეს, სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერსა და პოლიტიკური ორგანიზაცის - „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების“ თავმჯდომარეს, ბატონ მერაბ კოსტავას საიუბილეო 80 წლისთავია.

ოფიციალური ცნობები ბატონი მერაბ კოსტავას შესახებ გვამცნობს, რომ იგი დაიბადა თბილისში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. მისი მშობლები ოლღა დემურია და ვანო კოსტავა კულტურული და განათლებული ოჯახებიდან იყვნენ.

მერაბის აღზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მისმა ოჯახის წევრებმა: ბებიამისმა კატო ნუცუბიძემ და ცნობილმა ადამიანმა მერაბის ბაბუის ძმამ - იაკობ კოსტავამ, რომელიც რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი იყო და ასევე, ღიად გამოხატავდა ანტიკომუნისტურ განწყობას. იაკობის სახლში ხშირად იკრიბებოდნენ: კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი. იაკობის ხშირი სტუმარი იყო აგრეთვე მერაბიც, მერაბზე დიდი გავლენა იქონია იაკობმა, ისევე როგორც მერაბის მამის ძმამ გრიგოლმა. გრიგოლი ცნობილი მსახიობი და ყოფილი პოლიტპატიმარი იყო. იგი პირველად 1924 წლის აჯანყების დროს დააპატიმრეს, 1945 წელს კი დახვრეტა მიუსაჯეს, თუმცა მალევე განაჩენი შეუცვალეს 10 წლიანი პატიმრობით. 1955 წელს გრიგოლი სამშობლოში დაბრუნდა და გააგრძელა მსახიობობა, მას 90-მდე როლი აქვს განსახიერებული. 1965 წელს სახალხო არტისტის წოდებაც კი მიანიჭეს.

ასევე გადასახლებაში იყო მერაბის მამა, ვანო კოსტავაც, იგი 1964 წელს სამშობლოში დაბრუნებული ინსულტით გარდაიცვალა. დედა, ოლღა დემურია კი ჰიდროპროექტში დამპროექტებლად მუშაობდა 1967 წლამდე, იგი 2003 წელს გარდაიცვალა.

მერაბი ძირითადად ბებია-პაპასთან ვლადიმერ დემურიასთან და ლუბა გოგავასთან იზრდებოდა, ვლადიმერ დემურია ცნობილი მასწავლებელი იყო და ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებს პედაგოგიკასა და რუსულ ენას უკითხავდა. მერაბს და, ან ძმა არ ჰყოლია. 1946 წელს მერაბ კოსტავა შეიყვანეს თბილისის ვაჟთა პირველ სკოლაში (დღევანდელი თბილისის კლასიკური გიმნაზია). იგი მეტად ნიჭიერი და ბეჯითი მოწაფე იყო. ამ სკოლაში გაიცნეს ერთმანეთი ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ. აქვე გადაწყვიტეს, ებრძოლათ სამშობლოს თავისუფლებისათვის.

მეგობრების და მათი თანამოაზრეების ზნეობრივად ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ქართველმა კლასიკოსმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

მერაბ კოსტავა - მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა სწავლას იწყებს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ ათწლედში, რომელსაც ამთავრებს 1958 წელს და სწავლას აგრძელებს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მუშაობს მუსიკის მასწავლებლად. იყო ჟურნალის „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ რედაქტორი.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მერაბ კოსტავა ხშირად იყო რეპრესირებული, დაპატიმრებული, გადასახლებული. ბოლოს 1987 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან და ზვიად გამსახურდიასთან ერთად ისევ განაგრძო ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. 1989 წლის 13 ოქტომბერს იგი საეჭვო ვითარებაში დაიღუპა.

მერაბ კოსტავა წერდა ლექსებს, ფილოსოფიურ, თეატრალურ, ლიტერატურულ ესეებს. თარგმნიდა ცნობილი მწერლების ფილოსოფიურ ნაწარმოებებს. ლიტერატურული მოღვაწეობისათვის მინიჭებული აქვს ორი პრემია — დავით აღმაშენებლის და მწერალთა კავშირისა. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

წინა საუკუნეებში არაერთი თავდადებული მამულიშვილის მსგავსად, სამშობლოს თვითმყოფადობის დაცვის, თავისუფლებისა და სიყვარულისთვის ვრცელ რუსეთში დიდი ხნით გაციმბირებული და საქართველოში ღირსეულად დაბრუნებული, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული მერაბ კოსტავა სრულიად საქართველოსთვის უმძიმეს დღეებში, მისმა უდიდებულესობა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ქართველმა ერმა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს ეროვნულ გმირად შერაცხა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის და თავისუფლების მოპოვების აღმნიშვნელი უძვირფასესი თარიღი 1918 წლის 26 მაისი მთელი თავისი სიდიადით სიმბოლურად, შარავანდედად დაადგა თავზე ბორკილდადებულ ჩვენს დიდ მამულიშვილს = ბატონ მერაბ კოსტავას. ასე ისურვა უფალმა, ამადაც ინება მოვლინებოდა იგი, წუთისოფელს სწორედ ამ დღეს, რათა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებოდა იმპერიალისტურ „წითელ ურჩხულს“ გველეშაპის განსაგმირავად.

ახლო ნათესავების თქმით, მერაბი ყმაწვილობიდანვე უცნაური ბიჭის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რადგან იმ პერიოდში საბჭოთა სტანდარტებიდან სრულიად ამოვარდნილი იყო. იგი, გარეშემყოფების მიერ არანორმალურად შერაცხული, საქართველოს ქრისტიანულ ეკლესიაში დადის, ლოცულობს, სანთლებს ანთებს, სახლში არაერთი ხატი უკიდია, ქართული საგალობლების შესწავლას ეწაფება, ბევრს კითხულობს, ძირითადად ეკლესიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურას, განსაკუთრებით ღამის საათებში, სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე ფიქრობს. და, ალბათ, მაინც უმთავრესი: კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟს, ზვიადს, გიჟურად გადაეკიდაო. ცოტახანში, უკვე თავად დიდი კონსტანტინესგან მადლიერების გრძნობით მოისმენს და მიიღებს ღირებულ გაკვეთილებს და საჭირო რჩევა-დარიგებებს. მერაბის რელიგიური და ეროვნული ცნობიერების გაღვიძება და ყმაწვილის არასაბჭოური ცხოვრების წესი მათ იმთავითვე აფრთხობდათ საბჭოთა ათეისტური პროპაგანდით დაბანგულ ადამიანებს.

ქართველი ერის ისტორია სამშობლოს თავგანწირული სიყვარულის ისტორიაა, რომელსაც ქრისტიანული რწმენა ასაზრდოებდა. ქრისტიანობა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ჩვენი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების, ისტორიული ბედ-იღბლის, მისი ჭირ-ვარამის განმსაზღვრელი ფაქტორია. მერაბ კოსტავა მთელი არსებით ქრისტიანი კაცი იყო. იგი ძალიან ცოტას ითხოვდა ცხოვრებისგან. ყმაწვილკაცობიდან მოყოლებული, ყველაფრის მიუხედავად თამამად ამბობდა სიმართლეს.

ბოლომდე შეინარჩუნა გაუბზარავი მსოფლხედვა, გამბედაობა, ზომიერების გრძნობა, მოყვასის გაგებისა და მიტევების უზადო ნიჭი, სულის სიწმინდე და სიწრფელე. მერაბ კოსტავა ლმობიერი და სამართლიანი კაცი იყო, როგორც დიდი ძველბერძენი მოაზროვნე კაცი ამბობდა: „სამართლიანი კაცის ზნეობრივი თვისებები სავსებით ცვლიან კანონებს“. იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით ესწრაფოდა ჭეშმარიტების შეცნობას, ებრძოდა უსამართლობას და ამკვიდრებდა ამ ბრძნული აზრის უტყუარობას. რადგანაც სრულიად გააზრებული ჰქონდა, კანტიანური ჭვრეტით რომ ვთქვათ, „როცა სამართლიანობა ქრება, მაშინ აღარაფერი რჩება ისეთი, რომ ადამიანის სიცოცხლეს რაიმე ღირებულება მისცეს.“ სიმართლემ მისცა მას ყოველივე ამის უშრეტი ძალა. უკვე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღზევების ჟამს ქართველი ხალხი მას „ერის გაუტეხელ სინდისს“ უწოდებს.

ბატონი მერაბი მუდამჟამს „ყოველთა - ქართველთა“ ერთობის მომხრე გახლდათ, თავს არ გახვევდა საკუთარ თვალსაზრისს, მაგრამ იმთავითვე მისი თვალთახედვა უჩინრად გიპყრობდათ. მოკამათეში თითქმის არ ეძებდა მოწინააღმდეგეს. თუ ეროვნული გრძნობის გამოვლენას შენიშნავდა, არასოდეს მალავდა აღფრთოვანებას. თუ რაიმე მოეწონებოდა, დიდი სითბო ჩაუდგებოდა თვალებში. ციური ღიმილით გაშუქებული სახე ჰქონდა, მისი ეს გამოხედვა, უთუოდ, დაუვიწყარი დარჩება ყველასთვის. მეგობართა წრეში უკმაყოფილებას ხშირად დუმილით გამოხატავდა. ზოგჯერ მოულოდნელად ჩაფიქრდებოდა და ერთგვარი გულდაწყვეტით, მოჭრილად იცოდა თქმა: „აქ უფრო ძნელი ყოფილა, ძმაო, ცხოვრება, ვიდრე იქ ... მერჩივნა, ციხეში ვმჯდარიყავი, ვიდრე ის მენახა, რასაც ახლა ვხედავ!“ როგორი მძიმე უნდა ყოფილიყო მისთვის აქაურობა, რომ იქ, „კომუნისტური გულაგის“ „სიკვდილის ბანაკებში“ ყოფნა ერჩია. დღესაც ძნელია აქ ცხოვრება, მერაბ! ვერ დავიცავით ბოლომდე უდიდესი მონაპოვარი – ახლადშემდგარი ქართული სახელმწიფოს ლეგიტიმური საფუძვლები!

მომხდარი ეროვნული ტრაგედია პირდაპირი შედეგია საქართველოს უახლესი ისტორიის 1991-1993 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში განხორციელებული სამხედრო-კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალების და „სისხლიანი ზამთრის“ შემდგომ განვითარებული მოვლენებისა. ეს მოვლენები ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარედან შავბნელი ძალების მიერ იყო ინსპირირებული და იმპორტირებული ე. წ. „დემოკრატიული რევოლუციის“ ნიღაბქვეშ. შემსრულებლებად მოგვევლინენ, კანონონიერების და სამართლიანობის მოძულე ნეოკომუნისტური კლანების მიერ დაფინანსებული, უკანონო შეიარაღებული ბანდფორმირებები და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ ჩანერგილი აგენტურა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს რესპუბლიკა და მისი ლეგიტიმური ხელისუფლება დევნილობაში სადღეისოდ ფლობს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ყველა თვისებას, წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის იდენტურ და ორგანულად გამგრძელებელ სახელმწიფოს, სრულად პასუხობს საერთაშორისო სამართლსუბიექტობის უკლებლივ ყველა საერთაშორისო სტანდარტს და არ საჭიროებს დამატებით ლეგიტიმაციას.

ქართველი ერის ულმობელი ბედისწერის საკითხი ბატონ მერაბს ერთ-ერთ თავის ნააზრევში ამგვრად წარმოედგინა:

„ღმერთმა სიკეთე ნუ მოგვაკლოს, მაგრამ თუ მომავალში თავს გარდასახდენი ფათერაკი გარდუვალია, თუკი ისედაც ბინდისფერი სოფელი უფრო და უფრო დაგვიბინდდება, ნუმც მომხდარიყოს ის, რაც არაოდეს მომხდარა. დაე, განსაცდელთან მებრძოლებად დავრჩეთ მარად. უარესისთვის მზადყოფნა ხომ უკეთესის საწინდარია, ამიტომ მხიარულის გულით ამასაც ვიტყვით: უფალს ვინც უყვარს, განსაცდელსაც მას უმზადებს, ვინაიდან განსაცდელთა ემბაზში განბანილთა ჭვრეტაა მისი განცვიფრებისა და აღფრთოვანების უშრეტი წყარო.“

მერაბ კოსტავას სამშობლოზე უკეთ არასოდეს არ უცხოვრია.

მან ყველაფერი შესწირა სამშობლოს –- ახალგაზრდობა, პირადი ცხოვრება, ოჯახი, თვით შვილიც კი, და, ბოლოს, საკუთარი სიცოცხლე.

მან თავის „ქრისტესმიერ ძმასთან“ - ზვიადთან ერთად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განაახლა და გამოაღვიძა. მათი ღვაწლი განუსაზღვრელია, მათ შეუძლებელი შეძლეს!

31 მარტი - ზვიად გამსახურდია



ა/წ 31 მარტს, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ თაოსნობით გაიმართა ღონისძიება-შეკრება თემით - „31 მარტი - ზვიად გამსახურდია".

ღონისძიებაზე მოწვეული იყო მეტად საინტერესო სტუმრები და მასმედია!

31 მარტი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია!

ეს არის დღე საყოველთაო რეფერენდუმისა, რომელიც ჩატარდა საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე და რაც გახდა საფუძველი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიღებისა. ეს არის დღე, როდესაც საქართველოს ისტორიაში, ასევე, პირველად ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების არჩევნები, რაც უმნიშვნელოვანესია საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინებისა და აღმშენებლობის გზაზე.

31 მარტი - ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უდიდებულესი მოვლენის - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებული საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის დღეა.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე, მთელი ცივილიზირებული სამყაროს გასაგონად და საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სრული უმრავლესობის მხარდაჭერით, დემოკრატიულად არჩეულმა და მხარდაჭერილმა ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა ხელისუფლებამ 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ზვიად გამსახურდიამ ეს უმნიშვნელოვანესი და უზენაესი პოლიტიკური აქტი - დიდოსტატურად შეადუღაბა ერთის მხრივ, ამ უზენაესი ოცნებისკენ მიმავალ გზაზე დაცემულ მამულიშვილთა წმინდა სისხლითა და მეორეს მხრივ საქართველოს რესპუბლიკის თითოეული მოსახლის, განურჩევლად ეროვნებისა, რელიგიური მიკუთვნებისა, პოლიტიკური მრწამსისა, თუ სქესისა - მათი უზენაესი, მტკიცე ნების გამოხატვის დაკანონებით!

სწორედ ამ დღემ ჩაუყარა მტკიცე საფუძველი ჩვენი სამშობლოს - საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობას და მის მარადისობას თანამედროვე სამყაროში.

და, ეს არის თარიღი, რომელიც დაემთხვა ზემოთჩამოთვლილი ამ უმნიშვნელოვანესი აქტების მთავარი იდეის მატარებლისა და განმახორციელებლის - საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელისა და ლიდერის, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას დაბადებისდღეს!

დიახ, ა/წ 31 მარტი ამავდროულად, ბატონი ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან საიუბილეო 80 წლისთავის დღეა!

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“ ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს, ერსა და ბერს, ვისთვისაც სამშობლოს, მამულის და თანამემამულეთა ხვედრი, მათი აწყმო და მომავალი უზენაესი საფიქრალია ულოცავს ამ დიდებული დღის მადლსა და სიდიადეს!

გაუმარჯოს ერთიან, ზნეობრივად და სულიერად ძლიერ, დამოუკიდებელ, თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოს! გაუმარჯოს ზვიად გამსახურდიას!

დღე პირველი, დღე უკანასკნელი . . .

კავშირში მიმდინარე ძირეულმა რეფორმებმა - ხელმძღვანელ ორგანოთა გაახალგაზრდავებამ წარმატებით ჩაიარა და ამ პროცესებით კავშირმა მინიმუმ 15-20 წლით გაიხანგრძლივა თავისი მოღვაწეობა!

გზადალოცვილი ყოფილიყოს კავშირის მომავალი ახალგაზრდული შემადგენლობა!

ზურაბ გურული

ქართულ-ამერიკული სამედიცინო ასოციაციის პრეზიდენტი
მისისიპის უნივერსიტეტის პროფესორი
ექიმი

მიმართვა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ორგანიზებით ჩატარებული ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიების მონაწილეებს

მოგესალმებით!

მოხარული ვარ რომ პატივი მხვდა მოკლე მიმართვა ჩამეწერა დიდი ქართველი პატრიოტის, მოაზროვნისა და პოლიტიკოსის, ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ზვიად გამსახურდიას უამრავი განსხვავებული ეპითეტით მოიხსენიებს დღევანდელი ქართული საზოგადოება. ეს ეპითეტები არა მარტო მრავალფეროვნებითგამოირჩევა, არამედ წინააღმდეგობრიობითაც. ერთი ეპითეტი კი უნივერსალურია და მას უკამათოდ და უპირობოდ აღიარებს ყველა. ზვიად გამსახურდია იყო დიდი ქართველი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე. მიუხედავად იმისა, რომ მისი დაღუპვიდან მხოლოდ 26 წელი გავიდა და ჩვენი თაობა მოესწრო მისი მოღვაწეობის ყველა დრამატულ პერიპეტიას, მიანც არ გაგვაჩნია საქართველოს ისტორიის ამ ეტაპის ობიექტური და სრულყოფილი აღწერა. ერთი მხრივ ეს ბუნებრივიცაა, რადგან უახლეს ისტორიას ცოცხლად დარჩენილები წერენ, შესაბამისი ინტერპრეტაციით და მხოლოდ მათი სიკვდილის შემდეგ ხდება შესაძლებელი ფაქტების ობიექტურად აღქმა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ეროვნული მოძრაობის აღორძინება დაკავშირებული იყო უპირველეს ყოვლისა დიდ საგანმანათლებლო მუშაობასთან. რატომღაც გამსახურდიას პიროვნების შეფასებისას ივიწყებენ ამ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს.

ჯორჯ ორველის შესანიშნავ რომანში „1984", ბრწყინვალედ არის ახსნილი ადამიანთა საზოგადოების დეგრადაციის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, ისტორიის ახლებურად გადაწერა. თუ გავიაზრებთ, სწორედ ეს ფაქტორი არის ზომბირებული მასის ჩამოყალიბების უპირობო საფუძველი და მასიურ ფიზიკურ ხელოვნურ გადარჩევასთან ერთად, სწორედ ეს გამოიყენეს ბოლშევიკებმა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეთა საზოგადოების შესაქმნელად. საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტები, რომლებიც იარაღით იბრძოდნენ მის დასაცავად, მოინათლნენ ბანდიტებად, ხოლო ჭეშმარიტი ბანდიტები და სადისტები კი გმირებად. ასე აყირავდა ისტორია და ასე აყირავდა ქართული ცნობიერებაც.

„1984"-ის მთავარი გმირი უინსტონ სმიტიც არ შეეგუა სისტემას, დამოუკიდებლად დააპირა აზროვნება. ამისათვის ის აწამეს, მისი უსაყვარლესი ადამიანის დაბეზღება აიძულეს და ბოლოს, უსუასტიკესი წამებით დამუშავებული მორჩილ ზომბად აქციეს. ასე ტრაგიკულ-ლოგიკურად სრულდება ორველის ეს შესანიშნავი რომანი. ინტელექტუალს, რომელსაც გააზრებული ჰქონდა თუ რა მასშტაბის სისტემას უპირისპირდებოდა საბჭოთა იდეოლოგიური მანქანის სახით, პრინციპში ლოგიკური იმედიც არ უნდა ჰქონოდა გამარჯვების. აკი თავად ორველმაც ვერ იპოვა ლოგიკური ძალა თავისი გმირის ისტორიის ოპტიმისტურ ტონზე დასასრულებლად.

ზვიად გამსახურდიამ ეს შეძლო და ამით აჯობა ყველა ლოგიკურ გათვლას, რომელმაც არაერთი ინტელექტუალი აიძულა, რომ მორჩილი კონფორმისტი გამხდარიყო და მონსტრულ სისტემასთან დაპირისპირებისათვის თავი აერიდებინა.

ეროვნული მოძრაობის დასაწყისი სწორედ საქართველოს ისტორიის გადაწერით დაიწყო. მახსოვს ჩემი თაობის ახალგაზრდების გაკვირვებული სახეები, როდესაც პირველად იხილეს შავ ჩოხაში გამოწყობილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტი. საბჭოთა იდეოლოგიური მანქანისათვის ყველაზე საშიში სწორედ ეს ფაქტორი იყო, მაგრამ ახლაგაზრდა თაობის გაღვიძებული ცნობისმოყვარეობის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

„ - ზვიად გამსახურდია მაგარი პატრიოტი, მაგრამ სუსტი პრეზიდენტი იყო“ - ხშირად გაიგონებთ დღეს ამ აბსურდულ განცხადებას. არადა, ამას ამბობენ პიროვნებაზე, რომელმაც უახლესი საქართველოს ისტორიაში პირველმა და ერთადერთმა შექმნა ქართული სახელმწიფოს განვითარების ყველაზე ოპტიმალური და რეალისტური დოქტრინა. გეგმა, რომლის მიხედვითაც საქართველო გახდებოდა მსოფლიოს ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზაჯვარედინის და რეგიონის ლიდერი ქვეყანა და რომელიც სრულად გამოიყენებდა საკუთარი მეზობლების პოლიტიკურ და ფიზიკურ პოტენციალს მძლავრი რეგიონალური კოალიციის შესაქმნელად. ეს კოალიცია, ე. წ. „კავკასიის სახლი" გახდებოდა რუსული იმპერიალიზმის საპირწონე ძალა ევროპისა და აზიის საზღვარზე და უპირველესი მოკავშირე დასავლური ცივილიზაციისა, სადაც საოცარი ტოლერანტობით და ჰარმონიულობით იქნებოდა მსოფლიოს ორი უმძლავრესი რელიგია, ქრისტიანობა და ისლამი ერთმანეთთან შერწყმული. ცხადია, ამ იდეის თუნდაც ჰიპოთეზის დონეზე არსებობა უკვე წარმოადგენდა მომაკვდინებელ საფრთხეს რუსული იმპერიალისტური იდეოლოგიისათვის და მათ შესაბამისი ზომებიც მიიღეს მის გასანეიტრალებლად. ზვიად გამსახურდიამ შესაშური პოლიტიკური გამჭრიახობით ამოარჩია ქართული საზოგადოების ის სექტორები, რომელიც რუსული იდეოლოგიური დივერსიისა და ზომბირების მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა: ფსევდო-რელიგიით აღტყინებულნი და ფსევდო-პატრიოტიზმით მოწამლულნი. სხვათაშორის, ქართული სახელმწიფოებრიობის დღევანდელი ფიასკოც იმით არის გაპირობებული, რომ ზემოაღნიშნული სექტორები ოკუპირებულია ერთი მხრივ კგბ-ფსბ-ს მიერ შექმნილი ფსევდო-ნაციონალიზმით და მეორეს მხრივ კი დემონიზებულია ფსევდოდასავლური ფსევდოლიბერალიზმით.

შესაბამისად, რუსული დაზვერვის იდეოლოგიურ სამსახურებს დიდი ძალისხმევა არ სჭირდებათ საქართველოში როგორც ჯანსაღი ნაციონალიზმ-კონსერვატიზმის, ასევე ზომიერი დასავლური ლიბერალიზმის დასამარცხებლად.

ზვიად გამსახურდია ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი პრეზიდენტია, რომელმაც მოახერხა რუსეთის პრეზიდენტის საქართველოში ჩამოყვანა და საქართველოსათვის სასარგებლო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. მან შესაშური გამჭრიახობით მოაგვარა კრიზისული სიტუაცია საქართველოსათვის ყველაზე მოწყვლად, აფხაზეთის რეგიონში და თავიდან აიცილა შეიარაღებული დაპირისპირება.

რაც შეეხება ეკონომიკურ პოლიტიკას, უაღრესად მართებული გადაწყვეტილება იყო პრივატიზაციის ეტაპობრივი დაწყება, რათა სახელმწიფო ქონება ხელში არ ჩავარდნოდათ მახინჯი საბჭოთა სისტემის მიერ შექმნილ პარაკრიმინალურ საქმოსნებს.

სამწუხაროდ, დღევანდელი ფორმატი არ იძლევა ამ დიდი პატრიოტისა და პოლიტიკოსის ქართული სახელმწიფოებრივი დოქტრინის სრულყოფილი ანალიზის საშუალებას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გააფთრებას და ძალისხმევას, რომელიც რუსულმა იმპერიალისტურმა მანქანამ მის წინააღმდეგ გამოიყენა, ადვილად მივხვდებით, თუ რა მასშტაბის საფრთხეს წარმოადგენდა ეს დიდი ქართველი მათთვის და რა მასშტაბის პოლიტიკოსი დაკარგა საქართველომ.

მე მინდა მივულოცო საქართველოს თავისი ეროვნული გმირის დაბადების დღე. ვუსურვო მასაც და ყველა ქართველ პატრიოტს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და იმ პოლიტიკური დოქტრინის გამარჯვება, რომელიც ამ დიდებულმა მოაზროვნემ ბრწყინვალედ გაიაზრა და ჩაიფიქრა.

ვახტანგ ბახტაძე
ჟურნალისტი, პუბლიცისტი

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცის ზვიად გამსახურდიას
პრეს-სპიკერი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი

„ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეისათვის...“ (ზვიად გამსახურდია)
(ზვიად გამსახურდიას 80 წლისთავის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა)

„ღვთისა და მამულისათვის თავგანწირვა დღეს ერთადერთი გზაა გადარჩენისა.“
„ყველაფერი შეიძლება წაართვა პიროვნებას, ერს,
მაგრამ ვერავინ შეძლებს თავისუფლების შეგრძნება წაართვა მას.“
„რარიგ ვეუცხოვე სამყაროს ცივ დენას, ნეიტარი წავიღე და შხამიც იმდენი...“

ზვიად გამსახურდია

ქალბატონებო და ბატონებო!

ძვირფასო სტუმრებო!

გულითადად მოგესალმებით. მსურს ყველას მოგილოცოთ მთელი საქართველოსთვის, ისე როგორც სრულიად კავკასიისთვის, ესოდენ ძვირფასი დღე!

ძალიან ბევრ საინტერესო ადამიანების სახეებს ვხედავ დღევანდელ შეხვედრაზე. მერწმუნეთ, მე ეს ფრიად მახარებს და უკეთესი მერმისის იმედს მისახავს, დღევანდელი ავი დროების, ყოველდღიური საარსებო ლუკმა-ჰურისთვის გადებული ადამიანებით, ქანც-გაწყვეტილ ყოფა-ცხოვრებით აღსავსე საქართველოში.

ასეთ საქართველოზე არ უოცნებიათ და არც ბრძოლით დაუმკვიდრებიათ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას.

ახლა, ალბათ, ამ წუთებში აღელვებული განწყობილება მალაპარაკებს. მაგრამ მე მაინც ტატო ბარათაშვილს მოვუხმობ, „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება.“

მამულიშვილნო, ძმანო და დანო!

დიდება მაღალ ღმერთს სიცოცხლისათვის, ივერიაში, ქართველური მოდგმის მიწა-წყალზე გაჩენისათვის. ამდენი სახელოვანი გმირი წინაპრებისათვის, „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა?..“ მუდამ გვიკვალავენ ამ მუხთალი წუთისოფლის გზას ჩვენი დიდი წინაპრების, საერო და სასულიერო მოღვაწეების უკვდავი სიტყვანი, მათი ღირსეული საქმენი. ისინი გაუმქრალ კელაპტრებად ანთიან. სწორედ ასეთი კაცნი ჰყავდა მხედველობაში ერთ ქადაგს, როდესაც, ჩემი ყმაწვილკაცობის დროს მთაში ყოფნისას, მითხრა: ვიწროკლდიან, ეკლიან, სიბნელიდან სინათლისაკენ მიმავალ გზაზე უნდა აღმოვაჩინოთ ის დვრიტა, სამშვიდობოზე გასასვლელი ერთადერთი ბილიკი, რომელსაც ღვთის ჭეშმარიტი ბილიკი ჰქვიაო.

დღესაც სუფთა ჰაერივით გვესაჭიროება მათი სწავლა-დარიგებანი და საგულისხმო შეგონებანი. ღმერთმა მოგვცეს ძალ-ღონე, კეთილგონიერება და გულისხმიერება, რათა ჩვენის მხრივ, დღევანდელმა ქართველობამ საქმით აღვასრულოთ ის, რაც მათ არა მხოლოდ სიტყვით გვითხრეს. რათა არ ჩატყდეს ცხოველმყოფელი ხიდი და დღევანდელი ქართველობა უნაყოფო, საცეცხლედ გამზადებულ ხეს არ დავემსგავსოთ.

საქართველოსთვის ესოდენ მნიშვნელოვან დღეს, მინდა შევეხო მარტში, აპრილში, მაისსა და ოქტომბერში მოახლოებულ მთელი ქართველი ერისთვის საგულისხმო თარიღებს: ქართველ ხალხს ფრიად უმნიშვნელოვანესი დღეები გველის, როგორც ინდივიდუალური, ისე საერთო- სახალხო სახელმწიფოებრივი.

წელს, 31 მარტს და 26 მაისს ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას საიუბილეო 80 წელი უსრულდებათ.

დღეს, 31 მარტს, 28 წელი სრულდება საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარებული პირველი კანონიერი ადგილობრივი, თვითმმართველობითი ორგანოების არჩევნებიდან.

წელს, 26 მაისს, 28 წელი სრულდება საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარებული პირველი კანონიერი საერთო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნებიდან.

წელს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის (რესპუბლიკის) აღდგენის (1918-1919 წწ) 100 წლისთავია.

წელს, სულ მალე რამდენიმე დღეში 1989 წლის 9 აპრილიდან 30 წელი სრულდება თბილისში, გამთენიისას რუსთაველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინ გამართული მშვიდობიანი, არაძალადობრივი, სანთლებით ხელში მრავალათასიანი მიტინგიდან, როდესაც სსრ კავშირიდან საქართველოს გასვლისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნას, საბჭოთა ხელისუფლებამ, სამართლებრივი არგუმენტების უქონლობის გამო შიშველი ძალა დაუპირისპირა - საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მონაწილეობით, ტანკებით, ორლესული ნიჩბებით და მომწამლავი გაზების გამოყენებით სისხლში ჩაახშო საპროტესტო პოლიტიკური აქცია, რასაც მრავალი ადამიანის (აქედან უმეტესად მანდილოსნების) მსხვერპლი მოჰყვა.

... და მაინც მინდა დღევანდელ დღეს გავიხსენო ის, რაც ყველამ კარგად ვუწყით: 1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკაში გამართული საერთო-სახალხო რეფერენდუმით საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. საყოველთაო რეფერენდუმის შედეგი გახდა დამატებითი სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძველი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებისა, რითაც მთელ მსოფლიოს ეცნობა ქართველი ერისა და მთლიანად საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ერთსულოვანი ნება.

31 მარტის საერთო-სახალხო რეფერენდუმმა არა მხოლოდ დეკლარაციით, როგორც ეს ჩვენმა მაშინდელმა საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურმა ელიტამ გააკეთეს 1918 წელს, არამედ უშუალოდ ხალხის მიერ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით რეფერენდუმით გადაწყვიტა. რეფერენდუმს განსაკუთრებული იურიდიული ძალა ენიჭებოდა (რაც საერთაშორისო სამართლის ნორმის ყველაზე მაღალ სტანდარტს წარმოადგენს), მისი გაუთვალისწინებლობა ხალხის ნების საწინააღმდეგოდ აღიქმებოდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს მყარი საფუძველი შეუქმნა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ეფუძნება ქართველი ხალხის ურყევ ნებას, რომელიც იურიდიულად1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით დადასტურდა. იგი უსათუოდ ისტორიული სამართლიანობის აღდგენას ნიშნავს, მეტადრე იმ ერისათვის, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციები აქვს.

საქართველომ საბჭოთა რუსეთის აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის (1921 წ.) შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა რეფერენდუმის საფუძველზე, რომელიც 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, საარჩევნო უფლების მქონე მოსახლეობის, მათ შორის ამ რეგიონებში მცხოვრებთა უმრავლესობამ, რეფერენდუმში მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, ამის საფუძველზე და შედეგად, საქართველოს რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიიღეს იმ საზღვრებში იმ ტერიტორიული მდგომარეობით, რომელიც მას გააჩნდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისას, ე. ი. აფხაზეთისა და ყოფილი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიების ჩათვლით.

მალე 30 წელი შესრულდება იმ დღიდან, რაც ქართველმა ერმა ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, მისი გონივრული პოლიტიკური ნაბიჯებით და უნაკლო სამართლებრივი მოქმედებებით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა არა მხოლოდ საბჭოთა იმპერიის დაშლის, არამედ ისე, როგორი სახითაც ეს მათ (კრემლის რეტროგრადებმა თავიანთი ქართველი „ნამესტნიკების“ ადგილებზე დასმით: იმპორტირებული პუტჩით და დე-ფაქტო და დე-იურე ხელისუფლების დამხობით, ძალადური მიტაცებით და შემდგომში მითვისებით, სახელმწიფო საქართველოს რესპუბლიკის იავარქმნით მოახდინეს) საქართველოსათვის არასამართლებრივად მოახდინეს (ზემოდან „ახალი სახელმწიფოს“ კონვენციის მოშველიებით; სახელმწიფოებრიობის არმქონე ყოფილი შუა აზიის რესპუბლიკების მსგავსად), არამედ ისე, როგორც ეს ჭეშმარიტად შეესაბამებოდა სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა დროს დროს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენისათვის მებრძოლ ერს, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი უკომპრომისო ბრძოლისა და, კვლავ გავიმეორებ, საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული საყოველთაო რეფერენდუმის შედეგად. საბჭოთა იმპერიასთან ამ დაუღალავი, უთანასწორო ბძოლის სწორუპოვარი ლიდერები, მათი თავკაცნი კი მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია იყვნენ. საბჭოთა იმპერიის, როგორც გეოპოლიტიკური ერთეულის დაშლის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, მისი ავანგარდი, სწორედ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო, რა თქმა უნდა, მისი უდიდებულესობა ქართველ ხალხთან ერთად.

ეს ორი უმნიშვნელოვანესი თარიღია 1991 წლის 31 მარტი და 9 აპრილი (ისე, როგორც 1990 წლის 28 ოქტომბერს ყოფილ საბჭოთა სივრცეში ჩატარებული პირველი კანონიერი მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების დღე, და, ასევე, 1991 წლის 26 მაისი, საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარებული პირველი, კანონიერი, საერთო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნების დღე), ეს თარიღები იმ დღიდან უკვე ოქროს ასოებით შევიდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის ისტორიაში. მეგობრებო, რა დაგვავიწყებს იმას, რაც ყველას კარგად გვახსოვს, - 1991 წლის 31 მარტს და 9 აპრილს როგორ გულანთებული ვულოცავდით ერთმანეთს საქართველოს მკვდრეთით აღდგომას! ჩვენი მამულის მარადიულ სიცოცხლესა და გამარჯვებას!

ძველი ქართელები ამბობდნენ - „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“!

ამ ხმის ძლიერებას ვერ შეასუსტებს ვერავითარი სხვა ხმა ეშმაკეული!

1992 წელს ქ. გროზნოში (ჩეჩნეთის რესპუბლიკა - იჩქერია) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი დევნილობაში ზვიად გამსახურდია გერმანელ ანტროსოფოსებთან საუბრისას, (რომელიც გერმანულმა ჟურნალმა „დი დრაი“-მ 1993 წელს დაბეჭდა), იტყვის: „მე დავინახე, რომ ჩემს სამშობლოს განადგურება, ბოროტება ემუქრებოდა, საბჭოთა სისტემა, რომელშიც დავიბადე, კაცობრიობისათვის საფრთხეს წარმოდგენდა. მე არ შემეძლო, მშვიდად მეცქირა იმისათვის, რასაც საბჭოთა იმპერია უკეთებდა ჩემს სამშობლოს, ჩემს მოძმეებს. ჩემი ქრისტესმიერი მოვალეობა იყო, დამეცვა ქართული კულტურა, რელიგია, სამშობლო...“

ზვიად გამსახურდია, გამორჩეული ქართველი ინტელექტუალი, კულტურტრეგერი და საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური პრეზიდენტი, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ის იყო დიდი ისტორიული პიროვნება, დიდი შემოქმედიც და დიდი პოლიტიკური ინტუიციის მქონე.

მეგობრებო, ყოველგვარი ყალბი მოკრძალების გარეშე მინდა ვთქვა, ზვიადი და მერაბი იყვნენ მსოფლიო თანამედროვეობის კეთილი მოციქულები, ბნელეთის ძალებთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული კაცნი, ეროვნული სულის გამომაცოცხლებელი ჭეშმარიტი რაინდები.

უდაოა, მათ, ორივემ, მთელი ისტორიული ეპოქა შექმნეს.

ახლა ორიოდე სიტყვა ვთქვა ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ურთიერთობაზე. ჩემს ახალ წიგნში მერაბ კოსტავაზე, რომელიც მალე გამოვა სათაურით „სიკვდილი... ზოგჯერ გვირგვინია“ ვწერ: „1939 წლის 26 მაისს მოევლინა მერაბ კოსტავა ქვეყნიერებას, საქართველოს დამოუკიდებლობის

აღდგენის უძვირფასესი თარიღი 1918 წლის 26 მაისი მთელი თავისი სიდიადით, სიმბოლურად შარავანდედად დაადგა თავზე ჩვენს დიდ მამულიშვილს.

ასე ინება უფალმა, და მჯერა ასე ისურვა თავად მერაბმაც, მოვლინებოდა ამა წუთისოფელს სწორედ ამ დღეს! (საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაბადების დღეს), რათა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებოდა იმპერიალისტურ „წითელ ურჩხულს“, მითოსურ პლანეტარულ გელეშაპს მის განსაგმირავად.

აქვე მსურს გავიხსენოთ, მერაბის ძმადნაფიცი ზვიად გამსახურდიას მიერ სამგლოვიარო მიტინგზე წარმოთქმული სიტყვები (1989.21.10): „მერაბ, შენ რეფერენდუმი არ გჭირდება, დღეს მთელმა საქართველომ გაღიარა შენ დამოუკიდებელი საქართველოს რაინდად, საქართველოს ეროვნულ გმირად!..“

მერაბ კოსტავას დაღუპვით საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უმძიმესი დარტყმა მიიღო. მეგობრის გამოსათხოვარ სიტყვაში ზვიად გამსახურდიამ გულწრფელი უბრალოებით გამოხატავდა ამ მძიმე დანაკლისს, რომელიც ქართველმა ხალხმა განიცადა მერაბის სიკვდილით ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე: „ძმაო, დამუნჯებული ვართ მწუხარებისგან. გაგვიშრა ცრემლი შენს ძმებს, გაგვიშრა ცრემლი. მძიმეა ტვირთი, რომელიც შეგვატოვე მხრებზე, ძმაო!“

ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენ წელს ვალდებულნი ვართ, ასევე ღირსეულად აღვნიშნოთ საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას საიუბილეო 80 წლისთავი. ბევრი ავისმჩხრეკელი, ძე შეცდომილი ადამიანი ცდილობდა და დღესაც ცდილობს ზვიადისა და მერაბის ურთიერთობას ზადი მოუძებნოს და ამით არა მარტო მათი სახელები შეურაცხყოს, არამედ ძველი სუკ-ური ოცნება აისრულოს და მათი თავკაცობით წარმართული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც შეურაცხყოს.

მზაკვრობაში გაწაფული კრემლი (სუკი) არ ცხრებოდა და არ თვლემდა... იგი მძვინვარებდა. პოლიტიკური მოწინააღმდეგის მხრიდან შეთავაზებულ საჭადრაკო პარტიის დამარცხებას ვერ ეგუებოდა და თავის გადარჩენის ერთადერთ გზას პოლიტიკური თამაშის წესის დარღვევაში (საჭადრაკო დაფის აყირავებაში, ჯერ ჭორებსა და ინსინუაციებში, შემდეგ კი პოლიტიკურ მკვლელობებში) ხედავდა. სხვადასხვა ჯურის პოლიტიკური სექსოტი, სუკის ინსპირირებით ყოველთვის ლამობდა (მერაბის და ზვიადის) თოთხმეტი წის ასაკში დადებული ძმადნაფიცობის მოშლას, თუნდაც ოდნავი ხინჯის შეტანას...

მაგრამ სულ ამაოდ.

მერაბ კოსტავას სამართლიანად შეეძლო გაემეორებინა გენიალური რუსთველის ფრაზა: „ვარ უმტკიცესი რვალისა!“ იგი ამბობს: „ბევრი ეცადა ჩემი და ზვიადის მეგობრობაში ბზარის გაჩენას, მაგრამ ეს ვერავინ შეძლო, ეს არასოდეს მოხდება.მაგრამ თუ მოხდა სასწაული და ჩვენს მეგობრობაში ბზარი გაჩნდა, მაშინ მე ვიტყვი, რომ მეგობრობა საერთოდ არ არსებობს. ეს კი ქვეყნის დანგრევას უდრის!“ (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ზვიად გამსახურდიას 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვიდან, 31 მარტი,1989 წ.).

ზვიად გამსახუდიას და მერაბ კოსტავას მეგობრობა კლასიკური ნიმუშია მოძმეთა შორის რაინდული ურთიერთობისაა და ზნეობრივი სიმაღლით რუსთველისეული ტარიელისა და ავთანდილის ძმადნაფიცობას თუ შეედრება.

„გონება და სინდისი არასოდეს შორდებოდა ერთმანეთს“ (მერაბ კოსტავა), რამეთუ ზვიადს და მერაბს გენიალური რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ გმირებივით სწამდათ იმ უკვდავი ტრიადისა, რომელზეც რუსთველი ამბობს: „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან“. და მაინც, მრავალ ახლობელთა, მეგობართა, ძმაკაცთა, თანამებრძოლთა შორის მისთვის ყველაზე გამორჩეული ქრისტესმიერი ძმა, მისი ძმადნაფიცი ზვიად გამსახურდია იყო. მისივე (მერაბი) სიტყვებია: „პირველობა ეკუთვნის ზვიადს“ (იგივე საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვიდან, 31 მარტი, 1989 წ.).

რაც ყველაზე არსებითია, იგი ცნობიერად ზუსტად ასე თვლიდა, და, ეს საკითხი არ ექვემდებარებოდა გარჩევას.

დასასრულ, დღევანდელი საღამოს საიუბილეო განწყობილების შესაბამისად მსურს ამაღლებული პათეტიკით მივმართო მერაბს და ზვიადს: ორივენი, ძმანო, ორივენი ვალმოხდილნი მიუხვალთ ჩვენს დიდ წინაპართა წმინდა აჩრდილებს.

მერაბ კოსტავა უსათუოდ ასე ეტყოდა ზვიადს: ზვიად, ძმაო, შენ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღმადგენელი, მისი მესაძირკვლე ხარ, მისი (რესპუბლიკის) პირველი ლეგიტიმური პრეზიდენტი იყავი და ასევე დარჩი ბოლომდე ერთადერთად! - საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტ თავკაცად!

ახლა ჩვენ ვეუბნებით მერაბს: მერაბ, ძმაო, შენ მეციხოვნე იყავი მამულის, ასეც დარჩი, საბჭოთა იმპერიის მიერ ბორკილებდადებულო გაუტეხელო ერის სინდისო, ჩვენო დიდო დარდო და დიდო სიამაყევ!

მინდა თითო გამონათქვამი მოვიყვანო მათი ნააზრევიდან:

ახლა ორიოდე რამ მათი ნააზრევიდან.

მერაბ კოსტავა: „უფალო, ღირს მყავ, ჩემი ერისთვის არ შევეპუო ხვედრის სიმძიმეს, აქ გამოვლილი სატანჯველისთვის იქაურ ტანჯვას ნუ შემიმცირებ“.

ზვიად გამსაურდია: „ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეისათვის და არა ამქვეყნიური კეთილდღობისათვის... ჩვენ არ უნდა ვუღალატოთ ჩვენს მარადიულ მრწამსს, თუნდაც რომ სიკვდილის წინაშე მოგვიხდეს წარდგომა.“

ისინი, ორივენი, ზვიადი და მერაბი, თავდაუზოგავად იღვწოდნენ იმისათვის, რათა „ჩვენს მამულში“ კვლავ ისმოდეს „წმინდა სიტყვა“, „უშიშრად მოფენილი“.

სიტყვას გენიალური ვაჟა-ფშაველას ლექსების ნაწყვეტით დავასრულებ, რომელიც ზვიად გამსახურდიას განსაკუთრებულად უყვარდა და რომელსაც მრავალათასიან მიტინგებზე წარმოთქვამდა:

რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწთ არ შავეკვრი ზავითა;
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა!..
(„დამსეტყვე, ცაო!“)

ან:

თქვენთან ძაღლურად სიცოცხლეს,
სიკვდილი მიჯობს ცდაშია.
ვერ მააწონებთ კარგს ყმასა,
რაც არ უჯდება ჭკვაშია!
(„ქეიფი“)

ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მომეცით, დიდი გულისტკივილით ვთქვა: მართალია, ჩვენ, ყველანი, დაჯავრიანებულნი და გულმოკლულნი ვართ საქართველოს წახდენით და დაცემით, მაგრამ, ქართველნო, უცილობლად უნდა დავრჩეთ მაღალი ქართული თვითშეგნებით, ძლიერი სულით და უჩვეულო ნებისყოფით.

ქართლოსიანნო, ჩვენ მაინც ჩვენი მამულის აღორძინების ოცნებით ვისულდგმულოთ. როგორც ჩვენი დიდი წინაპრები გვარიგებდნენ და გვმოძღვრავდნენ, ისე დავასრულებ ჩემს გამოსვლას: „დიდი ბატონის ყრმები ვართ, დიდი ჭკუა მოგვეთხოვება!“

წარსულის ღირსებები პასუხისმგებლობას გვაკისრებს უპირველესად. პასუხისმგებლობა კი მამულისათვის ღირსეულ გარჯას მოითხოვს. ამის გარეშე ერში ჩამარხული სიდიადის წარმოჩენა უნიადაგო იქნება.

ზვიად გამსახურდიამ შეუძლებელი შეძლო!

და რომ არა მსოფლიოს შავბნელი ძალების, ნამდვილი კაციჭამიების მიერ განხორციელებული საერთაშორისო მასშტაბის მზაკვრული შეთქმულება კავკასიის, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის და მისი აღმდგენელის მიმართ - იგი უდრტვინველად თავისი სამშობლოსათვის მეტსაც შეძლებდა!

თავად კი, მამულის მსახურების ამ მცირე მონაკვეთს უწოდა „პრეზიდენტობა დრაკონის მუცელში...“

და მაინც ზვიად გამსახურდიას ლექსით ვასრულებ:

„შენი ბარძიმი წმინდა ივერია, მისი განმართლება შენს ცაზე სწერია...“

და როგორც ამ ლექსის ავტორი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო ისტორიულ სესიაზე (1991 წლის 9 აპრილი), ამაღელვებლად და სიამაყის გრძნობით წარმოთქვამდა, ამადაც დღევანდელ დღეს მეც ასე მსურს ვთქვა:

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გაუმარჯოს ზვიად გამსახურდიას!

2019 წლის 31 მარტი
თბილისი

2019 წლის 31 მარტი, თბილისი

თამარ გომართელი

ფილოლოგი, ჟურნალისტი, ტელეწამყვანი

იყო ოსტატი !



იყო ოსტატი, წერდა, ასწავლიდა, იბრძოდა, ტკიოდა და უყვარდა! ოსტატი, რომელიც თავის დიდებას დიოგენესავით კასრში მალავდა მონდომებით, რადგან იცოდა, როდესაც კაცის არსებაში სახელი და დიდება შემოდის, იქიდან რაიმე უცილობლად უნდა განიდევნოს. იცოდა, რომ ეს დიდება მჭიდროდ კანივით გეკვრის, მაგრამ რამდენიც არ უნდა იჭახირო, სხეულის ნაწილად ვერასდროს აქცევ. მერეღა ხვდები, ძალიან გვიან, რომ სააქაოში, კაცსა და მიწას შორის ქვაფენილია დაგებული და მიწის ხმობას დანატრებული აღიარებ , რომ ასფალტი მიწა არ არის. მსუბუქი იყოს, ოსტატო, ქართული მიწა თქვენთვის.

იყო კაცი, წერდა და უყვარდა. ისეთი მსხმოიარე, ნედლი და ჯანმრთელი სიტყვით მოგაგებებდა სათქმელს, ასწლოვანი ფიქრი ედრებოდა მისი ხელიდან მოწვდილი, მისი გონით ავსილი ბარძიმიდან ზიარებასავით მიღებას, სიბრძნის. ისევე უყვარდა , როგორც წერდა, როგორც მხოლოდ მას შეეძლო, ოსტატს.

იყო კაცი, ასწავლიდა და უყვარდა. მისი სწავლება სიბნელეში დაბრმავებულთა, გრიგალისგან შერყეულთა, იმედისგან დაბადებით თავისუფალ მგლოვიარეთა ამბავია, მთავარ გზას რომ გაჩვენებს ბნელში. იმ მთავარს, ბაზისიც რომაა და ზედნაშენიც. ისევე უყვარდა, როგორც ასწავლიდა, როგორც მხოლოდ მას შეეძლო, ოსტატს.

იყო კაცი, იბრძოდა და უყვარდა. ეს ბრძოლა იყო მისი ჯალათიც, ინკვიზიციაც, საამო კოცონიც და ნეტარი კუნძიც. ამ ბრძოლამ მიწას და ცას მიაჯაჭვა, ქართულ მიწას და ცას, რომელსაც ვაშის დაკარგვის მერე ვეღარ ვუყურებო, მცხვენიაო, ამბობდა. ამ ბრძოლამ მარტოობა ასწავლა, მუხასავით მეხში მყოფობას შეაგუა, მარტოკაცობას დააჩვია, ბრძოლაშიც და სიყვარულშიც ისე მედიდურად, როგორც მხოლოდ მას შეეძლო ოსტატს.

იყო კაცი, სამშობლო და ენა უყვარდა. ისე გრძნობდა, როგორც გაზაფხულის სქელი ჯიქნიდან მომსკდარი წვიმა ახალშობილი ბალახის ნედლს. ისე დარდობდა უჩუმრად, ზვიადად, როგორც ხელმწიფე, ღამით კარავში, მამლის ყივილამდე სულწაწყმედილთა მიერ სამჯერ უსისხლოდ გაყიდულ ბრძოლას. ცხოვრობდა, როგორც კალატოზი ქვასთან ჭიდილში, ისტორიის გზაგასაყარზე. იკითხებოდა, როგორც ოთხთავი, ორ სვეტად ეტრატზე, ნუსხა – ხუცურით. იწერებოდა, როგორც ჩუქურთმა ვაზის მტევანზე, კირითხუროის; როგორც ფოლიანტი სინას კალთაზე, აღთქმული მიწის; როგორც ცხოვრება უცნაური გზით, არვისგან გავლილი და არც ვინმესგან გასავლელი. მხოლოდ ისეთი, როგორიც ოდენ მას ერგო ოსტატს.

და როცა გადავა მზეც და მთვარეც ათასჯერ კიდევ, მიიწურება ეს ასწლეული, სირცხვილით სავსე, იქ, გასაყართან შევეყრებით, ათასწლის მერე, ათასჯერ მოვთხოვ ყველა სიტყვას, რაც უთქვამს ჩემთვის და რაც ვერ უთქვამს, ვერ მოუსწრია, იმასაც მეტყვის.

იყო ოსტატი, ვისი მოძღვრებაც თაობებს ზრდიდა, აწრთობდა ფოლადს გონებისა, ვითარც ხალიბი ასწავლიდა რკინას გალობას, რომელიც არც ცეცხლში იწვის და არც ყინვა ეკარება.

ახლა გვიანია ქებათა-ქების თარგელიები და ეს ძვირფასი შატროვანიც შენივე ქარგის, მიიღე, როგორც გვიანი თავაზა, ჩვენი თაობის მონატრების თანანადები. ასე ძლიერად მხოლოდ ერთი ოსტატი ენატრება მილიონ შეგირდს.

საქართველოს რესპუბლიკა და ახალი ქართული თაობა

ძნელი სათქმელია თაობა ქმნის ეპოქას, თუ ეპოქა ქმნის თაობებს. ალბათ ქმნის ის, ვინც მართავს, ვისაც უპყრია მართვის სადავეები. დრო კი მხოლოდ ასახავს ყოველივეს და წარუშლელად ინახავს მომხდარს. რაიმე რომ შექმნა, ამისათვის ნებაა საჭირო, დროს კი ნება არ გააჩნია. თავისუფალი ნება მხოლოდ ადამიანს აქვს და მხოლოდ მას შეუძლია მართვის სადავეების ხელში აღება და ეპოქის შექმნა. ეპოქა კი ისეთი შეუერთდება დროს, როგორსაც ადამიანი შექმნის მას. ნება ადამიანს ერთი შეიძლება ქონდეს, ან კეთილი და ღვთისნიერი, ან ბოროტი. აი, რაც შეეხება ერს, აქ ცოტა სხვაგვარადაა საქმე. თუ ერს ერთი ნება არ აქვს, ის, ან საბოლოოდ გაქრება ან გაიმარჯვებს მისი ნათელი მხარე. ამასაც თავისი ახსნა აქვს და ის შემდეგში მდგომარეობს: გამარჯვების შემთხვევაში მხოლოდ ნათელი მხარე იმიტომ გამოდის გამარჯვებული, რომ მისი გამარჯვება არა მისი მოწინააღმდეგის განადგურებაში მდებარეობს, არამედ მის გადარჩენასა და მოქცევაში. ანუ მისი ბრძოლა მტრისათვის ბრძოლაცაა ამავდროულად. ესაა ქრისტიანული სარწმუნოების ქვაკუთხედი - უსასრულო სიყვარული და მაღალი ზნეობა. რაც შეეხება ბოროტ, ბნელ მხარეს - მისი ბუნება მოწინააღმდეგის განადგურებას მოითხოვს და საბოლოოდ თვითონაც უმართავი ქაოსი მოიცავს, რომელსაც ვერც თვითონ ვეღარ გააკონტროლებს ნათელი მხარის არსებობის გარეშე და საბოლოოდ დადგება აღსასრული. ესაა ბედისწერა იმ ერისა თუ პიროვნებისა, ვინც აირჩევს ნათელ, ან ბნელ მხარეს. მათ ბედისწერაშია მათი პრინციპული განსხვავება - კეთილი ეწამება, ხოლო ბოროტი აწამებს.

ამ თეოლოგიურ-ფილოსოფიური შესავალით მინდა დაგანახოთ, თუ საით უნდა წავიდეს ჩვენი დღევანდელი შეხვედრის თემა. მაგრამ ნუ გეგონებათ, რომ ეს იქნება მხოლოდ ფილოსოფიურ-თეოლოგიური კუთხით. საქართველოს უახლოეს ისტორიაში ჩვენ გვაქვს ერთი უმნიშვნელოვანესი სახემწიფოებრივი თარიღი, რომელიც სამ მოვლენას მოიცავს თავის თავში და გამოხატავენ ქართველი ერის არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ სულიერ ნებასაც, ნებას სრული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვისა და პოლიტიკური თვითმმართველობისა.

დიახაც, 31 მარტი არის ორი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენის მატარებელი. რეფერენდუმისა და პირველი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისა, რომელიც მრავალპარტიულ, დემოკრატიულ და საყოველთაო არჩევნებში გამარჯვებულმა ეროვნულმა ძალამ ჩაატარა 1991 წლის 31 მარტს. ეს იყო სრული დამოუკიდებლობისაკენ გადადგმული ძალიან მნიშვნელოვანი და შემდგომში კი ხელოვნურად მივიწყებული და პრაქტიკულად უგულვებელყოფილი მოვლენა.

პირველი უმნიშვნელოვანესი მოვლენით, რეფერენდუმის საფუძველზე გადაწყდა სამართალმემკვიდრეობით განსაზღვრული საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსი და 1918 წლის წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი და ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ მიღებულ დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე აღდგენილ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა!

1991 წლის 31 მარტს კი საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების არჩევნები, რაც ქართველი ერის პოლიტიკური, თავისუფალი ნებისა და მისი ბუნებრივი თვითმყოფადობის გამოვლინებაა და მის მაღალ სახელმწიფოებრივ - პოლიტიკურ კულტურაზე მეტყველებს.

იმ ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური ნების გამომხატველი პარტიების - „**საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებისა**“ და „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების“.

სულისჩამდგმელი და პოლიტიკური ლიდერი, რომელმაც ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენაში მიიღო გადამწყვეტი მონაწილეობა და გახდა მისი არსებობის შემდგომი გარანტი, არის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ბატონი ზვიად გამსახურდია საქართველოს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერთაგანი და საქართველოს ეროვნულ გმირთან, მერაბ კოსტავასთან ერთად.

როგორც დავინახეთ ეს თარიღი საქართველოსათვის არის სახელმოფოებრივად მნიშვნელოვანი პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული, რომელსაც სიმბოლურად დაემთხვა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე! დღეს ბატონი ზვიადი 80 წლის შესრულდებოდა! საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერის დაბადების დღე მავანმა ისევ ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ გამოიყენა და ყოველ ჯერზე გამალებით ცდილობს მისი ფარისევლური და ყალბი აღნიშვნით 31 მარტის უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა გადაფაროს, საერთოდ არ ახსენოს და საბოლოოდ დავიწყებას მიცეს იგი.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული - კანონიერი მთავრობის ძალისმიერი გზით დამხობის შემდეგ შეწყდა ყოველივე კანონიერი და სამართლებრივი ნების აღსრულება, რომელიც ქართველი ერსა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის გამოხატულება იყო, რადგან მათ მიერვე ამ ნების აღმსრულებელი ხელისუფლება ბნელმა იმპერიულმა ძალებმა დაამხეს და მათი ნაწილი კი გააძევეს სამშობლოდან, ხოლო დარჩენილთაგან დიდი ნაწილი გადაიბირეს (ან თავიდანვე იყვნენ გადაბირებულნი). რაც შეეხება კანონიერი - ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და მისი შემგომი არსებობის აუცილებლობას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის: ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი კოსტიტუციური და სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზის ამოქმედება, არის ნამდვილი საშუალება და გასაღები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენადაც, აფხაზეთისა და შიდა ქართლის დასაბრუნებლად და მისი შემდგომი წამყვანი ფუნქციის აღდგენისა კავკასიის რეგიონში.

დღევანდელ საქართველოში კი იზრდება თაობა, რომელმაც სულ უფრო და უფრო ნაკლები იცის ნამდვილი, ქართული ეროვნული ხელისუფლების შესახებ, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოუტანა. რომელმაც შექმნა დიდი ეპოქა და რომელსაც დღითიდღე აკნინებენ და დავიწყებას აძლევენ, რათა ახალმა თაობამ არ გაიგოს სიმართლე და არ მოუნდეს იმ ნათელი მხარის ნაწილი გახდეს,

რომლის ბუნებრივი ნაწილიც თავად არის. რომლისაგან მოგლეჯასაც ხელოვნურად ცდილობენ ათასგვარი გზებით.

უკვე ვეხებით თემის ძირითად ნაწილს, თაობას. თაობას, რომელიც იზრდება დღევანდელ რეალობაში, ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ქვია და რომელიც მხოლოდ ფაქტიურად არსებობს, ყოველგვარი კეთილი ნებისა და ნათელი აწმყოს გარეშე. ასეთ მდგომარეობაში ყოფნა კი ძალიან საშიშს ხდის მომავალზე ფიქრს. ეს თაობა თითქმის არ მოსწრებია იმ მოვლენას, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია მოღვაწეობდა და იბრძოდა ამ ქვეყნის ნათელი მომავლისათვის. პრეზიდენტი, რომელიც დღეს 80 წლის შესრულდებოდა საკუთარი ერის ბნელმა და სულ გაყიდულმა ნაწილმა გაანადგურა ფიზიკურად, თავად კი დაუსრულებელ ქაოსში გაეხვა, რომელშიც მთელი ქვეყანა შეგნებულად, ძალისმიერად ჩაითრია და უკვე თავადვე ვეღარ მართავს ამ ქაოსს. გარდაუვალი განადგურებისაკენ მიგვაქანებს ეს ბნელი ძალა. ხოლო თუ ეროვნული, ნათელი და ჯერ კიდევ ერთგული ძალებიდან არავინ ინება შეწინააღმდეგება, გარდაუვალი დაღუპვა გველის. რასაც ყოველი საღად მოაზროვნე ქართველი გრძნობს და განიცდის. ძველი თაობის ბრძოლას და თავდადებას კი მაშინ აქვს აზრი თუ ამ ბრძოლის გაგრძელებას მომავალი თაობა მიიღებს ღირსეულად საკუთარ თავზე. მათ მიერ დაწყებული ეპოქის შემოქმედებას არა ბნელი ძალა გაანადგურებს, არამედ ნათელი და ღირსეული თაობა გააგრძელებს.

ეროვნული - კანონიერი ხელისუფლების მხარეს დგას ქართველი ერის ნება. ნება, რომელიც მას აძლევს დიდ ძალაუფლებასა და პასუხისმგებლობას. ერის ნება კი სახელმწიფოში გამოიხატება საყოველთაო რეფერენდუმით, რომელსაც შემდგომში კანონიერი ძალა ეძლევა და ლეგიტიმაციას ანიჭებს მის მიერვე არჩეულ ხელისუფლებას. კარგათ ვხედავთ, რომ როდესაც ნების გაუყალბებელ, ნამდვილ და საყოველთაო გამოხატვასთან გვაქვს საქმე, მაშინ მისი სულიერ-მორალური და პოლიტიკური მხარე სრულ თანხვედრაშია ერთმანეთთან და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ქვეყნისა და ერის ნამდვილ განვითარებასა და მომავალზე ფიქრი და ზრუნვა. ეს ისეთი სრულყოფილი და უალტერნატივო მოვლენაა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობისათვის, რომ მას ვერც ერთი გარე თუ შიდა მტრული ძალა ღიად და პირდაპირ ვერ უარყოფს. მოუწევთ მისი აღიარება. ეს უკვე ერთი გამარჯვებაა! რომელიც ჩვენ უკვე მოგვიტანა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ!

უკვე ნათელი ხდება, რომ ბრძოლისას მთავარი არა შეიარაღება და სამხედრო ძალა, არამედ უპირველეს ყოვლისა ნებაა. მარცხდება ის, ვინც ნებას დათმობს, დანებდება. დიახ, დანებებაა დამარცხება და არა ფიზიკური განადგურება. როდესაც ადამიანს ფიზიკურად გაანადგურებ, მაგრამ მას ვერ დაინებებ, ანუ ნებას ვერ წაართმევ, ამით ის არ მარცხდება, არამედ იმარჯვებს მარადიულად, რადგან თავისი ამქვეყნიური სიცოცხლე შეწირა თავისი თავისუფალი ნების ბოლომდე დაცვას, ნებისა, რომელიც არის გამოვლინება იმ მაღალი იდეალებისა, რასაც სარწმუნოება და სამშობლო ქვია. ასეთი დიდი პიროვნება იყო ზვიად გამსახურდია. რომელიც მტერს არ დანებებულა სიცოცხლის ბოლო წუთამდე და თავისი გარდაცვალებით მარადიული სიცოცხლის სული შთაბერა ეროვნულ მოძრაობას და გაყვა თავისი დიდი წინაპრების ნათელ კვალს. ასეთი მისიის თავზე აღება კი შეუძლებელია თუ არ იმყოფები მაღალ სულიერ და ამავდროულად პოლიტიკურ დონეზე. ზვიად გამსახურდია არ ყოფილა მარტო კარგი სულიერი განათლებისა და ხედვის პიროვნება, ის ამავდროულად საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე და სახელმწიფო მმართველი იყო, რომლის პოლიტიკურ მემკვიდრეობას დღესაც ყავს გამგძელებლები და ისინი აქ, ჩვენს გვერდით იმყოფებიან!

საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა მიუხედავად ძალისმიერი სამხედრო გადატრიალებისა მთლიანად არ განადგურებულა და აგრძელებს მოღვაწეობას და დღემდე არ გადაუბარებია არც ერთი მომდევნო ფაქტიური ხელისუფლებისათვის სამართალმემკვიდრეობა და არც კაპიტულაციაზე მოუწერია ხელი ვინმესთან. ის დღემდე ინარჩუნებს ლეგიტიმაციას და აგრძელებს მოღვაწეობას საქართველოს რესპუბლიკის მმართველი პარტიებისა და მთავრობის შემადგენლობის სახით, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი, დევნილობაში ყოფი ბატონი ბესარიონ გუგუშვილი.

ამგვარად, საქართველოს უახლესი ისტორიის სახეც ნელ-ნელა შევძელით რომ გამოგვეკვეთა, მაგრამ აქ არ გვითქვამს მთავარი. რატომ შეეწირა ამდენი ღირსეული შვილი საქართველოს დამოუკიდებლობას? რატომ უნდა იყოს საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა? დღევანდელი მსოფლიო ჩაძირულია ტოტალური იმპერიალიზმის მორევში, რომელიც ყოველ ერს და განსაკუთრებით პატარა ერებს ემუქრება საბოლოო გაქრობითა და ასიმილაციით. ეს იმპერიალიზმი ანადგურებს და სპობს ერებსა და ქვეყნებს შორის საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ტერიტორიულ, კულტურულ, ეთნიკურ და სარწმუნოებრივ საზღვრებს და ამის მიზეზად მოყავს მის მიერვე ხელოვნურად აღრეულ ერთა შორის პროვოცირებული სამხედრო თუ სოციალური დაპირისპირებები. ამ ყოველივეს კი შეუქცევადი სახე აქვს დღეს მიღებული და გადაქცეულია მსოფლიო ანტიეროვნულ მოძრაობად, რომელიც ინტერნაციონალიზმისა და გლობალიზმის შირმითაა შენიღბული. ანტიეროვნულის და ანტირელიგიურის ასეთი გააქტიურება კი მოასწავებს ანტისახელმწიფოებრიობის საბოლოო დადგომას და ზოგადად სახელწიფოებისა და ერების გაქრობას და შთანთქმას ერთ დიდ მულტიკულტურულ, ასიმილირებულ მასაში, რომელსაც არც ისტორია ექნება, არც მორალი და არც მომავალი! ასეთი ძალის მართვას კი აღარაფერი აღუდგება წინ! სწორედ ამ ძალას უწოდებდა ზვიად გამსხურდია კლანეტარულ მხეცს. სწორედ ეს უდიდესი გლობალური, მსოფლიო მხეცი დაინახა ზვიადმა მაშინ არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის სახით წარმოჩინებული. კარგად იცოდა ეროვნული მოძრაობის ლიდერმა, რომ ანტიეროვნულს მხოლოდ ეროვნულით დაუპირისპირდები, ანტირელიგიურს - რელიგიურობითა და ზნეობით, ანტისახელწიფოებრივს კი ძლიერი ეროვნული. სახელმწიფოს გაძლიერებით! კარგად დაგვანახა ზვიადმა, რომ საქართველოს სულიერი მისია მხოლოდ მის მორალურ-ზნეობრივ მხარეში კი არა, არამედ მის პოლიტიკურ, სახელმწიფოებრიობაშიც მდებარეობს. მხოლოდ საქართველოს აქვს ყველა იქ ბერკეტი ხელთ, რაც კავკასიის, როგორც ერთი მოდგმის, ერთი კულტურისა და ერთი განუყოფელი ტერიტორიის გაერთიანებისა დამართვისათვისაა საჭიროდ. კავკასიისა, რომელიც წინ აღუდგება მსოფლიო ბნელ, იმპერიალისტულ ძალას და გახდება ნათელი შუქურა მსოფლიოს იმპერიულ ოკეანეში და ვისაც გადარჩენა მოუნდება, ყველა ამ ნათელი სხივისაკენ გამოიწევს. ეს იქნება ნიშანი გადარჩენისა და ქრისტიანული რწმენაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მარადიული არსებობისა!

დასაწყისში ვახსენეთ, რომ ეპოქა არ ქმნის თაობებს და მოვიყვანეთ ამისი დასაბუთებაც. მაგრამ ზვიად გამსახურდიასნაირი დიდი ეროვნული მოღვაწეების არსებობა ნათელს ფენს ერთ რამეს. ეპოქა ბადებს ზვიადისნაირ დიდ პიროვნებებს, რომლებიც შემდგომში თავად ქმნიან ეპოქას!

დემნა კაპანაძე

31/03/2019 **თბილისი**

ჩემს თანამოაზრეებს, ჩემს ძმებსა და დებს!

სიმამაცე - ეს ტრიუმფია შიშზე! დღეს ჩვენ ბორკილების მოხსნა გვჭირდება, დღეს ისე, როგორც არასდროს, ჩვენს სამშობლოს სჭირდება ლიდერები! შენ გაქვს შესაძლებლობა და ხარ ვალდებული იყო ლიდერი იმ საქმეში, რასაც აკეთებ! გჯეროდეს რომ გონიერი და თავდადებული ადამიანების პატარა ჯგუფს, რომელსაც ზურგს სასახელო ისტორია და სიამრთლე უმაგრებს, შეუძლია მსოფლიო შეცვალოს! ჩვენ ყველას ჰაერივით გვჭრდება, რომ შენ გაიღვიძო და იყო ლიდერი ტიტულების გარეშე!

„თუ გსურთ, წინ მიუძღოდეთ ხალხს იარეთ მათ გვერდით... რაც შეეხება ნამდვილ ლიდერს, მის არსებობას ხალხი ვერ ამჩნევს. მის მომდევნო საუკეთესოს ხალხი აქებს და პატივს სცემს. მისი შემდგომის ეშინიათ; მისი მომდევნო კი სძულთ. როდესაც საუკეთესო ლიდერის საქმე კეთდება, ხალხს ჰგონია, რომ ეს თვითონ გააკეთა“ — ლაო-ძი.

გწამდეთ, რომ ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს და სანამ ხმალი ქარქაშში ჩაშანგებულა, მოიქნიეთ ის ყოველგვარი ანტი ეროვნული, ანტი სარწმუნოებრივი და ანტი სახელმწიფოებრივი ძალების წინააღმდეგ. ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ის რაც დრომ ღირსეულად მოიტანა, უნდა შევინარჩუნოთ და ესეც დიდი საქმე იქნება ჩვენი მომავლისთვის, მე კი ვამბობ, რომ ის რაც ჩვენამდე მოვიდა, კბილებით უნდა გავწიოთ წინ. დამიჯერეთ, როდესაც მომავალი თაობა გადაშლის ჟურნალ „მატიანეს“, მაშინ მოხდება შეფასება და გადაფასება, სწორედ მაშინ დავრჩებით პირნათლად ჩვენი შვილების წინაშე! ჩვენი ეროვნულ-სარწმუნოებრივ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მატარებელი გუნდი მცირეა, მაგრამ გონიერი და თავდადებული, ერთგული ადამიანებითაა დაკომპლექტებული. იმისთვის, რომ გავიზარდოთ და გუნდმა შეძლოს ჯანსაღად არსებობა, აუცილებელია პასუხისმგებლობის უნარის ამაღლება. მახსენდება გამოჩენილი ათენელი პოეტის, მხედართმთავრის, რეფორმატორისა და კანონმდებელის სოლონის სიტყვები: „სიმამაცე ბოლომდე შეგნებული პასუხისმგებლობაა”.

დიახ, ჩვენ უნდა განვთავისუფლდეთ ბორკილებისგან, ჩვენ უნდა შევძლოთ თვალების ფართოდ გახელა, დავინახოთ იმაზე მეტი, ვიდრე ჩანს. უნდა ვძლიოთ შიშს, სიმამაცეს კი ბოლომდე შეგნებული პასუხისმგებლობა მოგვიტანს! ეს სხვა არაფერია, თუ არა ავტორის საკუთარ თავთან საუბარი და ამასთან ერთად ჩემი ნააზრევის თქვენამდე მოტანა. თუ გვსურს, წელში გავასწოროთ ჩვენი ერის არსებობა, აუცილებლად გამოგვივა, თუ არადა, ვიპოვით მიზეზს და ამით დასრულდება ყველაფერი!

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნულმა აღორძინებამ“ ერთხელ უკვე შეძლო და გაიმარჯვა, დაუბრუნა საქართველოს დამოუკიდებლობა!

დღეს აუცილებელია, ძველი დიდების დაბრუნება, ერის თავისუფლებისთვისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გაგრძელება. ჩვენი დაწყებული საქმე ჩვენვე უნდა მივიყვანოთ ბოლომდე და ამაში სხვა ვერავინ დაგვეხმარება, გარდა საკუთარი თავისა. მინდა ილია ჭავჭავაძის სიტყვები მოვიშველიო: „ბედს თვითონ კაცი ჰქმნის და არა ბედი კაცს ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, აირჩიე ერო!“

„... ქართველო ერო, შენს წინაშე არის ორი გზა: შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზაგასაყართან. აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, ზნეობისა, აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა! აირჩიე, ქართველო ერო! აირჩიეთ, ქართველებო!

აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა! აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს! და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებული იყოს უკუნისამდე!

ჩვენ, ძმანო, ვდგავართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ბედ-იღბალს და გაგვთელავს. ჩვენ ეს კოსმიური გველეშაპი, ეს პლანეტარული მხეცი - ანტიქრისტე, რომელიც წარმოგვიდგება და გვეუბნება: აი, ეროვნული მოძრაობა და ეროვნულიმოძრაოის ნიღბით და საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება. გაუმარჯოს ილია მართლის გზას, მერაბ კოსტავას გზას!“ (ზვიად გამსაურდია).

რატი გაგოშიძე

26/05/2019, თბილისი

როგორები არიან ისინი - ჩვენი შვილები

თამარ რაზმაძე

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" იურიდიული და ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტების წევრის

არასამთავრობო ორგანიზაცია „ღირსება = თავისუფლება" თავმჯდომარის

ქალბატონი ნინო რაზმაძის

შვილი

კიბერბულინგი
ინტერნეტის გავლენა ბავშვებსა და მოზარდებზე
(„მობილური თაობა'' გვასწავლის და გვირჩევს)

ბულინგი - თანამედროვე უცხოური ტერმინია, მაგრამ უკვე მრავალი წელია, თავი დაიმკვიდრა ჩვენს რეალობაშიც. იგი უფრო ადრე გახდა ცნობილი, ვიდრე კიბერბულინგი. „ბულინგი'' ხშირად გამოიყენება სკოლის ველში, ასევე ფსიქოლოგების, პედაგოგების, მოსწავლეების, თუ სოციალური მუშაკების მიერ.

„ბულერი'', რომლის ქართულენოვანი შესატყვისი თავისი მნიშვნელობითა და შინაარსით შესაძლებელია იყოს „მომალადე'', ამცირებს მსხვერპლს სიტყვიერი, ფიზიკური, თუ სხვა საშუალებებით, ცდილობს მასზე ზეგავლენის მოხდენას უპირატესობის და ძალაუფლების მოპოვების მიზნით. ტექნოლოგიური პროგრესი ხშირად გაიგივებულია ადამიანის წინსვლასთან. ისეთი ინოვაცია, როგორიცაა ინტერნეტი, ხელს უწყობს ადამინების ურთიერთობის ფორმების შეცვლას და გარდაქმნას. „ბულინგის'', ანუ რეალური ძალადობრივი ქმედების „კიბერბულინგად" შეცვლაც ტექნოლოგიური ევოლუციის შეუქცევადი პროცესის შედეგია.

ბულინგი ერთ - ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს, როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში. იგი თითქმის ყოველი ეპოქის თანმდევ მოვლენას წარმოადგენს, თუმცა ბულინგის პრობლემის აქტუალურობა განსაკუთრებით ბოლო ხანებში გაიზარდა.

ბულინგი არის ძალადობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ძირითადად სკოლებში გვხვდება. ბულინგი განიმარტება, როგორც სხვა ადამიანისათვის ზიანის მიყენებას, ან მის მცდელობას, ეს არის განმეორებით ჩადენილი ნეგატიური ქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ტრამვას. მკვლევრები გამოყოფენ ბულინგის ძირითად სამ ფორმას: ფიზიკური ბულინგი, ვერბალური ბულინგი და რელაციონალური ბულინგი.

ბულინგი ერთგვარ სოციალურ მოვლენასაც წარმოადგენს, რომელიც სპეციალისტების მტკიცებით ძირითადად დამახასიათებელია ორგანიზებულ ბავშვთა კოლექტივისათვის, პირველ რიგში ეს არის სკოლა. ბავშვთა საზოგადოებაში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოზარდი, თუმცა ბულინგის მსხვერპლნი უფრო მეტად ხდებიან რაიმე ნიშნით განსხვავებული ბავშვები, იქნება ეს ფიზიკური, თუ ფსიქოლოგიური, ეთნიკური, რელიგიური და ა. შ. ბულინგის მოტივაცია კი სხვადასხვაგვარია: შურისძიება, კონკურენცია, მიუღებლობა, მორჩილება ლიდერისადმი, სამართლიანობის აღდგენა და სხვა.

ბავშვი - მსხვერპლი სხვებთან შედარებით არის უფრო პატარა და სუსტი. აშინებს ყოველგვარი კონფლიქტი თანატოლებს შორის, საფრთხის გაჩენის შემთხვევაში კი, იწყებს ტირილს. ცდილობს სკოლაში ყოფნისას მოერიდოს ხმაურიან თავშეყრის ადგილებს და დარჩეს კლასში შეუმჩნეველი.

ბავშვ-აგრესორს კი საპირისპირო თვისებები ახასიათებს. ის მუდმივად ცდილობს უფროსად და ძლიერად გამოიყურებოდეს, ხშირად ეუხეშება მასწავლებლებს, მშობლებს, საკუთარ და-ძმას. თანატოლებთან ურთიერთობისას ცდილობს თავისი ძალა გამოამჟღავნოს, პრობლემების გადაჭრის დროსაც უპირატესობას ძალისმიერ გზას ანიჭებს. ბავშვ-აგრესორებს მაღალი თვითშეფასება აქვთ და თავიანთ გარემოში სოციალური უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ.

ძირითადად ბულინგის დაყოფა ხდება ოთხ ტიპად :

1. ფიზიკური ბულინგი - ბულინგის ყველაზე ძალადობრივი ფორმა, რომელიც გულისხმობს ფიზიკური ზიანის მიყენებას, ან მის მცდელობას. მისი ფორმებია: ჩხუბი, თმის მოქაჩვა, პირადი ნივთების განზრახ დაზიანება და სხვა;

2. ფარული ბულინგი - ეს არის მორალური და ემოციური ძალადობის ფორმა, რომელიც პირდაპირ არ არის მიმართული ობიექტისადმი. მაგალითად: ტყუილები, ჭორების გავრცელება, სხვა მოსწავლეებთან დამცირება, მოსწავლის სოციალურ იზოლაციაში მოქცევა და სხვა;

3. ვერბალური ბულინგი - არის ბულინგის ყველაზე გავრცელებული ფორმა. ამ შემთხვევაში მოსწავლის დამცირებას და მასზე ძალადობას აქვს ვერბალური ხასიათი. მისი ფორმებია: დაცინვა, შეურაცხყოფა, ღირსების შელახვა, დაშინება;

4. კიბერ-ბულინგი განსხვავდება ბულინგის სხვა ფორმისაგან, რამეთუ ის სექსუალურ მიზნებს უკავშირდება, თუმცა ტრადიციული „ბულინგის" მსგავსად, შესაძლოა მოიცავდეს დამამცირებელი სახელების შერქმევას, თავდასხმასა და შანტაჟის სერიოზულ საფრთხეებს.



ბულინგი რომ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ამას ცხადყოფს არაერთი საერთაშორისო კვლევა, შესაბამისად იზრდება ინტერესი და ყურადღება ამ ფენომენის მიმართ. საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის კვლევა ჩაატარა გაეროს ბავშვთა ფონდმა (იუნისეფი). გამოკვლევის თანახმად, საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. მთლიანობაში, ბავშვთა 80% განიცდიდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. სკოლაში უფრო ხშირია ბავშვთა შორის ძალადობა. ბულინგის ასეთი მაღალი მაჩვენებელი შეიძლება განპირობებული იყოს იმითაც, რომ ეს მოვლენა დიდი ხნის მანძილზე უფროსების მხრიდან არ აღიქმებოდა მნიშვნელოვან პრობლემად. მათმა მიდგომამ - „ბავშვები ერთობიან და მერე რა მოხდა" - ხელი შეუწყო აღნიშნული პრობლემის გამწვავებას. უკანასკნელ წლებში მანდატურების ინსტიტუტის შემოღებამ სკოლებში რაღაც დოზით მართლაც შეამცირა ძალადობის შემთხვევები, თუმცა ბულინგის პრობლემა აქტუალურობას დღესაც ინარჩუნებს.

იგი საკმაოდ სერიოზულ და მძიმე შედეგების მომტან პრობლემას წარმოადგენს. ძალადობის მსხვერპლი ბავშვი შეიძლება ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ განიკურნოს ფსიქოლოგიური და ფიზიკური დაზიანებისაგან. განიცდიდეს მუდმივ შიშს, შფოთვას, დამცირებას, მოჭარბებულ აგრესიასა, თუ თვითშეფასების დაქვეითებას, რაც ნორმალური ფსიქიკის დეფორმაციის საფუძველი შეიძლება გახდეს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, საჭიროა გარკვეული სასკოლო რეფორმებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარება. ბულინგი ძალადობის განსაკუთრებით საზიანო ფორმაა და სკოლებში აუცილებელია პრევენციული პროგრამების შემოღება. ასევე საჭიროა სკოლებში ძალადობის უწყვეტი მონიტორინგი. მიზანშეწონილია სკოლის ფსიქოლოგების როლის გაზრდა და გადამზადება, რომელთაც უნდა შეეძლოთ ადეკვატური მხარდაჭერის გაწევა ძალადობის მსხვერპლთათვის.

ბავშვები უფროსების მზრუნველობის ქვეშ გაცილებით მეტ დროს ატარებენ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ამიტომ მათი მოვალეობაა, აღზრდის საშუალებით, უზრუნველყონ ბავშვის პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანად ჩამოყალიბება, რომელიც იხელმძღვანელებს ისეთი ფასეულობებით, როგორიცაა: არაძალადობრივი ცხოვრება, გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაციასთან ბრძოლა, მიმტევებლობა და ურთიერთპატივისცემა.

კომპიუტერული ტექნოლოგიების თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო პოპულარული ხდება „კიბერ–ბულინგი“.

კიბერ-ბულინგი პირადი ცხოვრების კადრების გასაჯაროება და ამით შანტაჟი, ვირტუალურ სივრცეში დატერორება და მუქარაა.

ასეთი ტიპის ჩაგვრა გულისხმობს თანატოლის არასასურველი ფოტოების გამოქვეყნებას, დამცინავი და შეურაცხმყოფელი კომენტარების გაკეთებას. მისი განვითარება სოციალური ქსელების/ინტერნეტსივრცის აქტიურ გამოყენებას მოჰყვა შედეგად.

ასევე, დღითიდღე უფრო ფართოდვრცელდება სოციალურ ქსელებში სპეციალური გვერდების შექმნის პრაქტიკა, სადაც გამიზნულად აბუჩადიგდებენ ადამიანებს მათი გარეგნობის, შემოქმედების, რელიგიური, თუ ეთნიკური უმცირესობის გამო.

კიბერბულინგი - ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ფარული, ან აშკარა დაშინების მიზნით განხორციელებული ქმედებაა.

„კიბერბულინგში" ასევე მოიაზრება:

სოციალურ ქსელებში შეურაცხმყოფელი ფოტოების, ან ვიდეოს განთავსება, უხამსი ჭორების გავრცელება, მავნე,მოკლეტექსტური შეტყობინებების გაგზავნა, სხვათა სახელით გვერდებისა და სოციალურ ქსელებში ანგარიშების შექმნა. ტრადიციული ბულინგისგან განსხვავებით, კიბერბულინგს არ სჭირდება ფიზიკური ძალა, ან პირისპირ შეხვედრა. ხშირად ის ძალიან ბევრი მოწმის წინაშე ხდება. კიბერბულინგი ყველა ფორმით და სახით არსებობს – ნებისმიერს, ვისაც ინტერნეტი ან მობილური ტელეფონი აქვს, შეუძლია წამოიწყოს კიბერბულინგი ვიღაცის მიმართ, ხშირად ანონიმურად.

კიბერბულინგის განმახორციელებელს, პირობითად კიბერაგრესორს, შეუძლია მსხვერპლის დამცირება 24 საათის განმავლობაში, ხოლო მსხვერპლმა აგრესია შეიძლება ნებისმიერ ადგილას მიიღოს, ანუ არავითარი ადგილი, სახლიც კი, აღარ არის უსაფრთხო, და მხოლოდ რამდენიმე ღილაკის დაჭერით ამ პროცესს შეიძლება ონლაინ შეესწროს ასობით, ან ათასობით ადამიანი. კიბერდანაშაული არის ინტერნეტის ან/და კომპიუტერის მეშვეობით ჩადენილი ქმედება, რომელიც მოიცავს ყველაფერს არალეგალური მუსიკის გადმოწერიდან, ონლაინ საბანკო ანგარისიდან თანხის მოპარვის ჩათვლით. ის ასევე მოიცავს არაფულად დანაშაულებს, როგორიცაა ვირუსების შექმნა და გავრცელება, ან კონფიდენციალური ინფორმაციის დაპოსტვა.

ზოგადად კიბერდანაშაული შეიძლება სამი სახის არსებობდეს:

1. პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.
2. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.
3. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

განსაკუთრებულ კიბერდანაშაულს წარმოადგენს ასევე კიბერშეურაცხყოფა. ის საკმაოდ გავრცელებული ფორმაა და მოიცავს ისეთ შეურაცხყოფებს, რომლებიც ეხება პირის სქესობრივ, რასობრივ, რელიგიურ ან სხვა სახის პირად ცხოვრებას. ამ სახის დანაშაულს ასევე მივყავართ

მოსახლეობის პირადი ცხოვრების დარღვევამდე. ონლაინ მოსახლეობის პირადულობის დარღვევა მძიმე ხასიათის კიბერდანაშაულია. არავის სიამოვნებს სხვა პირის მიერ საკუთარ ინტიმურ ცხოვრებაში ჩარევა. ამ დანაშაულის დროს ასევე გვაფრთხილებენ: *საიმედოდ შეინახეთ* კონფიდენციალური ინფორმაცია. თუ ინტერნეტით საბანკო ოპერაციებს აწარმოებთ, ან რამეს ყიდულობთ, ხშირად ცვალეთ პაროლი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამისთვის პირად კომპიუტერს არ იყენებთ. და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნუ უპასუხებთ ისეთ იმეილებს, რომლებიც გთხოვენ კონფიდენციალურ ინფორმაციას.

თაღლითები პირად ინფორმაციას მხოლოდ კომპიუტერით არ იპარავენ. ისინი სხვადასხვა საშუალებით ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა: ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, საჩეკო წიგნაკი, საკრედიტო ბარათები და სოციალური უსაფრთხოების ნომერი. ამიტომ ასეთი დოკუმენტები უსაფრთხო ადგილას შეინახეთ. ყველა საბუთი, რაც არ გჭირდებათ, გაანადგურეთ. თუ ფიქრობთ, რომ რომელიმე საბუთი დაკარგეთ ან მოგპარეს, დაუყოვნებლივ აცნობეთ შესაბამის სამსახურებს. ამიტომ რეგულარულად უნდა გადაამოწმოთ თქვენი საბანკო ანგარიშები, ყურადღება მიაქციეთ, ხომ არ მოხდა რაიმე საეჭვო გადარიცხვები. თუ შესაძლებელია, სანდო სააგენტოდან აიღეთ თქვენი საკრედიტო ოპერაციების მონაცემების ასლი და ყურადღება მიაქციეთ თქვენს სახელზე გახსნილ ანგარიშებსა და საკრედიტო ბარათებს. კიბერდანაშაულის საკითხების მთავარ მარეგულირებელ საერთაშორისო დოკუმენტს წარმოადგენს ევროპის საბჭოს 2001 წლის კონვენცია კიბერ დანაშაულის შესახებ, რომლის რატიფიცირებაც საქართველომ 2012 წელს მოახდინა. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კიბერ სივრცეში ჩადენილ იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომლის დასჯადად გამოცხადება ევალება კონვენციის ყველა წევრ სახელმწიფოს. ამასთანავე, კონვენცია წევრ ქვეყნებს ავალდებულებს შექმნან კიბერ დანაშაულთან ბრძოლის შიდა ეროვნული სპეციალიზირებული დანაყოფები, რომლებიც ასევე შეასრულებენ 24/7 საერთაშორისო საკონტაქტო პუნქტის უფლებამოსილებებს.

საქართველოში კიბერდანაშაულის დასჯადობის საკითხებს არეგულირებს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) XXXV თავი, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს კიბერსივრცეში ჩადენილი შემდეგი ქმედებები: კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა (მუხ.284), კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება, კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა. გარდა ამისა, 2012 წელს მიღებულ იქნა კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც აწესებს ინფორმაციული უსაფრთხოების ზოგად სტანდარტებს საჯარო და კერძო სექტორისთვის. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, დამტკიცდა „კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ნუსხა“. ამ ეტაპზე ნუსხაში შედიან მხოლოდ ის სახელმწიფო დაწესებულებები, რომელთა გამართული ფუნქციონირება სასიცოცხლო მნიშვნელობას მქონეა საქართველოსთვის.

2013 წლის მაისში ხელი მოეწერა საქართველოს კიბერ უსაფრთხოების სტრატეგიას რომელიც წარმოადგენს კიბერ უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ მთავარ დოკუმენტს. სტრატეგიას გააჩნია სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად გაწერილია დაგეგმილი ღონისძიებები, ისევე ის სახელმწიფო უწყებები, რომლებიც უშუალოდ პასუხისმგებელნი არიან სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე.

გავეცნოთ კიბერბულინის შემთხვევებს:

თაღლითობა ინტერნეტში - ასეთებია „ონლაინ შოპინგები", „ონლაინ კაზინოები", „ონლაინ საკრედიტოები" და სხვა;

ადამიანის განდევნა - კიბერბულინგის ერთ-ერთი მსუბუქი ფორმაა, რომლითაც მსხვერპლს აგრძნობინებენ, რომ არასასურველია. განდევნის მაგალითად შეიძლება სოციალურ ქსელებში „დახურული ჯგუფების" შემთხვევა გამოვიყენოთ;

შევიწროვება - შედარებით საშიში ფორმაა, რომლის დროსაც მოძალადე ხანგრძლივი დროით იყენებს შეურაცხმყოფელ და მუქარის შემცველ შეტყობინებებს მსხვერპლის მიმართ;

გახსნა/გამოაშკარავება - მოიაზრებს სოციალურ ქსელებში სხვისი პირადი ინფორმაციის

შემცველი მასალების გავრცელებას შეთანხმების გარეშე, ასევე სხვა ადამიანის წერილების წაკითხვას;

სხვა პირის ინტერნეტ-ანგარიშის გამოყენება - ეს არის წერილების გაგზავნით და სხვა სახის კომუნიკაციის დამყარება სხვისი სახელით. ამავე კატეგორიას განეკუთვნება სხვისი სახელით ანგარიშის გახსნა (სოციალური ქსელის, ელ-ფოსტის და სხვა);

სხვა შემთხვევებია ბავშვთა ონლაინ პორნოგრაფია და კომპიუტერული სისტემისა და მონაცემის უნებართვოდ გამოყენება.

კიბერბულინგის შედეგები:

მეთოდები, რომელთაც ბავშვები და მოზარდები კიბერ-ბულინგისთვის იყენებენ, ისეთივე განსხვავებული და მრავალფეროვანია, როგორც მათთვის ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები: მუქარის შემცველი, ან შემაშინებელი მესიჯების გაგზავნით დაწყებული, იმელის ანგარიშის გატეხვით და ონლაინიდენტობის მითვისებით დამთავრებული. ზოგიერთი კიბერაგრესორი ვებსაიტს, ან სოციალური მედიის გვერდსაც კი ქმნის მსხვერპლის დასამცირებლად;

ტრადიციული ბულინგის მსგავსად, კიბერბულინგში ბიჭებიც და გოგოებიც თანაბრად მონაწილეობენ, მაგრამ ზოგადად განსხვავებულ ხერხებს იყენებენ. ბიჭები მეტწილად სექსუალური ხასიათის, ან ფიზიკური ზიანის მუქარის მესიჯებს აგზავნიან. გოგოები კი ძირითადად ავრცელებენ ჭორებს და მცდარ ინფორმაციას მსხვერპლის შესახებ, ამჟღავნებენ საიდუმლოს, მსხვერპლს რიცხავენ გარკვეული წრიდან, ან ელექტრონული კომუნიკაციის ჯგუფიდან. რადგან კიბერბულინგი ძალიან სწრაფად მოქმედებს, ბავშვი ან მოზარდი იოლად იცვლის როლს, შეიძლება კიბერბულინგის მსხვერპლიდან ერთ წუთში გადაიქცეს აგრესორად და შემდეგ ისევ მსხვერპლად.

ნებისმიერი სახის ბულინგი მსხვერპლს თავს უმწეოდ, იზოლირებულად აგრძნობინებს, უღვიძებს ფიქრებს თვითმკვლელობაზე და იწვევს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა დეპრესია, შფოთვა და დაბალი თვითშეფასება. ხშირად კიბერბულინგი შეიძლება უფრო მტკივნეული იყოს, ვიდრე უბრალოდ ბულინგი, რადგან:

- კიბერბულინგი შეიძლება მოხდეს ყველგან, ისეთ ადგილებშიც კი, სადაც მოზარდი ჩვეულებრივ თავს უსაფრთხოდ გრძნობს, მაგალითად სახლში, და ყველაზე მოულოდნელ დროსაც კი, ვთქვათ ოჯახთან ერთად ქალაქგარეთ დასვენებისას. მსხვერპლს ამ დროს ეჩვენება, რომ არ არსებობს რაიმე გზა ამ დამცირებისა და შეურაცხყოფისგან თავდასაღწევად;
- ხშირად კიბერბულინგი ანონიმურად ხდება, ამგვარად მსხვერპლმა არ იცის, ვისი სამიზნეა. ეს მსხვერპლს უფრო აშინებს, აგრესორს კი აძლიერებს, რადგან ონლაინანონიმურობის გამო მისი გამოვლენის ალბათობა მცირეა. რადგან აგრესორი ვერ ხედავს მსხვერპლის რეაქციას, ის ხშირად იმაზე მეტად ამცირებს მსხვერპლს, ვიდრე პირისპირ;

კიბერბულინგს შესაძლოა ათასობით ადამიანი შეესწროს ინტერნეტში. იმეილი შეიძლება დაეგზავნოს ასობით ადამიანს, ხოლო სოციალური მედიის პოსტები და კომენტარები ხშირად ყველასთვის ხელმისაწვდომია. რაც უფრო მეტი მოწმე ჰყავს კიბერბულინგს, მით უფრო მეტ დამცირებას განიცდის მსხვერპლი.

კიბერბულინგის მსხვერპლ ბავშვებსა და მოზარდებს შეიძლება მიეცეს შემდეგი სახის რჩევები:

თუკი თქვენ კიბერბულინგის მსხვერპლი გახდით, მნიშვნელოვანია, არ უპასუხოთ არცერთ მესიჯს ან პოსტს, რომელიც თქვენ შესახებ დაიწერა, რაც არ უნდა მცდარი და მტკივნეული იყო ის. პასუხი მხოლოდ დაამძიმებს მდგომარეობას და იმ რეაქციას გამოიწვევს, რაც აგრესორს ჰქონდა გამიზნული. ამიტომ ნუ მისცემთ მას კმაყოფილების საბაბს; ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არ მიმართოთ შურისძიებას, რომ თავად არ გახდეთ აგრესორი. ეს უფრო გააუარესებს პრობლემას და შეიძლება მძიმე სამართლებრივი შედეგები გამოიწვიოს.

სასურველია, მოვიქცეთ შემდეგნაირად:

- შეინახეთ კიბერბულინგის შესახებ ინფორმაცია. შეინახეთ ტექსტური შეტყობინებები ან ვებგვერდის სურათი და უჩვენეთ სანდო ზრდასრულს, მაგალითად, ოჯახის წევრს, მასწავლებელს ან სკოლის ფსიქოლოგს. თუკი ასეთი შემთხვევები სწრაფად არ აღიკვეთება, კიბერაგრესორი ხშირად დამცირების და ძალადობის უფრო მძიმე ფორმებს მიმართავს;
- თუკი ვინმე ფიზიკური დაზიანებით გემუქრებათ ან უხამს სექსუალურ მესიჯებს გიგზავნით, მიმართეთ პოლიციას. ხშირ შემთხვევაში კიბერაგრესორის ქმედებები კანონით ისჯება;
- შეწყვიტეთ კიბერაგრესორთან ყოველგვარი ურთიერთობა. დაბლოკეთ მათი ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი და წაშალეთ სოციალური ქსელის კონტაქტებიდან. აცნობეთ მათი ქმედებების შესახებ ლოკალურ ინტერნეტპროვაიდერს ან სხვა სოციალურ მედიას ან ვებსაიტს, რომელსაც ისინი იყენებენ თქვენ წინააღმდეგ ბულინგისთვის. კიბერაგრესორის ქმედებები შეიძლება წარმოადგენდეს ვებსაიტის წესების დარღვევას ან, თქვენი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, შეიძლება დასჯადიც იყოს.

თუკი თქვენ ბულინგის მსხვერპლი გახდით, გახსოვდეთ:

- ნუ დაიდანაშაულებთ თავს. ეს არ არის თქვენი ბრალი. არა აქვს მნიშვნელობა, რას ამბობს, ან აკეთებს კიბერაგრესორი, არ უნდა შეგრცხვეთ იმის, რასაც წარმოადგენთ და გრძნობთ. აგრესიის გამოვლინება ნიშნავს, რომ პრობლემები კიბერაგრესორს აქვს და არა თქვენ;
- კიბერბულინგს სხვა კუთხიდან შეხედეთ. კიბერაგრესორი უბედური, იმედგაცრუებული ადამიანია, ვისაც სურს, კონტროლი მოიპოვოს თქვენს გრძნობებზე, რომ თქვენც ცუდად იგრძნოთ თავი. ნუ აჰყვებით მის თამაშს და ნუ მიანიჭებთ მას ამ სიამოვნებას;
- ნუ დაიტანჯავთ თავს. ნუ გაამძაფრებთ კიბერბულინგის ინციდენტს მის შესახებ ფიქრით, ან ხშირად გახსენებით. ამის ნაცვლად, წაშალეთ ყველა აგრესიული მესიჯი და კონცენტრირება მოახდინეთ პოზიტიურ გამოცდილებაზე. თქვენს ცხოვრებაში უამრავი რამეა, რის გამოც საკუთარი თავით უნდა იამაყოთ;
- მიმართეთ დახმარებას. დაელაპარაკეთ მშობელს, მასწავლებელს, სკოლის ფსიქოლოგს ან სხვა ზრდასრულს, რომელსაც ენდობით;
- ისწავლეთ სტრესთან გამკლავება. სტრესთან გამკლავების უნარები დაგეხმარებათ, გახდეთ უფრო თავდაჯერებული და კიბერბულინგი ნაკლებად დაგთრგუნავთ. ვარჯიშები, მედიტაცია, პოზიტიური თვითთერაპია, სუნთქვითი ვარჯიშები კარგი ხერხია კიბერბულინგის სტრესის დასაძლევად;
- დაუთმეთ მეტი დრო თქვენთვის საყვარელ საქმიანობას. რაც უფრო მეტად ხართ დაკავებული საყვარელი საქმიანობით – სპორტით, ჰობით, მეგობრებთან ყოფნით – მით უფრო ნაკლები გავლენა ექნება კიბერბულინგს თქვენს ცხოვრებაზე.

კიბერბულინგის შედეგების დაძლევის გზებია:

თუკი ირგვლივ გყავთ ადამიანები, რომელთაც შეგიძლიათ მიმართოთ გამხნევებისა და მხარდაჭერისთვის, ეს გააძლიერებს თქვენს თავდაჯერებას და სიმტკიცეს, და უფრო იოლად გადაიტანთ კიბერბულინგს. ამ შემთხვევაში ძალიან დაგეხმარებათ მეტი ურთიერთობა ოჯახის წევრებსა და რეალურ მეგობრებთან ან ახალი მეგობრების შეძენა;

- ცოტა ხნით შეწყვიტეთ ტექნოლოგიების გამოყენება. შეისვენეთ თქვენი კომპიუტერის, ტაბლეტის, აიპოდის, ვიდეოთამაშებისა და მობილური ტელეფონებისგან და გათავისუფლებული დრო ახალი ადამიანების გასაცნობად გამოიყენეთ;
- იპოვეთ ადამიანები, ვინც თქვენს ღირებულებებს და ინტერესებს იზიარებს. ისწავლეთ სპორტის ახალი სახეობა, გახდით რომელიმე კლუბისწევრი ან აარჩიეთ ახალი ჰობი, დაინტერესდით ჭადრაკით, ხელოვნებით ან მუსიკით;

- გაუზიარეთ სხვებს თქვენი გრძნობები ბულინგთან დაკავშირებით. გაესაუბრეთ მშობელს, სკოლის ფსიქოლოგს, მწვრთნელს ან სანდო მეგობარს. თქვენი განცდების გაზიარებამ შეიძლება არსებული სიტუაცია ვერ შეცვალოს, მაგრამ აუცილებლად შეცვლის თქვენს დამოკიდებულებას კიბერბულინგის მიმართ;
- გაძლიერდით ფიზიკურად. ვარჯიში არის საუკეთესო გზა სტრესის შემცირების, დეპრესიასთან გამკლავებისა და თავდაჯერების გაძლიერებისთვის. განსაკუთრებით სასარგებლოა აღმოსავლური ორთაბრძოლის შესწავლა იმისთვის, რომ ბრაზთან გამკლავება და მისი სწორად მიმართვა ისწავლოთ.

რჩევები მშობლებს:

რაც არ უნდა ცუდად გრძნობდნენ თავს, ბავშვები ხშირად არ უმხელენ მშობლებს და მასწავლებლებს კიბერბულინგის შესახებ, რადგან ეშინიათ, რომ ამის გამო შეიძლება კომპიუტერის, ან ტელეფონის გარეშე დარჩნენ. ცხადია, მშობლებმა უნდა გაუწიონ მეთვალყურეობა, როგორ იყენებს ბავშვი ტექნოლოგიურ და საკომუნიკაციო საშუალებებს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ არასდროს დაემუქრონ ტელეფონისა და კომპიუტერის წართმევით მოზარდს, რომელიც კიბერბულინგის მსხვერპლი გახდა.

დააკვირდით კიბერბულინგის სავარაუდო ნიშნებს:

ბავშვი კიბერბულინგის მსხვერპლი შეიძლება იყოს, თუკი ის:

- ხდება სევდიანი, გაბრაზებული ან დათრგუნული ინტერნეტის ან მობილური ტელეფონის გამოყენების შემდეგ;
- შფოთავს, როცა იღებს ტექსტურ მესიჯს ან იმეილს;
- ცდილობს თავი აარიდოს იმის განხილვას, თუ როგორ იყენებს კომპიუტერს ან მობილურ ტელეფონს;
- თავს არიდებს ოჯახის წევრებს, მეგობრებს და უარს ამბობს იმ საქმიანობაზე, რომელიც მანამდე მოსწონდა;
- მოულოდნელად და გაუგებარი მიზეზის გარეშე უფუჭდება ნიშნები;
- უარს ამბობს სკოლაში წასვლაზე ან არ ესწრება კონკრეტულ საგნებს ან კლუბებს;
- ეცვლება ხასიათი, ქცევა, ძილი, მადა ან უჩნდება დეპრესიის ან შფოთვის ნიშნები.

აღკვეთეთ კიბერბულინგი დაწყებამდე და ასწავლეთ შვილებს ტექნოლოგიების უსაფრთხოდ გამოყენება:

- ნუ გაავრცელებენ კიბერბულინგის შემცველ მესიჯებს;
- შემჩნევის შემთხვევაში პირდაპირ უთხრან საკუთარ მეგობრებს, შეწყვიტონ კიბერბულინგი;
- შეწყვიტონ კომუნიკაცია კიბერაგრესორთან და წაუკითხავად წაშალონ მათგან მოსული მესიჯები;
- არასდროს გაავრცელონ საკუთარი ან თავისი მეგობრების პერსონალური ინფორმაცია ონლაინ (სრული სახელი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, სკოლის სახელი, მშობლების სახელები, საკრედიტო ბარათის ინფორმაცია ან პირადობა);
- მშობლების გარდა, არავის გაუზიარონ საკუთარი ინტერნეტ-პაროლი;
- გესაუბრონ, როგორ იყენებენ ინტერნეტს და სოციალურ ქსელებს;
- არაფერი გაავრცელონ ონლაინ, რაც არ სურთ, რომ სხვებმა გაიგონ, მათ შორის ელექტრონული ფოსტითაც;
- არ მისწერონ ვინმეს გაბრაზებული წერილი, სანამ არ დამშვიდდებიან და მდგომარეობას საღად არ შეაფასებენ;

- ისევე ზრდილობიანად მოიქცნენ ონლაინ, როგორც პირისპირ ურთიერთობისას.

საინტერესოა სპეცდოკუმენტის ინსტრუქციად და კანონად მიღებული შემდეგი პუნქტები ბულინგისა და კიბერბულინგის შესახებ:

1. აიკრძალოს მოსწავლეების მიმართ ბულინგი, ან კიბერბულინგი;
2. აიკრძალოს სამაგიეროს გადახდა/შურისძიება ან დადანაშაულება მსხვერპლის, მოწმის, ან ნებისმიერის, ვინც ბულინგის, ან კიბერბულინის აქტის შესახებ ინფორმაციას მიაწოდებს სკოლის ადმინისტრაციას, ან სკოლის საბჭოს;
3. განაცხადის შესვლის შემდეგ, განხორციელდეს შესაბამისი ზომები მოსწავლის დასაცავად;
4. ყველა მოსწავლე უნდა იყოს დაცული მიუხედავად მისი სტატუსისა;
5. უნდა ამოქმედდეს დისციპლინური სანქციები იმ მოსწავლის მიმართ, რომელმაც განახორციელა ბულინგი, ან კიბერბულინგი, ან შური იძია იმ პირზე, რომელმაც საჭიროდ ჩათვალა ემხილა მისი ქმედება'
6. მომზადდეს წერილობით დოკუმენტი, სახელმძღვანელო, კონტრაქტი, ვებგვერდი, ტრენინგი პედაგოგებისთვის, სკოლის ადმინისტრაციისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის მიზნით;
7. განისაზღვროს პროცედურები, რომლის მიხედვითაც მოხდეს ბულინგისა და კიბერბულინგის განმახორციელებელ პირთა იდენტიფიცირება;
8. აუცილებელია ბულინგისა და კიბებულინგის შესახებ ინფორმაცია სკოლის საბჭოში შევიდეს ინცინდენტის ჩადენიდან 48 საათის განმავლობაში;
9. წერილობითი შეტყობინების შესვლიდან 5 დღის განმავლობაში, სკოლის საბჭომ მისი ხელმძღვანელის (სუპერინტენდანტი) თაოსნობით უნდა დაიწყოს წერილობითი მოკვლევა. მოკვლევისთვის შესაძლებელია 7 დღის დამატება;
10. სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია: დისციპლიური სანქციის გამოყენება, ფსიქოლოგიური დახმარების შეთავაზება როგორც მსხვერპლის, ასევე მოძალადის ან მათი ოჯახის წევრების მიმართ,
11. გადაწყვეტილების შესრულება ევალება სკოლის ადმინისტრაციას.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კიბერდანაშაულს, როგორც დანაშაულის ცალკე სახეს, ფართოდ არ იცნობს საქართველოს კანონმდებლობა, შესაბამისად, საკანონმდებლო ბაზა ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე ჯერჯერობით სრულფასოვნად ვერ ახდენს რეაგირებას. ძალიან ხშირია, როდესაც მეგობრები ცვლიან ერთმანეთის სოციალური ქსელების პაროლებს, შედეგად მანიპულირებენ ერთმანეთის პირადი ცხოვრების შემცველი ინფორმაციების გასაჯაროებით. ასევე, სახელდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გაყალბებული პირადი მონაცემებით ხსნიან სოციალურ ქსელებს სრულწლოვანი მამაკაცები, რომლებსაც სურთ არასრულწლოვანი გოგონების გაცნობა და მათთან ურთიერთობის დამყარება. როგორც ფსიქოლოგის სამსახურში აცხადებენ, არასრულწლოვნების მშობლებს არ სურთ კიბერულინგის ფაქტების გასაჯაროვება და უარს ამბობენ, მიმართონ პოლიციას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველ რიგში, უნდა მოხდეს პრობლემის აღიარება, ხოლო შემდეგ სკოლის დონეზე ბულინგის პრევენციის პროგრამებისა და ინტერვენციის ეფექტური მექანიზმის დანერგვა. გარდა ამისა, თითოეულ სკოლას უნდა ჰყავდეს სპეციალურად შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი პროფესიონალი, რომელიც იმუშავებს ბულინგის პროცესში ჩართულ ბავშვებთან და კომპეტენციის ფარგლებში შესაბამის დახმარებას გასწევს. თუმცა ამ საკითხზე სამუშაოდ მხოლოდ სკოლის ბაზაზე რაიმე მექანიზმისა და თუნდაც რამდენიმე სპეციალისტის ჩართვა არ იქნება საკმარისი. უნდა გაიმართოს სპეციალური რეფერირების მექანიზმი და დაინერგოს სერვისები, სადაც სკოლის პერსონალს ბავშვის გადამისამართება შეეძლება.

ჩემო თანატოლებო, თუ გახდით კიბერბულინგის მსხვერპლი, უპირველესად მოუყევით ამის შესახებ მშობლებს, ასევე პედაგოგებს, ან მანდატურებს, თუ მას ადგილი ექნება სკოლაში. მშობლებს შეგიძლიათ მიმართოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს „კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს" ტელეფონზე 112, ან ეწვიოთ უახლოეს პოლიციის განყოფილებას.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ინჟინერ–გეოლოგი
საქართველოს საინჟინრო აკადემიის
წევრ–კორესპოდენტი

ვაჟა კაკაბაძე

სახალხო დიპლომატის ადგილი ქართულ და აფხაზურ პოლიტიკაში

ანოტაცია: კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან, განსაკუთრებული სახელმწიფო ინტერესების არსებობის შესახებ, უამრავი პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტი არსებობს. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რუსეთის იმპერატორ, პეტრე პირველის მიერ, 1709 წელს, დატოვებული პოლიტიკური ანდერძი, სადაც ის კავკასიის რუსეთის გავლენაში მოქცევის მეთოდებზე საუბრობს. თითქმის 200 წლის შემდეგ, იგი რუსეთის პრეზიდენტის - დ. მედვედევის „თანამედროვე ანდერძმა“ ჩაანაცვლა. ამდენად, რუსეთის უმთავრესი და მუდმივი ინტერესი კავკასიაში ოდითგანვე იყო და არის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და სამხედრო გავლენის შენარჩუნება-განმტკიცება. ამდენად, მცირე ერების გადარჩენის ერთ–ერთი გამოსავალია ორ დონიანი მოლაპარაკება კომპრომისების საფუძველზე, პირველ დონეზე აქტიური როლის შემსრულებელის სახელმწიფო, რომელმაც ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ მოლაპარაკებაში ჩართოს რამოდენიმე ისეთი ძლიერი სახელმწიფო, რომლებსაც პრეტენზია აქვს მსოფლიო მართვაზე, ხოლო, მეორე დონეზე უნდა მოქმედებდეს სახალხო დიპლომატია, რომლის პრიორიტეტი უნდა იყოს კონფლიქტის მეორე მხარესთან კონფრომისების გზების დაგეგმვა.

საკვანძო სიტყვები: სახალხო დიპლომატია, კომპრომისი, მოლაპარაკება.

შესავალი, საკითხის განხილვისათვის: აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის და, შემდგომში, 1921 წელს, საქართველოს ხელმეორე დაპყრობის შემდეგ, რუსეთი მუდამ ერეოდა ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობაში და საქართველოსგან ამ კუთხის მოწყვეტას ცდილობდა. აფხაზეთის ავტონომია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებში დაადასტურა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებამდეც, აფხაზეთი საკმაოდ ფართო ავტონომიით სარგებლობდა. 1918 წლის 9 თებერვალს, მაშინ, როცა საქართველო ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული დემოკრატიულ რესპუბლიკად, თბილისში აფხაზთა სახალხო საბჭოს და საქართველოს ეროვნული საბჭოს წარმომადგენელთა მოლაპარაკება გაიმართა. მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის ძალითაც აფხაზეთს საქართველოს შემადგენობაში ფართო ავტონომია ენიჭებოდა (**Из истории взаимоотношений грузинского, абхазского и осетинского народов** , 1990:11). მაგრამ, ეს რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და მან ჯერ საქართველოს წინააღმდეგ შენიღბული მოქმედებები

დაიწყო, რაც გამოიხატებოდა სხვადასხვა დონის ავტონომიური ერთეულების შექმნით და შემდგომში კონფლიქტური ვითარების შექმნის საფუძვლები შექმნა აფხაზეთში, აჭარაში, ცხინვალის ოლქში. დასაწყისში აფხაზურ კონფლიქტს ქართულ-აფხაზური სახელი დაარქვა, მაგრამ, 2008 წელს აშკარად გამოიკვეთა, რომ საქართველოს პირისპირ რუსეთის შეიარაღებული ძალა და ინტერესი იდგა, დაუოკებელი სურვილი - კვლავ დაეჩოქებინა საქართველო და საკუთარი გავლენის სფეროში მოექცია იგი. აღსანიშნავია, რომ ყველა ახალ–ახალი კონფლიქტის ესკალაციას წინ უძღოდა მთელი რიგი მოვლენები. როგორც ომის წინა პერიოდის ქრონოლოგიიდან ჩანს, რუსეთის ხელისუფლება, საქართველოში ყველა ახალი აგრესიისათვის, ზედმიწევნით ემზადებოდა (Svante E. Cornell, Johanna Popjanevski, Niklas Nilsson, 2008:3-9). მაგალითად, ვლადიმერ პუტინის ყოფილი მრჩევლის – ანდრეი ილარიონოვის აზრით, 2008 წლის ომისთვის მზადება, 1999 წელს, ვლადიმერ პუტინის რუსეთის ხელისუფლებაში მოსვლიდან დაიწყო. 1999 წლის სექტემბერში, ვლადიმერ პუტინმა, რომელიც 1999 წლის აგვისტოში, რუსეთის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა, ცალმხრივად მოხსნა, 1996 წლის 19 იანვარს, დსთ-ს ქვეყნების პრეზიდენტების მიერ დაწესებული აკრძალვა, რომელიც ჯარის ასაკის მამაკაცებს არ აძლევდა უფლებას, გადაეკვეთათ რუსეთ-საქართველოს საზღვარი, აფხაზეთის ნაწილში, რითაც რუსეთის ხელისუფლებამ აღნიშნული ხელშეკრულება დაარღვია. 2002 წლის 25 დეკემბერს, რუსეთის მთავრობამ, კიდევ ერთხელ დაარღვია 1996 წლის დსთ-ს ქვეყნების პრეზიდენტთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება და რუსეთსა და აფხაზეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლა გახსნა. 2003 წლის ივლისში, რუსეთმა სოჭიდან სოხუმში გაგზავნა ტურისტული გემი და ამით 1992-1993 წლებიდან, აფხაზეთზე დაწესებული საერთაშორისო ემბარგო დაარღვია. 2000 წლის ნოემბერში, რუსეთის მთავრობამ, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად და მისი ნების საწინააღმდეგოდ, საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ მონაკვეთებზე, აფხაზეთსა და ყოფილ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის ცალმხრივად შემოიღო სავიზო რეჟიმი საქართველოსთან. დაარღვია არსებული ხელშეკრულება და ცალმხრივად გამოვიდა დსთ-ს უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულებიდან. იმავდროულად, გამარტივებული სავიზო რეჟიმი დაუწესა აფხაზეთს, აჭარას და ცხინვალის რეგიონს. შემდგომ წლებში და, ამჟამადაც მიმდინარეობს, რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის მითვისების ახალი ტაქტიკა აირჩია, რომელმაც მცოცავი ანექსიის სახელით გახდა ცნობილი, დაიწყო აფხაზეთში აფხაზი მოსახლეობის სოციალური გენოციდი, რითაც აიძულებდა აფხაზებს აფხაზეთი დაეტოვებინათ. აფხაზმა ხალხმა დაინახა, რომ რუსეთის მზაკრული გეგმა და მიხვდნენ, რომ რუსებს მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორია აინტერესებს და არა აფხაზების კეთილდღეობა და დამოუკიდებლობა; აფხაზებში ეს გამოფხიზლებმა, რუსებმა შეამჩნიეს, ამდენად მათ აფხაზეთში დაიწყეს კრიმინალური ვითარების წახალისება, რომლის სათავეში სომეხი კრიმინალები მოაქციეს. ყოველივე ამის შემდეგ ქართველებისა და აფხაზების დაახლოების და ამით აფხაზების გადარჩენის მხოლოთ ერთი გზა დადგა: აფხაზების ისევ ქართველებთან დაახლოება. და, ამ პროცესში სახალხო დიპლომატიას აქვს დიდი უპირატესობა!

<u>საქართველოს ანექსიის ძირითადი მიზეზი:</u> საქართველო, თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, საუკუნეთა მანძილზე, როგორც რუსეთის, ასევე, დასავლეთის წამყვან სახელმწიფოთა ინტერესის ობიექტი იყო, განსაკუთრებით კი აფხაზეთი. აფხაზეთი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა რუსეთისათვის, ძალიან არსებითია და საგრძნობლად აღემატება ამ რეგიონის ძალიან მცირე გეოგრაფიულ მოცულობას, სახელდობრ: აქ გადის საზღვაო გზა დასავლეთისკენ, რკინიგზა, რომელიც შესაძლოა გახდეს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი, მიწის სიღრმეში მდებარეობს მრავალი კარსტული გამოქვაბულები, რომელიც კოსმოსური სამხედრო ტექნიკის განთავსებისათვის ხელსაყრელია. და: ვინც აკონტროლებს საქართველოს აკონტროლებს კავკასიას, კავკასია კი მსოფლიოს სტრატეგიული ცენტრია. ამიტომ რუსეთის საქართველოს ანექსიის კიდევ ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ საქართველო არ დაუახლოვდეს „ნატო“-ს და არ მოხდეს მისი გაწევრიანება ამ ორგანიზაციაში. რამეთუ, ანუ წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გაანულებდა რუსეთის კავკასიური ექსპანსიის შანსებს და სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა მის პოზიციებს რეგიონალურ და გლობალურ დონეზე.

ქართულ-აფხაზური სახალხო დიპლომატიის არსი: ადამიანები მეტ-ნაკლებად მუდამ ინტერესდებოდნენ ურთიერთობის სხვადასხვა აქტუალური საკითხით; ურთიერთობები შეიძლება განვითარდეს მიკრო და მაკრო დონეზე. მაკრო დონეზე ძირითადად ასპარეზზე გამოდის სახელმწიფო, საზოგადოება და იშვიათად ინდივიდი, ხოლო, მიკრო დონეზე დასაშვებია სამივე სუბიექტის (სახელმწიფო, საზოგადოება, ინდივიდი) თანაბრი მოქმედება.

საზოგადოების ზღვრული ობიექტი სახელმწიფოების ურთიერთობაა, ხოლო ინდივიდის ან ადამიანთა ჯგუფის ზღვრული ობიექტი საზოგადოებრივი ურთიერთობებია, რომელიც საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების კონტექსტში განიხილება.

ურთიერთობები მოიცავს ისეთ მიმართულებებს როგორიცაა ისტორია, პოლიტიკა, ეკონომიკა, გეოგრაფია, საერთაშორისო სამართლი, რელიგია. და, ისეთი საკითხების განხილვა როგორიცაა: რატომ წარმოიშობა ომი? როგორ შეიძლება სტაბილურობის მიღწევა? რატომ არსებობს უზარმაზარი სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა ადამიანებს შორის?

ზემოთ აღწერილი ურთიერთობიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია და რთულია პოლიტიკური ურთიერთობა, რამეთუ პოლიტიკა ავტონომიურია ეკონომიკის, ეთიკისა თუ ადამიანის ცხოვრების სხვა სფეროებისაგან. ამიტომაცაა, რომ პოლიტიკის სფეროში ქმედებების შეფასება არა საყოველთაო ზნეობრივი ნორმებისა და წესების თანახმად ხდება, არამედ პოლიტიკური შედეგიანობის მიხედვით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკოსი მოქნილი უნდა იყოს, რამეთუ მისთვის უმაღლესი ზნეობა მისი ქვეყნის ინტერესებია. საერთოდ, პოლიტიკა უნდა გამომდინარეობდეს არა იქიდან, თუ რა უნდა იყოს, არამედ რეალური მდგომარეობიდან, იქიდან, რაც არის. ამ რეალურობიდან გამომდინარე პოლიტიკურ ურთიერთობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სახალხო დიპლომატია, რადგანაც ის გარკვეულწილად თავისუფლდება გამომძალველ პოლიტიკისაგან ანუ ცალმხრივი ინტერესების დაკმაყოფილების პოლიტიკისაგან. ამასთან, სახალხო დიპლომატიას არ უნდა დაავიწყდეს, რომ – პოლიტიკური რეალიზმის თვალით დანახული ურთიერთობა ეს გადარჩენისათვის დაუსრულებელი ბრძოლაა, ამდენად, მშვიდობის ქადაგება ეს მოქმედების ან თუნდაც კონფლიქტის მხოლოდ მოჩვენებითი ფორმაა, რომელიც მიზნის მიღწევის საუკეთესო ფანდია.

სახალხო დიპლომატია თავისი განვითარების დონით შეიძლება იყოს ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო. აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევა არის როგორც ადგილობრივი (აფხაზეთი საქართველოა) ასევე რეგიონული ხასიათის, ვინაიდან თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს გავლენა კავკასიაში მაღალია ქართულ–აფხაზური კინფლიქტი ხდება რეგიონული მნიშვნელობის და მაშინ აღნიშნული სახალხო დიპლომატია კავკასიური ძმობის იდეას უნდა ემსახურებოდეს, სადაც საქართველო ერთობის შემკვრელი და დამცველი ძალა უნდა იყოს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ აქ კარგად გათვლილ რეგიონულ პოლიტიკასთან უნდა გვქონდეს საქმე, რომელშიც მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს მოკავშირეობა, როგორც მეზობელი, ასევე სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ან ორგანიზაციებთან.

მოკავშირეობა ორმხრივ სარგებელს გულისხმობს, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთსულოვნებასა და აზრთა ერთიანობას, რომელიც მუდამ უნდა არსებობდეს მოკავშირეთა შორის, როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს. ზოგიერთ შემთხვევაში მოკავშირეობა, შეიძლება განიხილებოდეს როგორც იძულებითი ნაბიჯიც შექმნილი საგარეო-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე და ეს იძულებითი ნაბიჯი საჭიროა კონფლიქტის რეალური სახის წარმოსაჩენად.

როგორც ცნობილია ეთნოსი ოდითგანვე დილემის წინაშე დგას განახორციელონ ინტეგრაცია მის მსგავს ხალხთან თუ დაუპირისპირდნენ, ეს ორივე მდგომარეობა ნებაყოფლობითია, მაგრამ იწვევს კონფლიქტს და, მეორე მხრივ, სურვილს მშვიდობის საჭიროების; ამდენად სახალხო დიპლომატიის ყველაზე უფრო დადებითი მხარეს სწორედ ის წარმოადგენს, რომ განსხვავებულნთა თანაარსებობის პირობა შექმნას და ინტერესების შეთანხმება მოახდინოს.

სახალხო დიპლომატიის მოქმედების ოპტიმალური გეგმა:

ნებისმიერ სახალხო დიპლომატიის განხორციელებისათვის სავალდებულოა შემდეგი კრიტერიუმების დაცვა:

1. ქმედება არ უნდა გაცდეს ხალხთა ურთიერთობის საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ნორმებს;

2. სახალხო დიპლომატიის მოქმედება უნდა ემსახურებოდეს ორივე მხარის ინტერესებს;
3. ქმედებით უნდა დადგეს უფრო მეტი პოზიტიური შედეგი, ვიდრე ზიანი, რომელიც არსებობდა.

ამ პირობებიდან გამომდინარე უნდა აიგოს მოქმედების გეგმა, შემდეგი საფეხურებით:

1. პრესით და ტელევიზიით გააცნოს თავისი საქმიანობის გეგმა და მიზნები;
2. დაამყაროს კავშირი იმ საზოგადოების ნაწილთან ვინც დაინტერესებულია ამ პროცესით;
3. დააინტერესოს საზოგადოების დანარჩენი ნაწილი და ჩართოს თავის საქმიანობაში;
4. დაამყაროს კავშირი კონფლიქტის მეორე მხარესთან;
5. კონფლიქტის მეორე მხარესთან გამონახოს საერთო ინტერესების სფერო;
6. დასვას პრობლემები და დასახასოს მისი გადაჭრის გზები;
7. განსაზღვროს ის სფერო ან მდგომარეობა რომლის უგულვებელყოფა შეუძლებელია და მოახდინოს მისი ერთობლივი დაკონსერვება;
8. ხელი შეუწყოს ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას – მეცნიერების, კულტურის, განათლების და სპორტის სფეროში;
9. მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე დასახოს ახალი მოქმედების გეგმა.

სახალხო დიპლომატიაში მოლაპარაკების გეგმა ქმნის გადაწყვეტილების მიღების თანმიმდევრული ციკლს, მაგრამ თუ მოლაპარაკების გეგმა არ შეესაბამება რეალობას და ის ცუდათაა დაგეგმილი მაშინ მოლაპარაკების პროცესს მივყევართ უარყოფით შედეგებამდე, რომლის ალგორითმი ქვემოთ მოყვანილ ნახაზეა გამოხატული (ნახ. 2. მოლაპარაკების ჩაშლის ალგორითმი).



ნახ. 1. მოლაპარაკების ჩაშლის ალგორითმი

ქართულ–აფხაზური სახალხო დიპლომატიის შეფასება: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზეთის აჟამინდელი მდგომარეობა, რამეთუ დასავლეთ ქვეყნების დაინტერესება აფხაზეთით შემცირდა ვინაიდან წარმოიქმნა დაინტერესების უფრო მნიშვნელოვანი გარემოება და საფრთხე – უკრაინის კონფლიქტი. ამ გარემოებამ გარკვეულწილად იმოქმედა საქართველოს ხელისუფლებაზე და მთავრობაზე, და აფხაზური კონფლიქტის მოგვარების უიმედობა გაჩნდა „სულერთია მაინც არაფერი არ გამოგვივა“ რამაც ჩამოაყალიბა უკან გადადგმული ნაბიჯის დაბალანსების სტრატეგია. პირველი, როგორც უკვე აღვნიშნეთ დასავლური ქვეყნების მიერ აფხაზეთის კონფლიქტის დაინტერესებით არის გამოწვეული და, ასევე გამოწვეულია აშშ–ს მხრიდან დახმარების შემცირებით და რუსეთის კატეგორიული განცხადებებით, რომ: „მზად არიან საქართველოსთან აღადგინონ დიპლომატიური კავშირი, მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხების განხილვის გარეშე“, ხოლო მეორეს წარმოშობის მიზეზია ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური ვითარების შენარჩუნების აუცილებლობით, რომ არ წარმოიშვას ახალი პოლიტიკური კრიზისი, რომლის ლეიტმოტივია

გეოგრაფიულად ახლოს მდებარე და აგრესიული სახელმწიფოს დაბალანსება, გეოგრაფიულად შორს მყოფი სახელმწიფოს მეშვეობით.

სახალხო დიპლომატიაში მოლაპარაკება ითვალისწინებს ერთობლივი ძალისხმევით ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების ძიებას. ისინი ცვლიან ინფორმაციას საკუთარი ინტერესებისა და პრიორიტეტების შესახებ, ერთობლივად მუშაობენ იმ პრობლემების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც მათ აშორებთ, გონებრივი შტურმით არჩევენ საპირისპირო ინტერესების დაახლოების ალტერნატივებს და ერთობლივად აფასებენ მათ საერთო კეთილდღეობის პოზიციიდან. მაგრამ ქართველებსა და აფხაზებს შორის გახსნილი დისკუსია ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი. აფხაზეთის მხარეს შესაძლოა შეეშინდეს, რომ პოზიციის გამოაშკარავების შემთხვევაში რუსეთი მათ მიმართ განახორციელებს დამსჯელ ღონისძიებას. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია ფარული ურთიერთობაზე გადასვლა ან მხოლოდ პრობლემის არსებობის მიზეზების დაფიქსირება, რამეთუ ეს სტრატეგია ამცირებს ხელმეორე ესკალაციის წარმოშობის საშიშროებას. საკითხის ასე დასმა არ უქმნის საფრთხეს დაპირისპირებულ მხარეებს ვინაიდან ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს ისეთი კომპრომისების და ისეთი ინტეგრალური შესაძლებლობების აღმოჩენას, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს დააკმაყოფილებს და, ამასთან, არ გააღიზიანებს რუსეთს.

დღევანდელ ვითარებაში აქტიურ ურთიერთობაზე გადასვლა დაკავშირებულია რისკთან, ვინაიდან აქტიურ მხარედ საქართველო გამოვა და ამან შეიძლება გადაწყვეტილების ცალმხრივ პოზიციამდე მიგვიყვანოს. გადაწყვეტილების ცალმხრივად ძიებამ კი შიძლება შეასუსტოს აფხაზების აქტიურობა და მათში ეჭვი წარმოქმნას. როგორც წესი გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იწყება კონფლიქტის მოგვარების დაწყება, მაგრამ მესამე ძალის არა სასურველი ჩარევა, მოლაპარაკება, მკვდარ წერტილამდე დაყავს და ისევ საჭიროა დრო, რომ ხელმეორედ დაიწყოს მოლაპარაკება. ამ დროს დრო რუსეთის სასარგებლოდ მოქმედებს და ის უკვე შესაძლოა როგორც მოლაპარაკების მესამე მხარე კი არა, არამედ უშუალოდ მოლაპარაკების მეორე მხარედ მოგვევლინოს.

როგორც ცნობილია პრობლემის წარმატებულ გადაჭრას მივყავართ იმ შედეგებამდე, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც კომპრომისები, შეთანხმებები გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურებზე და ინტეგრალური გადაწყვეტილებები.

I. მოლაპარეკებაში კომპრომისი წარმოადგენს იმ შეთანხმებას, როდესაც ორივე მხარის თანხვედრა ხდება ყველასთვის გასაგები განზომილების შუა წერტილში, მაგალითად:

ა). მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ დათმობის ისეთ სიდიდეებზე, რომელიც მათ საწყის პოზიციების შუალედი იქნება ანუ შექმნან თავისუფალი ეკონომიკური ზონა;

ბ). მოლაპარაკების მხარეებმა მოლაპარაკება დაიწყონ ახალი ათვლის წერტილიდან, მაგალითად კონფედერაციის შექმნით ერთიანი კონსტიტუციით;

კომპრომისი ორივე მხარისთვის ან ძალიან კარგია, ან ძალიან ცუდი. მაგრამ უფრო ხშირად კომპრომისი ორივე მხარისთვის საშუალო შედეგს იძლევა, სამაგიერო დაძაბულობის ხარისხი იკლებს და შესაძლოა კონფლიქტი სრულად აღმოიფხვრას. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ უამრავი კონფლიქტი სწორედ კომპრომისით მთავრდება.

II. შეთანხმებები გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში ხდება გამარჯვებულის გამოვლენა, ანუ წესი, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე მიიღებს ყველაფერს, ხოლო მეორე - არაფერს, ან ძალიან ცოტას. ჩვეულებრივ იყენებენ რამდენიმე ასეთ პროცედურას:

ა). ძალათა უპირატესობის გამოვლენის საფუძველზე ხდება გამარჯვებულის დასადგენად;

ბ). შეადარებენ მოთხოვნილებებს და გამარჯვებას მიანიჭებენ იმას, ვინც უფრო მეტადაა შეწუხებული არსებული ვითარებით;

გ). საკითხის გადასაწყვეტად მიმართავენ მესამე მხარეს და გამარჯვება ერგება იმას, ვისი პოზიციაც ყველაზე ახლოსაა მომრიგებლის პოზიციასთან.

(III) მოლაპარაკების პროცესში ინტეგრალური გადაწყვეტილებათა მიღება ანუ შედეგიანობა ისაა (ვლინდება), რაც ერთმანეთს მოარგებს კონფლიქტის მხარეების ინტერესებს და ეფუძნება ალტერნატივების სისტემას, რაც წარმოშობს ახალი გადაწყვეტილებების წარმოქმნის შესაძლებლობას, ამიტომ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვეულებრივ, ინტეგრალური გადაწყვეტილებები შემოქმედებითი აზროვნების შედეგია და ისინი შეიძლება მოიფიქროს კონფლიქტის თითოეულმა მხარემ ცალ-ცალკე, ან ორივემ ერთობლივი მუშაობით, ან მესამე მხარემ, როგორც მედიატორმა, რამაც შესაძლოა მოლაპარაკება უსასრულოდ ხანგრძლივი გახადოს.

III. მოლაპარაკების ინტეგრალური შედეგი მოიცავს შემდეგ აზრობრივ სისტემას უარყოფითს (ა) და დადებითს (ბ):

ა). უარყოფითი: თუ ასპირაციები მაღალია და მხარეები დათმობის წინააღმდეგნი არიან, კონფლიქტის გადაჭრა შეუძლებელი ხდება, მანამ სანამ მხარეთა ინტერესების გაერთიანების გზა არ მოიძებნება მესამე მხარის დახმარებით და მესამე მხარის ინტერესების გათვალისწინებით;

ბ). დადებითი: გადაწყვეტილებები, რომლებიც გულისხმობს მაღალ ერთობლივ მოგებას, ეკონომიკური მოგებიანობით, ურთიერთობები ხდება ღირებული და, თავის მხრივ, მომდევნო პროცესს უწყობს ხელს. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ, ინტეგრალური გადაწყვეტილებები კეთილდღეობას მატებს იმ უფრო ფართო საზოგადოებას, რომლის წევრებიც არიან უშუალოდ კონფლიქტის მხარეები. მაგრამ, მესამე მხარე რჩება თამაშგარე მდგომარეობაში, რაც ჩვენს რეალობაში ძნელად წარმოსადგენია, რამეთუ რუსეთი ისეთი მხარეა, რომელიც კონფლიქტში მთავარი მოთამაშეა.

თითქოს–და მოლაპარაკებაში ყველაზე სასურველია ინტეგრალური გადაწყვეტილებები და ამ მიდგომას შეაქვს უფრო დიდი წვლილი მხარეთა ურთიერთობასა და საზოგადოების საერთო კეთილდღეობაში, ვიდრე ამას აკეთებს კომპრომისი და შეთანხმებები გამარჯვებულის გამოსავლენად. მაგრამ, არსებული რეალობიდან გამომდინარე აფხაზებისათვის და ქართველებისათვის უფრო ხელსაყრელია კომპრომისების მოლაპარაკების ფორმა, რადგანაც უფრო მეტი ალბათობაა, რომ მოლაპარაკება მიგვიყვანს სასურველ შედეგებამდე მოლაპარაკებაში ჩართული ყველა მხარისათვის. გარდა ამისა, მათ აქვთ ტენდენცია, შეასუსტონ კონფლიქტური ვითარების განცდა. ხოლო, ინტეგრალური გადაწყვეტილებების მიღება ყოველთვის არ არის შესაძლებელი, რამეთუ გარემოებათა უმეტესობაში ინტეგრალური პოტენციალი შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვიდრე ამას მხარეები აცნობიერებენ. ვინაიდან ასპირაციები შესაძლოა ძალიან მაღალი იყოს გამოხატული სხვადასხვა ფაქტორებში, კერძო: დროის ზეწოლა - მაღალი, კონფლიქტის გაღრმავების და გაფართოების შიში - მაღალი.

სახალხო დიპლომატია უნდა ემყარებოდეს შემდეგ კონცეფციებს:

ა. დროითი ღირებულების კონცეფცია, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ დროს კონფლიქტის დარეგულირებაში აქვს დიდი მნიშვნელობა და აქცენტი გაკეთებულია დროის რაციონალურ გამოყენებაზე. ამ კონცეფციის გამომწვევი მიზეზებია: აგრესიის ზრდა; რისკი - კონფლიქტი მომავალში შეიძლება არ დარეგულირდეს; კონფლიქტის დაკონსერვება;

ბ. კომპრომისის აუცილებლობის კონცეფცია. სახალხო დიპლომატიის კონცეფციის ეს თეორია გულისხმობს, რომ მოლაპარაკების მხარეებს შორის შეიძლება წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი. და, ამ მოლაპარაკებას მაშინ ექნება შედეგი თუკი მხარეები გამონახავენ კომპრომისს.

გ. კომპრომისებისა და რისკის კონცეფცია, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მოლაპარაკებაში რაიმე დათმობა დაკავშირებულია სხვა ახალ დათმობასთან. ამასთან მათ შორის პირდაპირი კავშირი არსებობს: რაც უფრო დიდია დათმობა, მით უფრო მაღალია რისკის ხარისხი;

დ. მოლაპარაკების ღირებულების კონცეფცია. ამ კონცეფციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერ მოლაპარაკებას სჭირდება ინფორმაცია, და ამ ინფორმაციას გააჩნია არამატერიალური (დრო, ემოცია, მორალი) და მატერიალური (ფული) ღირებულება;

ე. ასიმეტრიული ინფორმაციის კონცეფცია, რომელიც მჭიდროთაა დაკავშირებული მოლაპარაკების ღირებულების კონცეფციასთან. ამ კონცეფციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოლაპარაკების მხარეები განაგებენ მოლაპარაკების შესახებ შედარებით მცირე ინფორმაციას, ვიდრე მოლაპარაკების მესამე მხარე. ასიმეტრიული ინფორმაციის შედეგად კონფლიქტის მონაწილე მხარეები განიცდიან გარკვეულ მოლაპარაკების შედეგობრივ დანაკარგს;

გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მწვავე დაპირისპირების პირობებში სტრატეგიული სისტემური ანალიზის გარეშე შეუძლებელია სახალხო დიპლომატიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება, ამისათვის ანუ დადებითი შედეგის მისაღწევად აუცილებელია: ა) შეფასებულ იქნეს მოლაპარაკების განვითარებია შესაძლო დინამიკა; ბ) დროულად და სწორად შეიმუშავონ ოპტიმალური გადაწყვეტილებები მოლაპარაკების პროცესის ნორმალური მსვლელობისათვის.

სახალხო დიპლომატიის ზემოთ განხილული კონცეფციები კაუზალური (მიზეზით შეპირობებული) ხასიათისაა, რომელიც მნიშვნელოვანი სახალხო დიპლომატიის ორგანიზაციულ მართვაში. მაშასადამე, სახალხო დიპლომატიის საქმიანობის ეფექტიანი მართვა მიიღწევა კაუზალური პრინციპების რეალიზაციით (იხ. ნახ. 1).



ნახ. 2. სახალხო დიპლომატიის კაუზალური მართვის პრინციპები

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1) მოლაპარაკების ფორმატი პირდაპირ ან ირიბად გავლენას ახდენს შემდეგი მოლაპარაკების ფორმირებაზე, რამეთუ ის უშუალოდაა დაკავშირებული მოლაპარაკების მხარეების სურვილთან;

2) გადაწყვეტილებების ფორმირების კომპლექსური ხასიათი - ყველა გადაწყვეტილება ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და გავლენას ახდენს მოლაპარაკების შედეგზე;

4) მოლაპარაკების ყოველი გადაწყვეტილების მომზადება უნდა ითვალისწინებდეს ქმედებების ალტერნატიულ ვარიაციებს;

5) თუ მოლაპარაკების დროს მიღებული გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგება მოლაპარაკების ძირითად მისიას საჭიროა მისი გადახედვა ან უნდა გადაიდოს სამომავლო განხილვისთვის.

<u>დასკვნა:</u> „აფხაზეთის კრიზისი“ ვითარდებოდა XX საუკუნის მთელ მანძილზე „დივერსიფიცირებული ევოლუციის“ გზით: რუსეთისაგან მართული აფხაზური ეთნოკრატიული „სეპარატიზმის“ აღმავლობა-შეკავების ფაზების პერიოდული მონაცვლეობით. რუსეთისაგან მართული ე.წ. სეპარატიზმისა და რუსული იმპერიალიზმის „ალიანსს გამოკვეთილი ანტიქართული ხასიათი ჰქონდა („სიტინის გეგმა- 1992წ., სოჭის ოლქისა და აფხაზეთის გაერთიანებით ე.წ. „საკურორტო რესპუბლიკის“ შექმნის გეგმა-1945-47 წ.წ., „სუსლოვის დოქტრინა“ -1961 წ., XX საუკუნის 50-80-იან წლებში აფხაზეთში სამოქალაქო-პოლიტიკური პუტჩების სერია და სხვა.).

საქართველოში არის ერთი კონფლიქტი - ესაა კონფლიქტი რუსეთის ფედერაციასთან და ამ კონფლიქტში ეთნიკური აფხაზი და ოსი საქართველოს მოქალაქეები, რუსეთის ხელისუფლების მიერ გამოყენებულია საშუალებად, რასაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არაერთხელ ჰქონდა ადგილი;

საქართველოს მომავალი ბევრად იქნება დამოკიდებელი იმაზე, თუ რაოდენ პრინციპულად წარმართავენ აშშ, „ნატო“ და ევროკავშირი რუსეთთან ურთიერთობას და რამდენად მტკიცედ და უკომპრომისოდ დაიცავენ ისინი საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს;

საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების ერთ–ერთ მნიშვნელოვან გზად რჩება მისი მშვიდობიანი გზებით გადაჭრა. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით მიღებულ რეზოლუციებს და დადგენილებებს, რომლებიც რუსეთის ხელისუფლების მიერ, უკანონოდ აღიარებულ კონფლიქტურ რეგიონებს საქართველოს ნაწილად მიიჩნევენ და მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას;

დასავლეთის სახელმწიფოები უძლურნი აღმოჩნდნენ, როგორც 2008 წლის ომის თავიდან აცილების, ისე, მისი მძიმე შედეგების ლიკვიდაციის საქმეში. საქართველო მათთვის მხოლოდ ნავთობსადენისა და გაზსადენის სარტანზიტო დერეფნად მოიაზრება;

შესამუშავებელია შიდა და საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების ის სისტემა, რომელიც ქვეყანას ახალი მოსალოდნელი საფრთხეებისგან დაიხსნის და შესაძლებლობას მისცემს მომავალში, ტერიტორიული საზღვრების ერთიანობისა და მთლიანობის აღსადგენად;

რუსეთ - საქართველოს ომი, ეს არ იყო საქართველო-ოსეთის ან საქართველო - აფხაზეთის ომი. ეს იყო აშშ-სა და რუსეთის კონფრონტაცია საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც რაღაც პერიოდით, მათ შორის განხეთქილების ვაშლად იქცა. საჭიროაა, რომ საქართველომ გამოიმუშაოს გონივრული და რეალისტური საგარეო პრინციპები და პრიორიტეტები, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიან მშვიდობას და სამშვიდობო-სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებას;

სამხრეთ კავკასია ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ამავდროულად, რთული რეგიონია და საქართველოც მუდმივად გეოპოლიტიკური ძვრების პროცესში იქნება;

საქართველოსთვის დადებით გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს, კონფლიქტის მოგვარების საქმეში სახალხო დიპლომატიის ჩართვა;

მოსაზრება: 2008 წლის 7-12 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი არა მხოლოდ ჩვენი რეგიონისათვის, შესაძლებელია საერთოდ ახალი გეოსტრატეგიული „წელთაღრიცხვის“ დასაწყისი გახდეს, ვინაიდან ეს მოვლენა შეიცავს ახალი გეოპოლიტიკური პროცესის ინიცირებას-მსოფლიო წესრიგის არსებული მოდელის შეცვლის პერსპექტივას;

საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ და საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციამ ნათლად გამოკვეთა ახალი გლობალური გეოპოლიტიკური კონტურები:
- რუსეთის ევროაზიური იმპერიის აღდგენისა და მის ირგვლივ ახალი გლობალური პოლუსის ჩამოყალიბების მცდელობა.

<u>წინადადება:</u> საქართველოსთვის სტრატეგიული დახმარების გაწევა, უნდა განიხილებოდეს, როგორც გლობალური გეოპოლიტიკური რევოლუციის პრევენცია. თუ საქართველოს სერიოზულად არ დაეხმარებიან, თუ მხარდაჭერის დინამიკა არ გადავა მუდმივი სტრატეგიული პროტექციის (განსაკუთრებით სამხედრო გარანტიების) რეჟიმში, კრემლის იმპერიული პროექტი შეუქცევადი გახდება; შედეგად: დასავლური ცივილიზაცია იძულებით მიიღებს საერთაშორისო ურთიერთობათა რუსულ-ევრაზიულ მოდელს; ტრანსატლანტიკური სისტემა-დეზინტეგრაციის მძლავრ იმპულსებს; ევროკავშირი - „საფრთხეების სტრატეგიის“ ახალ ტალღას; პროცესი დიდად დააზარალებს, შეზღუდავს აშშ-ს გეოსტრატეგიულ ინტერესებს.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტად „ნატო“-ში და დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანება რჩება, მაგრამ საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობიდან და ურთულესი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ თემით მუდმივად აპელირება დაუშვებელია. საჭიროა გაწონასწორებული, დაბალანსებული საგარეო პოლიტიკური კურსი.

მიმართვა
საქართველოს მოსახლეობას
და
საქართველოს ჰელსინკის კავშირს

როგორც დღეს ისე არასდროს საქართველო ასეთ ცუდ ვითარებაში არ ყოფილა, თავი იჩინა ისტორიულმა უსამართლობამ და აშკარა გახდა ქართველი ერის მიმართ მეზობელი სახელმწიფოების მტრული დამოკიდებულება, რომელიც ვლინდება ტერიტორიების, კულტურის, ისტორიის მითვისებაში და ქართველი ერის გენოციდში.

როგორც დღეს ისე არასდროს საქართველოს მოსახლეობამ ხმა უნდა აიმაღლოს და მსოფლიოს აცნობოს ქართველი ერის მიზანმიმართული განადგურების შესახებ; ამისათვის, როგორც კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრემ ჰელსინკის კავშირმა უნდა შეაგროვოს საქართველოს მოსახლეობის ხელმოწერები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში (ცხინვალის რეგიონი) რუსეთის და სომეხი შეიარაღებული ბანდების მიერ ქართველების გენოციდის საერთაშორისო აღიარების თაობაზე.

საქართველოს მოქალაქე: ვაჟა კაკაბაძე

ზაზა კორტანელი

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -

- ეროვნული აღორძინების“
ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრი,
ჟურნალ „მატიანეს“ რედკოლეგიის წევრი
საზღვარგარეთ

ნ ო ვ ე ლ ე ბ ი

მიწა

ტიროდა ვაზი.ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლები... მისი ცრემლი ალბობდა და ათბობდა მიწას.ვაზის მახლობლად ჩიტი-ჩიორა შემომჯდარიყო ღობეზე.

რატომ ტირი? - დაინტერესდა ჩიტუნა.

დუმდა ვაზი.

ჩიორამ გლეხს ამცნო,ვაზი ტირისო.

გლეხმა მიუალერსა,მოეფერა ვაზს,ტირილის მიზეზი ჰკითხა.

არც მას გაანდო გულისდარდი ვაზმა.მხოლოდ მიწამ იცოდა ვაზის გასაჭირი,მხოლოდ მიწა იყო ვაზის მესაიდუმლე!

მზე

მზე თუ გიყვარს? - ჰკითხა ბიჭუნამ დედას.

მიყვარს,შვილო - მიუგო დედამ.

მართლა? - გაუკვირდა ბიჭს.

რატომ გაგიკვირდა? - გაეღიმა დედას.

გუშინ ერთი კაცი ეუბნებოდა მამას,მზე არ მიყვარს,სული მეხუთება,სუნთქვა მიჭირს მისი მცხუნვარე სხივების ქვეშო - თქვა ბიჭმა.

უმზეოდ სულ ღამე იქნებოდა ქვეყნად, მზე სიცოცხლეს ანიჭებს სამყაროს - მოეფერა დედა ბიჭს.

ბიჭუნამ ცას ახედა, მზე უცინოდა ციდან. ბიჭუნას გაეცინა,მერე ყველა ის ადამიანი შეებრალა,რომელთაც მზე არ უყვარდათ.

წყალობა

ადამიანები წყალობას ელოდნენ ღმერთისგან, ღმერთი კი ადამიანობას ელოდა მათგან.

წუწუნებდნენ ადამიანები, რატომ არ გვწყალობსო უფალი, ხოლო ღმერთი კვლავ მოთმინებით ელოდა მათ ადამიანობას, რამეთუ ადამიანთა ადამიანობა იყო საწყისი უფალთან მსგავსებისა და მათი სულის ცხონებისა, რომ ადამიანად მოვლინება იყო ამ ქვეყნად უფლის უდიდესი წყალობა.

ზარები

რეკდნენ ზარები...

ადამიანები ტაძრის წინ ჩერდებოდნენ და პირჯვარს იწერდნენ.

რეკდნენ ზარები...

ტაძარში მყოფნი შენდობას თხოვდნენ უფალს.

რეკდნენ ზარები...

კვლავ იმავეს აკეთებდნენ მიწიშვილები, მაგრამ მათ გულამდე ვერ აღწევდა ზართა გუგუნი.

ი გ ა ვ ე ბ ი

მფრინავი მელია

ერთმა მელამ ფრენა მოინდომა, ცაში ჩიტებს დავიჭერ ადვილად და მიწაზე ქათმებსო, ფრთების გამოსხმას ნატრობდა დღემუდამ, ერთ დღესაც აუსრულდა ნატვრა, ფრთები გამოესხა, მანაც უმალ ზეცაში დაიწყო ნავარდი, მაღლა ჩიტებით იტკბარუნებდა პირს, დაბლა მსუქანი დედლებით.

ერთხელაც არწივმა დაინახა მფრინავი მელა, გამოუდგა, კლანჭები ჩაასო, ბუდეში წაიღო და მადიანად შეექცა.

ღმერთი და მდიდარი

სოფელსა ერთსა ცხოვრობდა კაცი ვინმე, ძალზედ მდიდარი და ყოველგვარ სიამეთა არ მომკლები, გარნა ძუნწი, ღატაკთა მჩაგვრელი. ზოგჯერ შეაწუხებდა სინდისი, ვითომ თავს არიდებდა, ცარიელს ქვევრში იმალვიდა ხოლმე.დღესა ერთსა გამოეცხადა კაცს ღმერთი და ჰრქუა მას: საკუთარ სინდისს რომ ემალვი, მე სადღა დამემალვი, ჟამსა ბოლოსა შენის სიცოცხლისა ჩემს წინაშე მოგიწევს ცოდვებით დამძიმებულს წარდგომაო.

ყვავი

ერთხელ ფრინველებმა ყვავს თხოვეს, ბულბული შეუძლოდ გახდა და არწივის იუბილეზე მისი მაგივრობა შენ გასწიეო, ცხოვრებაში ერთხელ მაინც იქნები ბულბულის ადგილას და პატივი დაგედებაო. სინამდვილეში ფრინველთ ყვანჩალას გამასხარავება ეწადათ. ყვავი ჯერ ჩაფიქრდა, მერე კი თქვა: ბულბულობა რომ მოვინდომო,მთელი საფრინველეთი მასხარად ამიგდებს და ისევ ყვავად დარჩენა მირჩევნიაო.

არწივი, ლომი და მელა

არწივი და ლომი ერთურთს ეტრაბახებოდნენ: მე ცისა და მიწის მბრძანებელი ვარ, ცაშიაც ვშოულობ ნადავლს და მიწაზეც, ხოლო შენ მარტოოდენ დედამიწაზე ნადირობო - ბაქიობდა არწივი.

შენ მიწაზე მხოლოდ სუსტებს ერევი, მე კი ძლიერებთანაც შემიძლია შეჭიდებაო - გაიძახოდა ლომი.

ტრაბახი კამათში გადაიზარდა, რომ ვერ შეთანხმდნენ, ვინ უფრო ძლიერი იყო მათ შორის, იქვე მოცუნცულე მელაკუდას უხმეს და ჰკითხეს, რომელი იყო მათგან ყველაზე ძლიერი. მელამ ულვაშებში ეშმაკურად ჩაიცინა და მიუგო: უდავოა, თქვენ ორივენი ძლიერები ხართ ,,მეფეებად დაბადებულნი, მაგრამ ზოგჯერ მეფეებს ქვეშევრდომნი შეთქმულებას უწყობენ, ტახტიდან აგდებენ, ხოლო, თუ მეფე გონით მართავს სამეფოს, თუნდაც ფიზიკურად სუსტი იყოს, ასჯერ მასზე ღონიერს ჯობია და ქვეშემრდომნიც პატივს მიაგებენ, თუ გონიერი არა ხარ, მარტო სიღონიერე ვერაფერი ბედენაარ.

მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი

მოცარტი

გენიოსები აღსასრულის ჟამს სიკვდილს ეპაექრებიან და მარტოობაში კვდებიან

თოვს ...

თოვლის ფანტელები ფარფატით ეშვებიან ციდან და ძირს დაშვებულნი მიწას ეალერსებიან. თოვლით იფარება ვენის ქუჩები. ფოთლებისაგან გაძარცული ხეები თეთრ ნაბდებში ეხვევიან. ძეხორციელის ჭაჭანება არ არის გარეთ, თითქოს ცივ ზამთარს ემალებიანო, ადამიანები სახლებში შეყუჟულან. სამარისებური სიჩუმე გამეფებულა ირგვლივ,რაღაც ავის მოლოდინში გაყურსულა ქალაქი.

ახალგაზრდა მამაკაცი ნელი ნაბიჯებით მიუყვება ვიწრო ქუჩას. ისე ფრთხილად ადგამს თოვლიან მიწაზე ფეხს, ადამიანს ეგონება, რომ არ უნდა, ჯერ კიდევ მიწიშვილის ფეხისაგან შეურყვნელ თოვლზე მისი ნაკვალევი დარჩეს. ოფლმა დაუცვარა შუბლი, სხეულში საშინელი სიმხურვალე შეიგრძნო, ასე ეგონა: შიგნეულობა ეწვოდა.

სახლთან მივიდა, კედელს მიეყრდნო ზურგით, ხარბად ჩაისუნთქა ცივი ჰაერი, სასიამოვნო სიგრილემ მიუალერსა მის სხეულს.

სახლის კიბეები აიარა, კარი შეაღო, საძინებელში შევიდა, ტანისამოსის გაუხდელად მიესვენა საწოლზე.

ძლიერ ციოდა სახლში, მაგრამ კაცი ვერ გრძნობდა სიჩივეს, ხელები გაყინვოდა მხოლოდ.

ო, ღმერთო, მომეცი ძალა, დავასრულო ჩემი ბოლო ნაწარმოები, როგორც გედი, ბუნების უმშვენიერესი ქმნილება მღერის სიკვდილის წინ უკანასკნელად, მომეც ძალა, მეც შევძლო ეს, მეც მოვკვდე გედივით!

შენც... შენც ხომ ქვეყნიერების შექმნის შემდეგ შენი უკანასკნელი და დიდებული ქმნილება შექმენი- ადამიანი, შენს ხატად და მსგავსად შექმენი იგი, ხოლო მე ჩემს სადიდებლად მსურს შევქმნა ჩემი ბოლო ქმნილება! - შეევედრა ღმერთს კაცი.

ქუთუთოები დაუმძიმდა, არ სურდა დაძინება, რომ ვერ გაეღვიძა, სამუდამოდ რომ დაეხუჭა თვალები, მერე ვინ დაასრულებდა მის ნაწარმოებს?! ვინ ჩაუდგამდა სულს?! არა! მას უნდა ეცოცხლა, თუნდაც რამოდენიმე საათს, რათა უკვდავებაში გადასულიყო, სამუდამოდ უკვდავების ბინადარი გამხდარიყო!

ვოლფი, შენ უფალთან გაჯიბრება გსურს, ვოლფი! - ვიღაცამ ბოხი ხნით ჩასძახა ყურში.

საწოლიდან წამოიწია ვოლფგანგი, თვალი მოავლო ოთახს: მის გარდა არავინ იყო ოთახში სულიერი.

ალბათ უფალია, ან, იქნებ, ეშმაა თავად?! - გაიფიქრა და შეძრწუნდა ამადეუსი.

ვინ ხარ?! - დაიყვირა მოცარტმა.

ნუთუ ვერ მხედავ, ვოლფი?! მე ის ვარ, ვისაც მთელი შენი ცხოვრება ერკინებოდი, ვოლფი! - გაეპასუხა უხილავი არსება.

შენ ხარ, უფალო?! - გაკვირდა მოცარტი.

არა, ვოლფი, მე სიკვდილი ვარ, ვოლფი, სიკვდილი! და შენ ჩემს გამო დაასრულებ შენს ბოლო ნაწარმოებს! მე დაგეხმარები, ვოლფი!..

არა! უფალი ქმნიდა მას ჩემი ხელით და უფასავე ძალუძს მისი ჩემივე ხელით დასრულება!

უფალი სხვისი დახმარების გარეშე ქმნის უმშვენიერეს ქმნილებებს, ასე შექმნა მან ადამიანი, რომელიც არ დაემორჩილა მის ნებას, მასზე მაღლა მოინდომა დადგომა, უარყო ღმერთი და თავისივე თავი გამოაცხადა ღმერთად! შენც ღმერთთან გატოლება გინდა, ვოლფი, ხან გგონია, უფლის ნებით ქმნი დიდებულ მუსიკას, ხან შენივე თავი წარმოგიდგენია ღმერთად!

იქნებ ღმერთთან შერკინება გენიოსთა ხვედრია?!

მაშინ ყველა გენიოსი დაცემული ანგელოზი ყოფილა, არც ის უარყოფს სიტყვით უფალს, მაგრამ ებრძვის მას, ადამიანებსაც გინდათ ღმერთთან შერკინება, გავიწყდებათ, დაუმარცხებელია უფალი,ვერ გიმეტებთ დასაღუპავად, რამეთუ სიყვარულით სიყვარულისთვის შეგქმნათ თქვენ!

ადამიანებს შეგიძლიათ ღირსეული სიცოცხლით და ღირსეული აღსასრულით დამამარცხოთ, რათა დაიმკვიდროთ ცათა სასუფეველი, ამიტომაც მოგისაჯათ ჩემთან შერკინება მამაზეციერმა!..

ადამიანის ცხოვრება გარდაცვალებისთვის და უფლის წინაშე წარდგომისთვის მზადებაა, ღირსეულათ წარსდგება თუ ცოდვებით დამძიმებული ღმერთთან მიწიშვილი, ეს მისი არჩევანია!

ნუ შექმნი შენს უკანასკნელ ქმნილებას შენსავე სადიდებლად, ვოლფი! უბრალოდ შენს გარდაცვალებას და ახალი ცხოვრების დაწყებას მიუძღვენი მისი ჰანგები, ვოლფი! რაც უბრალოა, ეს ხომ დიდებულია, ვოლფი! მე დაგეხმარები ჩემს დამარცხებაში, ვოლფი! შენ უფლის შექმნილი, ჩემთან მორკინალი გენიოსი ხარ,ვოლფი!

... იჯდა მოცარტი ფორტეპიანოსთან, მისი ნატიფი თითები ფორტეპიანოს კლავიშებზე დაცურავდა, სულისშემძვრელი, მაგრამ საოცარი, დიდებული მუსიკის ჰანგებით ივსებოდა ოთახი და გარეთ იღვრებოდა, ცაზე სავსე მთვარეს ძალუმად უცემდა გული, ღამე ვნებიანი ქალივით თრთოდა, ცრემლებად იღვენთებოდნენ სანთელნი ნიშებში...

... უკრავდა მოცარტი - სიკვდილთან მორკინალი გენიოსი რეკვიემს და ტიროდა სიკვდილი!

ცოდვილი

რეიზა, რეიზა არ დეიქცა ის დღე, მე რომ გავჩნდი ამ ქვეყანაზე, ნეტავი, არ დავბადებულიყავი, ასეთი ბედი თუ მელოდა - ვიშვიშებდა ნათელა და თან სიმინდის ტაროებს ფხვნიდა. თუთუნის ბოლში გახვეული ბესარიონი ბუხართან იჯდა, ყალიონს ნება-ნება აბოლებდა და ბებერ ძვლებს ითბობდა, ყურადღებას არ აქცევდა ცოლის ვიშვიშს, მისი დუმილი უფრო მეტად ახელებდა ქალს.

რავა, სულ მუნჯივით ზიხარ, ყაზახო, გეინძერი პაწა! მომაწოდე მაგი კოთხო! თქვი, კაცო, რამე, ენა გადაყლაპე თუ რაფერაა შენი საქმე?! არაფერზე შენ არ ნერვიულობ! ვინცხას ნაბუშარი ხომ არ გაგვიზრდია, ჩვენი სისხლი და ხორცი გამოვზარდეთ, ლამისაა, გული გამესტკლიცოს, საცხა გადაკარგულშია ციცაი, რა უნდოდა, საბერძნეთში რომ წევიდა, თურქეთში წასულიყო, ჩამოსვლას მაინც მოახერხებდა ხანდისხან, აქვეა, ყურისძირში.

რას ბუუტურებ აბდალასავით! რა უნდა ქალს თურქეთში, ვინცხა თარაქამას დააწყებიებდა ახლა ბღლარძუნს?! - შეუტია ცოლს ბესარიონმა.

არც საბერძნეთია ნაკლები, სერგიას ბადიში ჩამევიდა ამას წინეებზე საბერძნეთიდან. ასე თქვა, რაფერც მონებს, ისთე ექცევიან ჩვენს ხალხსო.

აბა, რა ვქნა, ჩვენსავით ებაყუნებინა ახალგაზრდა ციცას ყანაში თოხი და იმით ეცხოვრა? თუ ფაბრიკა-ქარხნები მუშაობენ და მუშა-ხელს იხვეწებიან. საცხა არ უნდა იყვე, შრომა არაა თაკილი, აქანა არც კინოა, არც გასართობი, ჰაწა წყალს დაალევინებს თვალს - გულს უკეთებდა ბესო ცოლს.

დეიმდაღოს ის დღე ,ჩემმა მურმანიემ ,,მაშინა" რომ იყიდა, ხომ მეყოლებოდნენ ახლა ცოცხლები შვილი და რძალი, შეეხიდებოდნენ ციცას, უდროოდ დეიქცა ჩემზა ქვეყნიერება.

ცოლ-ქმრის საუბარში გაილია დღე, დაღამდა სოფელ შემოქმედში, ნათელამ მოათავა საქმიანობა, გვერდით მიუჯდა მეუღლეს, ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლის შუქზე, სიბნელეში, აქა-იქ გაიელვებდნენ ოთახის კედლებზე მათი ლანდები, ორივეს შვილიშვილის თამილას სახე ედგა თვალწინ. ერთი თალია შეჭოჭმანდა ბესარიონი, რაღაცის თქმა დააპირა ცოლისთვის, მაგრამ ნათელას ფიქრიან სახეს რომ შეხედა, გადაიფიქრა სათქმელი.თავის შრომისაგან დაკოჟრილ ხელებს დაცქეროდა მოხუცი, ერთ დროს ამ ნაჯაფარი ხელებით ეფერებოდა მისთვის უსაყვარლეს ბადიშს, ენატრებოდა ის ბედნიერი დღეები მოხუცს.

ეჰ, ცოდვილი შეიქნა ჩემი ნაგრამისათვის ქართული მიწა! - ფიქრობდა ნათელა და ამ ფიქრით ქმრის გულისთქმას ეპასუხებოდა.

დიმპიტაურა

ჩვენი ეპოქა ჰგავს იმ სულტანს,
რომელიც გარმყვნელი ვნებისგან უნდა დაიღუპოს,
მას ამოძრავებს ოქრო და ცინიზმი.

ბალზაკი

ბაზრის წინ ხალხს წრე შეეკრა, შუაში ძონძებშემოსილი კაცი იდგა: თმა ზღარბის ეკლებივით აბურძგნოდა, ხელებისა და შიშველი ფეხების ფრჩხილებში ჭუჭყი ჩაქვიტკირებოდა, იმოდენა წვერი მოეშვა, ადამიანი ძნელად თუ გამოიცნობდა მის ასაკს, ტანზე უსიამოვნო სუნი უდიოდა, თვალები წირპლებით ქონდა სავსე.

კაცმა უეცრად ხელები გაშალა, წრეს ჩამოუარა და ცეკვა დაიწყო: ხელებს ჰაერში გრეხავდა, ფეხებს ისე იქნევდა, თითქოს ტლინკებს ყრისო.

მიდი, დიმპიტაურ, მიდი! - უყვიროდნენ მოსეირეები და მიწაზე ხურდას უყრიდნენ.

დიმპიტაური-დამპიტაური! დამპიტაური-დიმპიტაური!.. - გაყვიროდა კაცი.

ეჰ, მაგის სიცოცხლეს რაღა აზრი აქვს აწი! - თქვა შუახნის, შარვალ-პიჯაკში გამოწკეპილმა მამაკაცმა.

მაგაი ეგრე რომ უყურებ, ორ თუმანს შოულობს დღეში ცეკვითა, აი, მე, ლამისაა, წელი გამიკავდეს ტაჭკის გორებითა ამ ტიალ ბაზარში, მაგრამა რვა ლარ ძლივ ვაკეთებ მთელი დღე! - გაეპასუხა პიჯაკიანს ზორბა კახელი. ორ თუმანს შოულობს, თორემ, ძმაო, მამა უცხონდა, ეგეც ნაღდი მოცეკვავე არა მყავდეს, ხალხის დასაცინი რომ გახდები კაცი, ეგეთი ნაშოვნი ფულის რა ვთქვი მე! - ირონიულად ჩაიცინა თავზე ბენდენაწაკრულმა ბიჭმა.

მიდი, დიმპიტაურ, მიდი! - ღრიალებდა ბრბო.

მიდი, კარგია, დავიღალე ცეკვით, დანარჩენი ხვალ!.. - განუცხადა მოზიმზიმე მოსეირეებს დიმპიტაურამ და ცეკვა შეწყვიტა.

დედაქალაქის გარეუბანში ცხოვრობდა დიმპიტაურა, მიტოვებულ, პატარა ორთვალიან, აგურით აშენებულ სახლში, სახლს არც კარი ქონდა, არც სარკმლები, საიდანღაც რკინის საწოლი მოეტანა, ზედ დაკონკილი ზეწარი გადაეფარებინა, სასთუმლად ზინტლიანი ნაჭრები დაეწყო, იქვე იდგა ერთი ხის სკამი, მაგიდა, მაგიდაზე გაქონილი თეფში, ორი კოვზი, გაბზარული სარკე და ჭრაქი იდო.

თავად ვინ იყო, საიდან მოვიდა, არავინ იცოდა, დიმპიტაურა, ეს თიკუნი ცეკვის გამო შეარქვეს, თვითონაც ამ თიკუნით ეცნობოდა ყველას.

... დიმპიტაურამ მაგიდაზე ხურდა დაყარა და გულმოდგინებით შეუდგა თვლას: თექვსმეტი ლარი იყო მისი იმ დღევანდელი მონაგარი. გახარებულმა ფული ჯიბეში ჩაიყარა და იქვე მდებარე მაღაზიას მიაშურა.

გამარჯობა, დიმპიტაურ! - მიესალმა ნოქარი და მაღაზიის მეპატრონე ზაქრო.

დიმპიტაურამ ისეთი სურნელი დააფრქვია მაღაზიაში, იქ მყოფებმა ცხვირპირზე აიფარეს ცხვირსახოცები, ნოქარმა ჩურჩულით უთხრა დახლთან მდგომ დიმპიტაურას: ვატყობ,შენ მე მყიდველს დამიფრთხობ, მხოლოდ საჭმელს რომ ყიდულობ, საპონი და წვერის საპარსი იყიდე, დაიბანე,გაიპარსე, კაცს დაემსგავსე!

ჩემი საქმისა მე ვიცი! - გაბრაზდა დიმპიტაურა და მაღაზიიდან შურდულივით გამოვარდა.

მეორე დღეს, ალიონზე, დიმპიტაურა ფეხით გაუყვა ბაზრის გზას.

როგორც იქნა, ბაზრამდე მიაღწია.

ძველ ალაგას დადგა.

მცირე ხნის შემდეგ ცეკვა დაიწყო.

არავინ მიაქცია ყურადღება.

შემდგომ დღეებშიც იგივე განმეორდა.

კუჭი ეწვოდა შიმშილისგან, აღარ იცოდა, რა გზას დადგომოდა.

ბოთლებს მოვაგროვებ, ჩავაბარებ და თავს გავიტან დროებით, მაგრამ ჩემნაირი ზღმურტლიანისგან ვინ ჩაიბარებს თუნდაც ერთ ბოთლს?! უნდა დავიბანო, წვერი გავიპარსო, თმა შევიჭრა, ფეხსაცმელი ვიყიდო, ტანისამოსი შევიძინო, ამ ყველაფრისათვის კი ფული მჭირდება - გაიფიქრა დიმპიტაურამ.

ბოლოს ზაქროსთან გადაწყვიტა მისვლა ფულის სასესხებლად.

საღამოს მაღაზიაში ესტუმრა ზაქროს.

რა იყო,ბიჭო, რა ცხვირპირი ჩამოგტირის?! - უგუნებობა შეატყო ნოქარმა სტუმარს.

მესამე დღეა, ლუკმა არ გამიღეჭავს, აღარ უნდა ხალხს ჩემი ცეკვის ყურება, ერთ თეთრსაც აღარ ინეტებენ ჩემთვის, ბოთლების მოგროვება და ჩაბარება მოვიფიქრე დროებით თავის გასატანად, მაგრამ... - აზლუქუნდა დიმპიტაურა.

ჰა, გამომართვი,ოთხასი ლარია აქ, დამიბრუნებ, ხომ კარგი, არადა, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაღოს! - ფული გაუწოდა ზაქრომ დიმპიტაურას, რომელსაც წირპლიანი თვალები შუბლზე ასვლოდა გაოცებისგან, ხელის კანკალით ჩამოართვა ფული.

ამ სიკეთეს არასოდეს დაგივიწყებ! - ესღა თქვა დიმპიტაურამ და ნოქარს გახარებული დაემშვიდობა.

... დიმპიტაურამ ნასესხები ფულით ფეხსაცმელი, თეთრეული, შარვალ-პერანგი შეიძინა, სადალაქოში თმა შეიჭრა, წვერი გაიპარსა, აბანოში დაიბანა და ახალ სამოსში გამოეწყო.

სარკეში ჩაიხედა: უცხო ადამიანი უმზერდა სარკიდან.

ბაზარში შეიარა.

ნაცნობ ვაჭართან მივიდა.

გამარჯობა!

გაგიმარჯოს!

ვერ მიცანი? - კითხა ვაჭარს.

ვერრა... - დაიბნა ვაჭარი.

დიმპიტაურა ვარ! - ამაყად თქვა დიმპიტაურამ.

ვა, შენა?! - გაოცდა ვაჭარი ახალგაზრდა, სიმპატიური დიმპიტაურას დანახვაზე.

ჰო,მე ვარ!.. - გაიღიმა დიმპიტაურამ.

დიმპიტაურა მოვიდა, ხალხოოო! - დაიყვირა ვაჭარმა.

სხვა ვაჭრებმა დახლები მიატოვეს და დიმპიტაურა რკალში მოაქციეს.

ბიჭო, მართლა დიმპიტაურა ხარ? - შეეკითხა კახელი მეტაჭკე.

ის არის, ისა!... - დაიძახა ერთმა.

აბა, ძმაო, თუ ნამდვილად დიმპიტაურა ხარ, დაუარე შენებურად ლეკური!

აბუქნდი ერთი!

მიდი,მიდი!..

აყაყანდა ბრბო.

დიმპიტაურას ძველი ცხოვრება ნახმარი ხელსახოცივით გადაეგდო და სხვა ადამიანად ქცეულიყო, ღირსებასა და თავმოყვარეობას გაეღვიძა მასში, წრე გაარღვია და უცებ გაეცალა იქაურობას.

სახლში მისული იმ წამსვე საწოლზე წამოწვა და ფიქრებს მიეცა, მალე ჩაეძინა განერვიულებულს.

საოცარი სიზმარი ეზმანა: საქართველო პატარა მოედნის ხელა გამხდარიყო, მის გარშემო წითელი ფერის საღებავით წრე შემოეხაზათ, მოედანზე ჩოხებში გამოწყობილი ქართველები ტლინკაობდნენ, ყირაზე გადადიოდნენ, ჯამბაზობდნენ, წითელ ხაზზე მოსეირეები ჩამწურივებულიყვნენ და სხვადასხვა ენაზე უყვიროდნენ მოტლინკავეებს, ხარხარებდნენ და ხურდებს ისროდნენ მათკენ. გაოცებული იყო დიმპიტაურა, მოედანზე მყოფნი, ყველანი მასზე უარეს დიმპიტაურებად ქცეულიყვნენ.

ს ტ ა ტ ი ე ბ ი

დ ი დ ი ვ ა ლ ო დ ი ა

ამ წერილს ცოტა უცნაურად დავიწყებ, ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი მონაკვეთიდან. ზაფხულობით, სასკოლო არდადეგებზე, ორ თვეს რომ მამულეთსა და დედულეთში დავისვენებდი, აგვისტოს თვე უცილობლად მამიდასდან უნდა გამეტარებინა გურიის სოფელ ჭანჭათში, ასე რომ,ბავშვობის არცთუ მცირე ნაწილი სწორედ ამ სოფელში მაქვს გატარებული. მამიდა ამ სოფელში გოგუაძის გვარის კაცზე იყო გათხოვილი. ულამაზესია სოფელი ჭანჭათი, გარს შემოჯარული ზვიადი მთებით, ტყეებში მოჩუხჩუხე ნაკადულებით, საკალმახიას ფრიად დიდებული ჩანჩქერით. 1987 წელი იდგა, თოთხმეტი წლის ვიყავი მაშინ, ძალზედ ცნობისმოყვარე ბავშვი. იმ ზაფხულსაც მამიდასთან ვისვენებდი, საბჭოთა კავშირში ახალი დაწყებული იყო ე. წ. გორბაჩოვისეული ,,გარდაქმნა," ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული საქართველოში ეროვნული მოძრაობა, არც ზვიად გამსახურდიასა და არც მერაბ კოსტავას შესახებ ვიცოდი რაიმე და არც ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე ყველასათვის ნაცნობი საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის თაობაზე მსმენოდა რამე.

ერთ დღეს მარიამობაზე სუფრა გაიშალა მამიდას ოჯახში, ჩემი მამიდაშვილი, რომელიც ნადირობის მოტრფიალეა, როგორც მონადირეთა უმეტესობას, მასაც ჩვევია ნადირობის ამბების მოყოლა სუფრაზე და მცირედი ტრაბახი მის სანადირო თავგადასავლებზე. იმ სუფრაზეც დაიწყეს ნადირობის ამბების მოყოლა. რა თქმა უნდა, ჩემი მამიდაშვილიც ჩაერთო ამ საუბარში. მანაც საკმაოდ იტრაბახა სხვებთან ერთად. სუფრა რომ მორჩა, მამიდაჩემის მეუღლემ, ბიძაჩემმა, ასეთი რამ უთხრა შვილს სიცილით, რომ გამომიჭედეთ ყურები ამ თქვენი ტრაბახით, თქვენც არ მყავდეთ ახლა ვალოდია გოგუაძესავით ჩუბინი მსროლელებიო. იქვე მყოფს რატომღაც დამაინტერესა, ვინ იყო ვალოდია გოგუაძე, რომელიც ნათესავი მეგონა ბიძაჩემის და მიამიტურად ვკითხე - გივი ბიძია, ვინ არის ვალოდია გოგუაძე-მეთქი? ვალოდია მაგარი კაცი იყო, ბიძიაო, ჩაეღიმილა ბიძაჩემს. უცებ მამიდა წამოიენთო სავარძლიდან, ნუ უსმენ,შვილო, მაგას, მაგარი კაცი კი არა, ჯიბიდან გავარდნილი ფირალი იყოო. მერე დარიგებაზე გადავიდა, თუ გიყვარვარ,მამიდა შემოგევლოს, ეგ სახელი და გვარი არავისთან არ წამოგცდეს, არც სკოლაში ბავშვებთან და არც მასწავლებლებთან, საერთოდ დაივიწყეო. შემდგომში,როდესაც საცნაური გახდა ჩემთვის ამ კაცის ბიოგრაფია, მივხვდი, რატომაც შეეშინდა მამიდას, არ მეთქვა არსად მისი სახელი და გვარი და რატომ მონათლა იგი ფირალად.

სამწუხაროდ, დღესაც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არცთუ ხშირად ახსენებენ ვალოდია გოგუაძეს. ახალგაზრდობის უმეტესობამაც არაფერი იცის მის შესახებ, ამიტომაც გადავწყვიტე, ეს წერილი მივუძღვნა ამ დიდებულ პიროვნებას.

სწორედ ზემოთ ნახსენებ უმშვენიერეს სოფელში, ჭანჭათში, დაიბადა ვალოდია (ვლადიმერ) გოგუაძე. 1880 წელს, უღარიბესი გლეხის მრავალშვილიან ოჯახში. ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი, 11წლისა, ოჯახს რომ შეხიდებოდა, მოჯამაგირედ მუშაობდა, ახალგაზრდობისას კი მუშად ბათუმის ქარხნებში. 1900 წელს მეფის არმიაში გაიწვიეს. მსახურობდა ოდესასა და მანჯურიაში, ხოლო 1903 წლიდან, სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ, მუშაობა განაგრძო ბაქოს რკინიგზაზე.აქ ჩაება იგი რევოლუციურ მოძრაობაში, მეთაურობდა რაზმებს,1904 წელს გახდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, შემდგომში მენშევიკური პარტია, მაგრამ ამ პარტიის წევრთაგან განსხვავებით, ვალოდია მყარად იდგა ეროვნულ ფესვებზე. იგი მონაწილეობას იღებდა 1905-1907 წლების რევოლუციაში, ამავე დროს რევოლუციის პერიოდში მომრავლებულ ყაჩაღებსა და ავაზაკებს ვალოდია გოგუაძე მკაცრად დევნიდა და უსწორდებოდა ბაქოში თავისი რაზმელებით (შემდგომ გურიაშიც). სწორედ ბაქოში შეარქვეს მას ,,დიდი ვალოდია." მანვე ჩამოაყალიბა ჯავშნოსანი მატარებლის რაზმი, რომლის შემადგენლობაშიც 80 კაცი

ირიცხებოდა. 1917 წლის 11-12 დეკემბერს გვარდიის დახმარებით აიღო თბილისის არსენალი, რამაც საფუძველი დაუდო ქართული შეიარაღებული ძალების ფორმირებას, ხოლო რუსეთის 200 ათასიანი ჯარი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის ფრონტიდან ბრუნდებოდა ეშელონებით, თბილისს აარიდა და აზერბაიჯანში გადაიყვანა. ის ასევე მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში 1918 წელს და იბრძოდა საბჭოთა წითელი საოკუპაციო არმიის წინააღმდეგ 1921 წელს.

ესაა მცირე ბიოგრაფიული ექსკურსი ამ დიდებული კაცისა, წარმოდგენა რომ შეექმნას მასზე მკითხველს. ახლა კი იმ მთავარ სათქმელს მივადექი, რიც რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ცოტამ თუ იცის, განსაკუთრებით ჩვენი მომავალი თაობა მყავს მხედველობაში, რომ ვალოდია გოგუაძის დამსახურეება,1918 წელს, საქართველოს ულამაზესი და ძირძველი კუთხეების, აჭარა-გურიის თურქეთის ოკუპაციისაგან დახსნა.

1917 წელს ბრესტ-ლიტოვსკში გამართულ საზავო კონფერენციაზე ბოლშევიკურმა რუსეთმა ხელი მოაწერა გერმანიის მხრიდან წამოყენებულ თითქმის ყველა პირობას,რითაც საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი თურქეთს მიეკუთვნა, თურქეთის არმია ამ ტერიტორიების დასაკავებლად დაიძრა, სასწრაფოდ შეიკრიბა ეროვნული საბჭო, სანამ საბჭოზე სოციალ-დემოკრატთა წევრები,რომლებიც, უმრავლესობას წარმოადგენდნენ ,სამარცხვინოდ მსჯელობდნენ, დაეცვათ აჭარა თურქთა ანექსიისაგან, თუ ბათუმში მიტინგი ჩაეტარებინათ და ასე ემცნოთ ,,ცივილიზებულად" თურქეთისთვის საბჭოს სურვილი, ამასობაში ოსმალებმა ბათუმი აიღეს, ქართული შენაერთები სამარცხვინოდ გამოიქცნენ ბათუმიდან და ქალაქი მტერს შეატოვეს, მხოლოდ ჯავშნოსანი მატარებლის მეთაური ვალოდია გოგუაძე არ გამოქცეულა ქალაქიდან. მაშინ კი იკადრეს სოციალ-დემოკრატებმა და თურქეთთან ომი ამჯობინეს ,,ცივილუზებულად" მოგვარებას.

1918 წლის 1 აპრილს გენერალი გიორგი მაზნიაშვილი ერთი ეშელონით,რომელიც სამტრედიაში იდგა ,ჩოლოქისაკენ დაიძრა, თურქები კი, უკვე ქობულეთისკენ მოიწევდნენ. ვალოდია გოგუაძე ქობულეთში მიბრუნდა ჯავშნოსანი მატარებლით,თურქები ცრუ ინფორმაციით მოატყუა, რომელიც მათივე ე. წ. მეგობრების პირით შეატყობინა, თითქოს ხალხი საზეიმო დახვედრისთვის ემზადებოდა, ამიტომ მათთვის ეცლიათ და შემდეგ უიარაღოდ შემოსულიყვნენ ქალაქში, როგორც ურჯულო ქრიტიანებისგან განმათავისუფლებლები, მანამდე გოგუაძეც წავიდოდა და ხალხი არ დაზარალდებოდა.

თურქები მოტყუვდნენ. გოგუაძე დილით ჩაქვში ჩავიდა,სადგურის საგუშაგო ასეული პირწმინდად გაანადგურა, ქართველი ტყვეები დაიხსნა და 3-4 აპრილს კიდევ ორი საბრძოლო გასვლა განახორციელა ქობულეთსა და ოჩხამურში გენერალ მაზნიაშვილთან ერთად.

ამასობაში სოციალ-დემოკრატებმა კეთილი ინებეს და რეზერვში ჩაეწერნენ. მაზნიაშვილმა რეზერვი პოზიციებზე განალაგა, თურქები ზღვიდან გურია-აჭარის ქედამდე ორი გზით შეძლებდნენ წამოსვლას, რკინიგზის გზით ზღვის სანაპიროს და სოფელ ლიხაურისაკენ მთის გასწვრივ. თურქ ასკერთა 7 ათას კაციანი გალიპოლის დივიზია ამ დროს ჩოლოქის ხიდთან იყო დაბანაკებული და შეტევისთვის ემზადებოდა. მაზნიაშვილმა არასაკმარისი ძალების არქონის გამო გოგუაძეს შესთავაზა, მდ. სუფსის იქეთ დაეხიათ, ვალოდია ჯავშნოსანით არიერგარდში ჩამდგარიყო, რათა მტრის უცაბედი თავდასხმისაგან დაეცვა ჯარი, ისინი სუფსას გადალახავდნენ,გოგუაძეს კი ყველა ხიდი უნდა აეფეთქებინა და შეერთებოდა მათ. ვალოდიამ კი, პოზიციაში შევიჭრები მტრის და გავანადგურებო, რაც მაზნიაშვილმა იუარა, მაგრამ გოგუაძემ დაარწმუნა იგი,რომ არიერგარდში მტრის ალტილერია იოლად გაანადგურებდა.

საბოლოოდ შეთანხმდნენ, გოგუაძე 80 კაცით უნდა შებმოდა 7ათას თურქ ასკერს!

ეს იყო აუღწერელი გმირობა გოგუაძისა და მისი რაზმისა!

მეორე დღეს დილით ჯავშნოსანი გოგუაძემ ტყიდან გაშლილ ადგილზე გააჩერა და თეთრი ალამი აღმართა, ვითომ მტერს ნებდებოდა, მანამდე კი, გააფრთხილა რაზმელები, ალამს რომ ჩამოწევდა, ცეცხლი გაეხსნათ მტრისთვის.

თურქები საფრებიდან ამოვიდნენ და მატარებლისკენ გაემართნენ ყარყაშით.

ახლოს რომ მიუახლოვდნენ, გოგუაძის ნიშანზე ქართველებმა ტყვიამფრქვევებიდან მტერს ცეცხლი გაუხსნეს. თურქები ჯერ დაიბნენ, მაგრამ შემდეგ გონს მოეგნენ, საფრებს მიაშურეს და გამგელებით შემოუტიეს, მაგრამ გოგუაძეის მებრძოლთა ცეცხლს მაინც ვერსად გაექცნენ. თურქებმა ალტილერია დაიხმარეს, ჯავშნოსნის წინა ვაგონი რელსებიდან გადავიდა, ხოლო დასავლეთიდან მოსული ათასეულით მოწინააღმდეგემ საბოლოო იერიში მიიტანა ჯავშნოსანზე. მაზნიაშვილთან დასახმარებლად კაცი აფრინა გოგუაძემ, მაგრამ იგვიანებდა მაცნე, იფიქრეს დაიღუპაო ალბათ და ვალოდიას ერთი გამისავალიღა დარჩა: პროქსილისაგან დამზადებული ბომბის აფეთქება და გარდაუვალი დაღუპვა, ვინემ მტრის ტყვეობაში ჩავარდნა. გოგუაძემ პულტს ხელი დააჭირა ბომბის ასაფეთქებლად, მაგრამ საბედნიეროდ მტრისგან ნასროლ ტყვიას ღილაკიდან ნაღმამდე გამავალი მავთული გაწყვეტილი ქონდა, ამას ისიც დაერთო ზედ, რომ მაცნე კი არ დაღუპულიყო, არამედ

მაზნიაშვილამდე მიეღწია და მაზნიაშვილიც დამხმარე 400 კაციანი რაზმით გამოჩნდა ბრძოლის ველზე. თურქები შეშინდნენ და ქობულეთისკენ გაიქცნენ...

ჩოლოქის ბრძოლა უკვე გარდამტეხი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქართველებს საბოლოოდ განედევნათ თურქები აჭარა-გურიიდან. საბჭოთა ოკუპაციის შენდეგ, ვალოდია გოგუაძე, ეს მართლაც საარაკოდ მამაცი და გმირი მებრძოლი ემიგრაციაში აღესრულა საფრანგეთში და დაკრძალულია ლევილში. მას შვილი არ დარჩენია, მაგრამ დარჩა მისი გმირობა და სამშობლოსადმი ერთგულება ჭეშმარიტ ქართველთა გულებში!

ლევილის დედა

წინა წერილში შეგნებულად არ ვისაუბრე ვალოდია გოგუაძის მეუღლეზე - ნამეტია ბერძენიშვილზე, რადგან ცალკე მსურდა მასზე საუბარი. საქართველოს ისტორიაში ყოფილან ქალები, რომელთაც მტერიც და მოყვარეც გაუოცებიათ თავიანთი გმირობითა და უდრეკი სულით. მათ შორის ერთ-ერთია ნამეტია ბერძენიშვილი. როდესაც მისი გმირი მეუღლე მებრძოლებს აგროვებდა თურქებთან საბრძოლველად და ქართველ ვაჟკაცებს ,,სამშობლოსათვის უეჭველ სიკვდილზე ეპატიჟებოდა". პირველი, სწორედ, ნამეტია ბერძენიშვილი იყო, რომელიც უშიშრად დადგა ჯავშნოსან მატარებელზე ქმრისა და მებრძოლთა

გვერდით მამულის დასაცავად!

შემდგომ იყო ემიგრაცია საფრანგეთში, აქაც, უცხოეთშიც თავგამოდებულად იღწვოდა იგი თავისი სამშობლოსათვის, არჩეული იყო ლევილის მამულის გამგედ, მისი თაოსნობითა და დაუღალავი შრომით შეგროვდა თანხები, რისი მეშვეობითაც ქართულმა ემიგრაციამ შესძლო მიწის შეძენა და კეთილმოაწყო ლევილის ქართული სასაფლაო, სადაც ადგილობრივმა კომუნამ ქართველ ემიგრანტებს საფრანგეთის სხვა ქალაქებში დაკრძალული ქართველების დასაფლავების ნება დართო, შემდგომში ლევილში სხვა ევროპის ქალაქებში დასაფლავებული ქართველებიც გადაასვენეს, ამიტომაც შეარქვეს მას ლევილის დედა და სრულიად სამართლიანადაც!

გიორგი წერეთელი მასზე წერდა, თუ რატომ სცემდნენ ამ დიდებულ ქალბატონს ეგზომ დიდ პატივს ქართველი ემიგრანტები:

ა) ლევილის სასაფლაოს შეძენისათვის გამოჩენილი მისი თაოსნობა;

ბ) მსოფლიოში გაფანტული და დაშლილი ჩვენი ემიგრაციის შემკრები და შემაკავშირებელი როლის თამაში მისგან;

გ) უცხოეთში დაბადებულ ახალგაზრდებში მისგან დანერგილი დედობრივი სიყვარული;

დ) ლევილსა და მის შემოგარენში მცხოვრებ ფრანგებში მისი დიდი პოპულარობა.

ცნობილია ექვთიმე თაყაიშვილის წერილები ნამეტიასადმი გაგზავნილი. ამ წერილებიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ბრწყინვალე ქალბატონი ეკონომიურად ეხმარებოდა ძალზედ შეჭირვებულ ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესს,"აწ უკვე წმინდანად შერაცხულ ექვთიმეს.

ასევე, მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მოგონებები, რომელიც ვალოდია გოგუაძემ ემიგრაციაში დაწერა და შემდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანელ ფაშისტთა საფრანგეთის ოკუპაციისას ხელნაწერები ცეცხლში ჩაყარა დასაწვავად, ნაწილის გადარჩენა შეძლო ნამეტიამ, რომელშიც ასახულია 1890-1919 წლები და პარიზში ქართულად გამოსცა 1963 წელს წიგნად. მან მეუღლესთან ერთად შეძლო უცხოეთის ცის ქვეშაც შეექმნა ნამდვილი სამაგალითო ქართული ოჯახი და ერის, სამშობლოს, ქართველი ემიგრანტების წინაშე ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან 1988 წელს ღრმად მოხუცებული და მიებარა მისი თაოსნობითვე შეძენილ ლევილის მიწას თავის სათაყვანებელ სამშობლოზე სევდით მოფიქრალი.

ძველი აღთქმა
სიბრძნე ზირაქისა
თავი მეცამეტე

1. ვინც ფისს შეეხება, გაისვრება და ვინც ამპარტავანს დაუახლოვდება, მას დაემსგავსება.

2. ნუ ასწევ ტვირთს, შენს ძალღონეზე აღმატებულს და შენზე ძლიერსა და მდიდარს ნუ დაუახლოვდები. რა გაუვა თიხის ქოთანს სპილენძის ქვაბთან? დაეჯახება ქოთანი და თავად გატყდება.

3. მდიდარმა უსამართლობა ჩაიდინა და თვითონვე იმუქრება; გლახაკი შეურაცხყვეს და თავად ივედრება შეწყალებას.

4. თუკი დასჭირდები, გამოგიყენებს, თუ გაგიჭირდა, მიგატოვებს.

5. თუ რამ გექნება, შენთან იცხოვრებს, დაგახარჯვინებს და თვითონ კი თავს არ შეიწუხებს.

6. თუ რამე გიჭირს, მოგატყუებს, გაგიცინებს და იმედს მოგცემს, ალერსიან საუბარს გაგიბამს და გკითხავს, ხომ არაფერი გიჭირსო?

7. შეგარცხვენს შენ თავისი გამასპინძლებით, ვიდრე ორჯერ ან სამჯერ არ გაგძარცვავს და საბოლოოდ არ იცინებს შენზე. შემდგომად ამისა, თუ დაგინახა, მოგერიდება და მხოლოდ თავსღა დაგიქნევს.

8. უფრთხილდი, რომ არ შეცდე და არ დამდაბლდე შენი სიბრიყვით.

9. როცა ძლიერი მიგიხმობს, თავი აარიდე და უფრო მიგიწვევს.

10. თავს ნუ მოაბეზრებ, რათა არ მოგიშოროს, და ნურც მეტისმეტად განუდგები, რომ არ დაავიწყდე.

11. ნუ მისცემ თავს ნებას ესაუბრო, როგორც თანასწორს, და მის მრავალსიტყვაობას ნუ მიენდობი, რადგან გრძელი საუბრით შეგაცდენს და თითქოსდა ხუმრობით გამოგცდის.

12. შეუბრალებელია საკუთარი თავის მიმართ, ვინც არ ურთხილდება სიტყვებს, თავს ვერ დაიცავს სიავისა და ბორკილებისგან.

13. გაუფრთხილდი და გულისყურით იყავი, რადგან საკუთარ უბედურებასთან ერთად დააბიჯებ.

15. ყველა ცხოველს უყვარს თავისი მსგავსი და ყოველ კაცს - თავისი მახლობელი.

16. ყოველი ხორციელი თავ-თავისი მოდგმის მიხედვით ერთიანდება და ადამიანიც თავისივე მსგავსისაკენ მიისწრაფვის.

17. რა აქვს საერთო მგელს კრავთან? ასევე ცოდვილს ღვთისმოსავთან?

18. რა მშვიდობა იქნება აფთარსა და ძაღლს შორის? რა მშვიდობა იქნება მდიდარსა და გლახაკს შორის?

19. ლომების სანადირო - გარეული ვირებია უდაბნოში, ასევე გლახაკნი საძოვარია მდიდართათვის.

20. საძულველია თავმდაბლობა ამპარტავნისათვის, ასევე საძულველია მდიდრისათვის ღარიბი.

21. მდიდარმა თუ წაიბორძიკა, მეგობრები შეაშველებენ ხელს, დაცემულ გლახაკს კი მეგობრებიც მიატოვებენ.

22. გასაჭირში ჩავარდნილ მდიდარს მრავალი შემწე ჰყავს; აბადაუბდას იტყვის და გაამართლებენ. გლახაკს გაუჭირდება და შერისხავენ; ბრძნულად იტყვის და ყურსაც არ ათხოვებენ.

23. მდიდარი ამოიღებს ხმას და ყველა დადუმდება; მის სიტყვას ღრუბლებამდე ასწევენ. გლახაკი ამოიღებს ხმას და იტყვიან: ეს ვინღა არისო? თუ წაიბორძიკებს, ზურგს შეაქცევენ.

24. კარგია სიმდიდრე, რომელსაც არ ურევია ცოდვა, სიგლახაკე ბოროტებაა უწმინდურის პირში.

25. კაცის გული სახეს შეუცვლის მას - ან სიკეთისკენ, ან ბოროტებისკენ.

26. გულის ნიშანი ბედნიერების ჟამს მხიარული სახეა და მძიმე ფიქრები იგავთა მთხზველია.



ინტერვიუ მოძღვართან

მღვდელი ვახტანგ მარგიანი

მღვდელი ვახტანგი და მისი ეპისკოპოსი კვიპრიანე II

- *დაგვლოცეთ, მამაო. გვინდა მოგმართოთ, რამოდენიმე შეკითხვით, უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. პირველ რიგში, გთხოვთ, შეფასება მისცეთ საქ. საპატრიარქოს დღევანდელ მოღვაწეობას, კერძოდ: სჯულის კანონის მიხედვით, რა რანგში განიხილება სასომხეთის არამართლმადიდებელი პატრიარქის მოწვევა და დაახასიათეთ ის მწვალებლობა რაშიც სასომხეთის ე. წ. ეკლესია იმყოფება.*

– საქართველოს საპატრიარქოს მოღვაწეობა „დიდი სჯულის კანონის“ ფონზე მხოლოდ და მხოლოდ ანტიმართლმადიდებლური და უარყოფითია. ხოლო სასომხეთის მონოფიზიტი პატრიარქის მოწვევა და მასთან საიდუმლო და საეჭვო ვითარებაში გაფორმებული „ხელშეკრულება“ დამღუპველია ქართველი ერის მომავლისათვის.

მონოფიზიტური მწვალებლობის გამო მოხდა განხეთქილება სომეხ-ქართველთა შორის VI საუკუნეში, კერძოდ 608 წელს. ეს დაფიქსირდა ისტორიაში როგორც დიდი საეკლესიო განხეთქილება ამიერკავკასიაში. ვითარება გამწვავდა მაშინდელი კათალიკოსის კირიონ I დროს.

რაც შეეხება ამ მწვალებლობას, იგი სათავეს იღებს V საუკუნიდან. 415 წელს ქ. ქალკედონში ჩატარდა IV მსოფლიო საეკლესიო კრება, რომლის განხილვის უმთავრესს საკითხს წარმოადგენდა კონსტანტინეპოლელი არქიმანდრიტის ევტიქის მწვალებლური სწავლების უარყოფა. ევტიქის მწვალებლობის არსი ის იყო, რომ იგი უარყოფდა ეკლესიის სწავლებას მაცხოვრის ორი ბუნების შესახებ – იგი აღიარებდა მასში მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას და რომ კაცის ბუნება შთანთქმული იყო ღვთაებრივი ბუნების მიერ.

ამ სწავლებას სწორედ ამიტომ ეწოდა მონოფიზიტობა (ბერძ.), რაც ნიშნავს ერთბუნებოვნებას. ამის საპირისპიროდ წაკითხულ იქნა მართლმადიდებელი პაპის ლეევის წერილი, ანუ „დოგმატი“, რომ იესო ქრისტე არის ღმერთი განკაცებული, ანუ ღმერთი და კაცი ჩვენი მსგავსი – ცოდვის გარეშე, ე. ი. ორბუნებოვნება (დიოფიზიტობა) (ბერძ. ორი ბუნება) – ქრისტოლოგია, რომლის თანახმადაც იესო ქრისტეში თანაბრად აღიარებულია ორი ბუნება – ღვთაებრივი და ადამიანური, რომელიც შეერთებულია „შეურწყმელად, უცვლელად, განუყოფლად და განუყრელად.“ თუკი გადავხედავთ ისტორიას ეს მწვალებლობა

(მონოფიზიტობა) სათავეს იღებს არიოზისაგან და ოფიციალურად ორ მსოფლიო საეკლესიო კრებაზეა დაგმობილი, ხოლო საერთო ჯამში თითქმის ყველა მსოფლიო საეკლესიო კრება გმობს და შეაჩვენებს ამდაგვარ სწავლებას.

აი, რა დოგმატური ცდომილების სწავლებას მისდევს დღეს სომეხთა ეკლესია. „დიდი სჯულის კანონით“ და წმინდა მამათა ეპისტოლეებით თუ განწესებებით ამდაგვარი მოძღვრებანი ექვემდებარებიან ერთს – „დაწვას“, ვინაიდან, როგორც წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი აღნიშნავს „ვინც კითხულობს ცრუმოძღვრების წიგნებს, ის აუცილებლად ხდება ეშმაკის თანაზიარი.“

ასე რომ საქართველოს საპატრიარქოს მიერ მოწვევა „პატრიარქ გარეგინის“ 2011 წლის ივნისში, მისი საპატიო დახვედრა, ერთობლივად სანთლების ანთება სამების სახელობის ტაძარში, თუ სხვა ტაძრებში და სომეხ მონოფიზიტებთან გაფორმებული ხელშეკრულება არის ყოვლად მიუღებელი, ვინაიდან, როგორც ვხედავთ, არა გვაქვს მართლმადიდებლებს უფლება ამდაგვარ მწვალებლებთან გათანაბრებისა, ან რაიმე სახის თანამშრომლობისა.

- *შეიძლება თუ არა მწვალებლების მართლმადიდებლურ ტაძრებში შეყვანა, მათთან სანთლების დანთება, ან მწვალებლებთან სტუმრად მისვლა და მათ ტაძრებში შესვლა თუნდაც თანალიტურგიის ფაქტს არ ჰქონდეს ადგილი, ან მათთან მეგობრობა თუა გამართლებული წმინდა ეკლესიის სწავლებით?*

ლიტურგიაც რომ არ ჩატარდეს, არ შეიძლება ერეტიკოსთან ერთად სახლში ლოცვაც კი და მათ შესაკრებელში შესვლა სალოცავად. (მოციქულთა კრების 45-ე, 65-ე, ლაოდიკიის კრების 33-ე კანონები), მწვალებლებს არა აქვთ ღმრთისმსახურებაზე დასწრების ნება, ღმრთის სახლში შესვლის ნება. თუ ისინი ისევ მტკიცედ არიან ერესის მიმდევრები. (ლაოდიკიის კრების მე-6 და მე-9 კანონები). არ შეიძლება მათგან მსხვერპლის მიღება. (მოციქულთა კრების 37-ე კანონი), არ შეიძლება სიარული ერეტიკოსთა სასაფლაოზე ან მოწამეთა ადგილებად წოდებულ საწამებლებში, რომლებიც განკუთვნილია სალოცავად განსაკურნებლად. (ლაოდიკიის კრების მე-9 კანონი), არ შეიძლება მათთან ქორწინებით შეუღლება, გარდა იმ შემთხვევისა თუ ისინი დადებენ პირობას რომ გადავლენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე. (IV მსოფლიო კრების მე-14, VI მსოფლიო კრების 72-ე, ლაოდიკიის კრების მე-10, 31-ე, 72-ე, კართაგენის კრების 21-ე კანონები).

- *საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციები ხშირად დადიან რელიგიურ ფორუმებზე და იქ განიხილავენ მსოფლიოში მშვიდობის, რელიგიური ექსტრემიზმის და სხვადასხვა საკითხებს. აქვს კი მართლმადიდებელ იერარქებს თუნდაც „კეთილი საქმის“ მომიზეზებით მწვალებლებთან თანამშრომლობის და ერთობლივი ქადაგეგების უფლება?*

დაუშვებელია მწვალებლებთან ერთობლივი რელიგიური ფორუმების ჩატარება. საქართველოს საპატრიარქო მწვალებლებთან ისევ აგრძელებს რელიგიურ ფორუმებში მონაწილეობას რელიგიური ექსტრემიზმის, მშვიდობის და სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. მწვალებლებნი ანათემას არიან გადაცემული, და მეგობრობა კი არა მათი მხილება შეიძლება და მათთვის ჭეშმარიტი სარწმუნოების ქადაგება მოსაქცევად, ისიც, ერთხელ ან ორჯერ და მესამედ უნდა განეშორო.

- *ხშირად ვხედავთ საპატრიარქოში კავკასიის მუსლიმთა რელიგიურ ლიდერს შუქურ ფაშა ზადეს და სხვა ერეტიკულ კონფესიათა ლიდერებს. საეკლესიო სამართლით თუ შეიძლება მართლმადიდებელმა პატრიარქმა და მისმა სინოდის წევრებმა ასეთი რამ მოიმოქმედონ და ხალხს მისცენ ქრისტიანული სიყვარულის სახელით ასეთი მაგალითი?*

საქართველოს საპატრიარქოსთან გახსნილია საკორდინაციო საბჭო, სადაც მუსულმანები, ბაბტისტები და საქართველოში არსებული სხვადასხვა სექტის ლიდერები ქართველ ეკუმენისტ იერარქებთან მართავენ საეჭვო მოლაპარაკებებს, დროს ატარებენ მწვალებლებთან და მეგობრობენ, და ამას აჩვევენ ერსაც და აცდუნებენ. ეს იკრძალება ეკლესიის კანონებით. იგივე კანონიკური აკრძალვები ეხებათ მუსულმანებს და სხვა კონფესიებსაც, რაც მონოფიზიტებზე უკვე მოგახსენეთ.

- *დღევანდელი ხელისუფლება შეხმატკბილებულად თანამშრომლობს საქართველოს საპატრიარქოსთან, ურიგებს მიწებს და სოლიდურ ფულად თანხებს, მანქანებს და საჩუქრებს, მაშინ როდესაც პარალელურად აშენებს მეჩეთებს, ბუდა-ბარს, კაზინოებს და აკანონებს სექტებს. ისეთი თავისუფლება მიეცათ სექტებს, რომ ბაბტისტთა სექტის ქალი „მღვდლები“ ქადაგებენ უკვე ტელე-ეკრანებიდან. ამ დროს საეკლესიო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო „სინოდი“ იფარგლება რაღაც კულუარული ჩუმი პროტესტებით. სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე?*

დღევანდელი (ასევე წინამდებარე ხელისუფალნიც) უხვად ასაჩუქრებენ საქართველოს ეკუმენისტური ეკლესიის იერარქებს, მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება ამის შესახებ. მოგეხსენებათ ქართულ პრესაში უკვე ხშირად იბეჭდება მამხილებელი მასალები, სადაც ასახულია საქართველოს სასულიერო პირთა სამარცხვინო საქმიანობის შესახებ. სამწუხაროდ ქართული ეკლესიის სათავეში მოხვდა მიწიერი ფუფუნებით დაინტერესებული პიროვნება – პირველიერარქი (პატრიარქი), რომელსაც ხელისუფლების მხრიდან ყოველმხრივ ხელი შეუწყვეს რომ წარმავალი კეთილდღეობით გაეტარებინა ცხოვრება წმინდა წერილისა და „დიდი სჯულის კანონის“ უგულვებელყოფით. მან კი თავისი მსგავსნი განამრავლა სინოდში და ტაძრებში. რა თქმა უნდა, შეხმატკბილებულად თანამშრომლობენ, ხელისუფლების საჩუქრები ნიშნავს იმას, რომ საპატრიარქო უნდა დუმდეს, რათა დაუბრკოლებლად შენდებოდეს მეჩეთი, ბუდა-ბარი, კაზინო, სექტანტობაც აღმავლობის გზაზე დადგა-დაკანონდა, და ეს ხდება, საკუთარი სამშობლოს ან ღმერთის ღალატის ხარჯზე. ამას კი დიდი უბედურება მოჰყვება.

- *ქართულმა ტელევიზიამ ხელისუფლების ზეწოლით და დემოკრატიის სახელით ათასი გახრწნილების და რაც უფრო დიდი უბედურებაა მამათმავლობის ქადაგებას მიჰყო ხელი და როდესაც ერის ნაწილი თუნდაც პოლიტიკოსები ამას აპროტესტებენ, საეკლესიო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ამ შემთხევავშიც დუმს და აცხადებს რომ ეკლესია არის ერის გამაერთიანებელი და არ შეიძლება ხელისუფლებასთან დაპირისპირება. მიეცით შეფასება, კანონით რა უნდა მოიმოქმედოს პატრიარქმა და სინოდმა, როდესაც ხელისუფლება ასე რყვნის ერს...*

საქართველოში დღევანდელი ხელისუფლების სამსახურში მყოფი ტელევზია თუ ინფორმაციის სხვა საშუალებები მართლაც რომ გარყვნილების, უზნეობის და ანტიადამიანრობის პროპაგანდისტია. ხელისუფლებამ და მისმა მომხრე საზოგადოებამ მოახდინეს გარყვნილებისა და უზნეობის ლეგიტიმაცია და ეს ყოველივე დემოკრატიის, თავისუფლების და ადამიანის უფლებათა დაცვის საბურველში გაახვიეს. დაუინებით ეწევიან ამერიკის და ევროპის გარყვნილი ცხოვრების წესის ქადაგებას. თანამდეროვე დასავლეთი (ევროპა) თავისი საიდუმლო საზოგადოებებითა და „ეზოთერიზმით“ მატარებელია გოეთეს სულისკვეთებისა, რომელიც საჯაროდ აცხადებდა, თუ როგორ სძულს შხამიანი გველის მსგავსად ოთხი რამ: თამბაქოს კვამლი, ბაღლინჯოები, ნივრის სუნი და „ჯვარი“.

- ხალხს შეაგონებენ ევროპასთან ინტეგრაციის დიდ უპურატესობაზე, რათა მატერიალური და პოლიტიკური მოწყობის სიკეთენი მივიღოთ, მაგრამ შეგნებულად მალავენ, რომ სანაცვლოდ მამა-პაპათა სარწმუნოებაზე, ეროვნულ ღირებულებებზე და ზნეობრივ ტრადიციებზე მოგვიწევს უარის თქმა. დღითი დღე ვხედავთ ევროპიზაციის შედეგებს, რა საბედისწერო სულიერ დაცემა-გადაგვარებასთან გვაქვს საქმე, რაც ერის დაღუპვის ტოლფასია. საქართველოს აყალიბებენ კოსმოპოლიტურ ქვეყნად, ევროპული გამხრწნელი იდეების საზოგადოებად, სადაც უღმერთობა და უზნეობა უნდა ნიშნავდეს „ცივილურობას, თავისუფლებას და პროგრესს“. ასე რომ მამათმავლობა და ერთი სქესის ქორწინება მალე ჩვენს ქვეყანაშიც „დაიკავებს ადგილს“. მოგეხსენებათ, რომ ერთი სქესის ქორწინების ლეგალიზაციამ მთელი კაცობრიობა მოიცვა. მსოფლიოს შემდეგ ქვეყნებში ლეგალიზებულია ერთი სქესის ქორწინება: ნიდერლანდებში 2011, ბელგიაში 2003, ესპანეთში 2005, კანადაში 2005, ნორვეგიაში 2009, შვეიცარიაში 2009, პორტუგალიაში 2010, ისლანდიაში 2010, არგენტინაში 2010, დანიაში 2012 წლებში. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ამერიკის კონტინენტზე. ასე, რომ, ევროპაში ინტეგრირებული საქართველო ახლო მომავალში ჩადგება სოდომისტური მსოფლიოს მოწინავეთა რიგებში. პატრიარქი და სინოდი მოწოდების სიმაღლეზე რომ იდგეს ანათემას უნდა გადასცეს (შეაჩვენოს) ამდაგვარი მთავრობა თუ საზოგადოება, და ასეთი ხელისუფლებისგან მიწებს, მილიონებს და ჯიპებს საჩუქრად კი არ უნდა იღებდეს...

- *ხალხი დღევანდელ ხელისუფლებას ადანაშაულებს, (რა თქმა უნდა სამართლიანად), სექტების დაკანონებასა თუ სხვა უსჯულოებაში, ხოლო პატრიარქს და სინოდს, რომელიც სექტების დამკანონებელ ღვთისმბრძოლ ხელისუფლებასთან მეგობრულად თანაშრომლობს და მწვალებლებთან ლოცულობს, მათ აკერპებს. განვიმარტეთ, რასთან გვაქვს საქმე.*

კარგია, თუ ხალხი დღევანდელ ხელისუფლებას ადნაშაულებს სექტების დაკანონების შესახებ, მათი ხელშეუხებლობის და მათთან თანამშრომლობის გამო, მაგრამ სამწუხაროდ იმას ვერ ხვდებიან, რომ საპატრიარქო სათანადო სიმაღლეზე რომ იდგეს ხელისუფლება ამას ვერ მოახერხებდა. ეს მიუხვედრელობა კი გამოწვეულია იმით, რომ ერის დიდი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის, ტრაგიკულად მოკლებულია წმინდა ეკლესიის ღვთისმეტყველების და სამართლის ცოდნას. არ იცის ეკლესიის მნიშვნელობა და დანიშნულება. გამომდინარე აქედან მხოლოდ შეხედულებებით შემოიფარგლება და გაკერპების მსხვერპლიც ამიტომ ხდება. ასე რომ, საქმე სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს.

სამწუხაროდ, ასეც გვექნება ღვთისმბრძოლი ხელისუფლებისა და მწვალებლობაში ჩავარდნილი საპარტიარქოს ხელში. წინა პლანზე უნდა წამოიწიოს მართლმადიდებელი ეკლესიის უცდომელი სწავლების თაყვანისცემამ და არა ამ სწავლების დამრღვევი ეკუმენისტური იერარქიის გაკერპებამ. ასევე საჭიროა ბრძოლა, რომ მართლმადიდებლობა გამოცხადდეს სახელმწიფო რელიგიად.

- *ქართულ ეკლესიაში გაბატონებული დღევანდელი უსჯულოებიდან გამომდინარე აშკარაა რომ აუცილებელია რუის-ურბნისის დარი საეკლესიო კრების მოწვევა, მაგრამ ამ უღვთო ხელისუფალთა პირობებში, როდესაც ერთი ღვთისმებრძოლი „შობს“ მეორე ღვთისმბრძოლს, ეს წარმოუდგენელია, როგორ გესახებათ ჭეშმარიტი საეკლესიო კრების მოწვევა, გაგვიზიარეთ ამაზე თქვენი მოსაზრებები.*

ქართველის ერის თუ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი ტრაგედია ისაა, რომ ის დიდი მონაპოვარი ავტოკეფალიის აღდგენისა, რომელიც გადმოგვეცა 1917 წ. 12 მარტს ჩვენი დიდი წინაპარი მღვდელმთავრების, თუ საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილის მეშვეობით ვერ შევინარჩუნეთ სიწმინდეში.

სამარცხვინო და სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია, საუკუნე ხდება და საქართველოში არ გამოჩნდა ხელისუფალი, რომელიც მართლმადიდებლობას სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადებდა (პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას არ ვგულისხმობ, მან ეს უბრალოდ ვერ მოასწრო). მაგ. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას აღფრთოვანებული შეხვდა საქართველოს კათალიკოს პატრიარქი კირიონ III საძაგლიშვილი და ამასთან დაკავშირებით გოლოვინის გამზირზე საზეიმო პარაკლისი გადაიხადა, ხოლო მის მიერ წარგზავნილ წარმომადგენელს, რომელიც შეეკითხა საქართველოს დროებითი მთავრობის თავჯდომარეს სემინარიის წარჩინებულ კურსდამთავრებულს ნოე ჟორდანიას, თუ რა ფორმით მოეხსენიებინა ლოცვებში ახალი მთვარობა, მან ცინიკურად უპასუხა: „სულაც არ მაინტერესებს როგორ მომიხსენიებს მე თქვენი ეკლესია“. ასე გახდა წვრილმანი ინტრიგების მსხვერპლი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, შედეგმაც არ დააყოვნა და დღემდე მართლმადიდებლობა განყენებულია და გათანაბრებულია ცრუ-რელიგიებთან.

გამონაკლისია საქართველოს პირველი მართლმადიდებელი პრეზიდენტი ზ. გამსახურდია. მე ვარ უშუალო მოწმე ასეთი ფაქტისა: ზ. გამსახურდიამ 1991 წლის მაისში წმ. შიო-მღვიმის მონასტერში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების სურვილი განუცხადა პატრიარქ ილია მეორეს. მაგრამ ზ. გამსახურდიას ამ უდიდესი საქმის განხორციელებაში თავად ილია მეორემ და მისმა ერთგულმა იერარქიამ შეუშლა ხელი.

რაც შეეხება რუის-ურბნისის მსგავსი კრების მოწვევას, ეს უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ამ ხელისუფლებისა და სექტების დაკანონების პირობებში ეს ძალიან ძნელია.

მე პირადად მესახება 4 ვარიანტი:

1) როგორც ისტორიული პრაქტიკა გვიჩვენებს საეკლესიო მსოფლიო კრებებს იწვევდნენ მორწმუნე მეფეები (იმპერატორები), ამიტომ ჩვენც უნდა ვიზრუნოთ მორწმუნე ეროვნული კანონიერი ხელისუფლების აღდგენაზე და მან უნდა მოიწვიოს საეკლესიო კრება და გამოაცხადოს მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად;

2) რომ იყოს ვთქვათ ჭეშმარიტი პატრიარქი, მაშინ იგი არ დაემორჩილებოდა ღვთისმრძოლ მთავრობას და ყველა მის ანტიეკლესიურ დადგენილებებს უარყოფდა, ბათილად ცნობდა, მოიწვევდა საეკლესიო კრებას და სჯულის კანონის დისციპლინას განამტკიცებდა ტაძრებში, მაგრამ ახლა პირიქით ხდება – ერთად თანამშრომლობენ;

3) სამღვდელოების თვითლიკვილდაციის ანუ დაუმორჩილებლობის ხარჯზე. სხვათაშორის ამ ფორმას მიმართეს ჩვენმა სერბმა ძმებმა ახლო წარსულში გასული საუკუნის 90-იან წლებში და უდიდესი როლი შეასრულეს სერბეთის ეკლესიაში, ზნეობრიობისა და სარწმუნოების სიწმინდის დაცვაში;

4) შეგახსენებთ გონივრულ ქართულ ანდაზას „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“. ქართველ ერს აქვს უფლება პერმანამენტული საეკლესიო პროტესტის მშვიდობიანი ფორმებით (აქციები, რეფერენდუმი, ხელმოწერები) მეშვეობით მოითხოვოს და აიძულოს საპატრიარქო საეკლესიო კრების მოწვევაზე...

- *არა მხოლოდ საქართველოს ოფიციალური ეკლესია, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ოფიციალური მართლმადიდებლად წოდებული ეკლესია ჩავარდნილია მწვალებლობაში, იმ დონემდე, რომ საჯაროდ აცხადებენ, რომის პაპის საყდარი (კათოლიციზმი) უნდა სცნონ „დაი ეკლესიად“, რას ფიქრობთ, რა მოელის კაცობრიობას ამის გამო.*

დიახ, როგორც საქართველოს ოფიციალური ეკლესია ასევე მსოფლიოს ყველა მართლმადიდებლად წოდებული ეკლესია ჩავარდნილია მწვალებლობაში, (ფორმალურად გამოსულია საქართველოსა და ბულგარეთის ეკლესიები).

ყველა ეს ეკლესია წევრია სექტების მსოფლიო ორგანიზაციის „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსი“. იუდას ცოდვით დაცემული ეს იერარქიები მონაწილეობას იღებენ ყველა ჯურის მწვალებლებთან თვით სატანიზმის ადეპტებთანაც ერთობლივ ლოცვებში. გამომდინარე აქედან ამ ცრუ მართლმადიდებელთა საჯარო განაცხადი, მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ანათემას გადაცემული რომის პაპის (კათოლიციზმის) „დაი ეკლესიად“ ცნობის შესახებ, ეს არის მათი საშინელი ღალატის და მწვალებლობის დადასტურება.

უფალი მოგვიწოდებს, რათა არ დავდუმდეთ, როცა სარწმუოება საფრთხეშია. „დაღათუ ესენი დუმდნენ, ქვანი ღაღადებდენვე“ (ლუკა 19,40). ხშირად გავიგონებთ, „ნუ განიკითხავ“, „მღვდელი ხომ არ ვარ განვიკითხო“ „მე არ მეხება სარწმუნოებაზე საუბარი, ეს საქმე სასულიერო პირთა პრეროგატივაა“ და ა.შ. წმ. თეოდორე სტუდიელი ბრძანებს „ვაი რომ ქვანი ღაღადებენ, შენ კი სდუმხარ და არაფერს ზრუნავ“. წმ. მამათა განმარტებით მღვდელისგან იქნება თუ ერისკაცისგან, რწმენის დაცვის საკითხებზე დუმილი ღალატის ტოლფასია.

- *დაახასიათეთ დღევანდელი მსოფლიოს გლობალიზაციის პროცესები, როდესაც ერთიანდება მსოფლიო რელიგიური თუ პოლიტიკური ნიშნით. დაიწყო მრავალ ქვეყანაში ადამიანთა „დაჩიპვა“ მარჯვენა ხელზე, როგორ ფიქრობთ, რა ჟამამდე მიგვიღწევია...*

რაც შეეხება მსოფლიო გლობალიზაციას, ეს მასონობის (ანტიქრისტეს) უპირველესი ამოცანაა. მისი საბოლოო მიზანია განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიისა ერთი მსოფლიო მთავრობის მმართველობის ქვეშ გააერთიანოს ყველა სახელმწიფო და მოიცვას ადამიანთა ცხოვრების ყველა სფერო: რელიგია, ოჯახი, სკოლა, განათლება, მეცნიერება, მწერლობა, კულტურა, პოლიტიკა, პრესა, ტელევიზია და საბოლოოდ ეს ყველაფერი მზადდება იმისთვის, რომ ქრისტეს მარადი მტრის ანტიქრისტეს გამეფებისას დაუმორჩილოს მის ძალაუფლებას ყველა და ყველაფერი. ამერიკის შეერთებული შტატების შექმნისა და ევროპის გაერთიანების შემდეგ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს „მსოფლიო შეერთებული შტატების“ შექმნისათვის. ეროვნული სახელმწიფოები უნდა განადგურდნენ, რელიგიური განსხვავებაც უნდა მოისპოს და ერთი სახელმწიფოს და ერთი რელიგიის (ანტიქრისტეს რელიგიის) მეუფება უნდა დამყარდეს. ეს ყველაფერი ჩვენს თვალწინ დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს.

რომის პაპი გამოსახავს ეშმაკის რქებს, ეს არის სატანისტების მიმართვის ფორმა, „სატანური მისალმება” – ოკულტისტთა და სატანის აღმსარებელთა ერთობის ნიშანი. მათი, ერთი იდეისა და ერთი ორგანიზაციისადმი კუთვნილების სიმბოლო

- *საგანგაშო ფაქტებს გადმოსცემენ ყოველდღიურად საინფორმაციო საშუალებები: ყინულოვანი სივრცეების დნობის შესახებ, სტიქიური კატასტროფები არნახულ მასშტაბებს აღწევს, ბუნებაც კარგავს თავის სახეს, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე?*

-

დიახ, მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები საგანგაშო ფაქტებს გადმოსცემენ ყოველდღიურად, ყინულოვანი სივრცეები დნება, სტიქიური კატასტროფები არნახულ მასშტაბებს აღწევს. დაძაბულობა დღითი-დღე მატულობს, იზრდება მსოფლიო ომის მოსურნეთა რიცხვი, და რამოდენიმე ქვეყნის დაპირისპირება უკვე მოახერხეს. მესამე მსოფლიო ომი გლობალიზაციის გასაიდუმლოებული გეგმაა. დღევანდელი ვითარება მოცემულია მათეს XXIV და ლუკას XVII სახარებათა თავებში. მიზეზი იგივეა, რაც 324 წელს ქრისტეშობამდე იყო – ღმერთისაგან საყოველთაო განდგომა.

ღმერთმა ნოეს პირით 120 წლის ვადა მისცა ცოდვილ სამყაროს, რომ მოქცეულიყვნენ ღვთის მორჩილებისკენ. მაგრამ ხალხმა ყურად არ იღო და უფრო „ძლიერ განიხრწნა და აღივსო უსჯულოებით“. ამიტომ ღმერთი იძულებული გახდა არა მარტო ცოდვილი ადამიანები, არამედ მცენარეები და ცხოველები და მთელი დედამიწა წყლით გაენადგურებინა.

ნოეს უბრძანა მისი ოჯახის მხსნელი კიდობნის გაკეთება, სადაც შეიყვანა ნოემ ოჯახობა, ცხოველნი და ფრინველნი წყვილ-წყვილად. აღსანიშნავია, რომ კიდობნის კარები თვითონ ღმერთმა დაკეტა გარედან.

მაშ როგორ ფიქრობთ, განა ადვილი იყო ნოესთვის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეშენებინა კიდობანი და დაეთმინა თანამოქალაქეთა დაცინვა და შეურახყოფა ამის გამო, მაგრამ ნოე უყოყმანოდ ასრულებდა ღვთის ბრძანებას და ერთგულად მსახურებდა მას.

და აი დადგა დრო, როდესაც დაიწყო ძლიერი წვიმა, 40 დღე-ღამის განმავლობაში, ზღვები, ტბები, მდინარეები გადმოვიდნენ ნაპირებიდან, 150 დღე მატულობდა წყალი და დაფარა მთელი ქვეყნიერება. მერე კი გაეკიდა ცოდვილი მოსახლეობა ნოეს, რომ დახმარებოდა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

დღესაც იგივე მდგომარეობაა ცოდვილ პლანეტაზე, იმ განსხვავებით, რომ კიდობანი დღეს მართლმადიდებელი ჭეშმარიტი ეკლესიაა (და არა ეკუმენისტური ცრუ ეკლესია) და საჭიროა მისი მორჩილება, რათა გადარჩეს და ცხონდეს ადამიანი, თავი შემოიზღუდოს იმ დიდი განსაცდელისა და უბედურებისაგან, რომელსაც უფალი მალე მოუვლენს ცოდვილ კაცობრიობას.

ღმერთის სურვილი არაა კაცობრიობის განადგურება, მაგრამ ცოდვილი კაცობრიობა უკვე მზადაა მისი მტრის ანტიქრისტეს მისაღებად და თვითგანადგურებისთვის. ანტიქრისტეს მიზანია კაცობრიობის მარადიული სიკვდილი და ჯოჯოხეთი, ამიტომ მაქსიმალურად ეცდება, რაც შეიძლება დიდი ნაწილი დაღუპოს კაცობრიობისა, ანუ დაღუპოს ადამიანი, რომელიც ღმერთმა თავის მსგავსად და ხატად შექმნა. გამომდინარე ამ ყოველივედან, ადამიანის გადარჩენის ერთადერთი გზა არის „ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა“!

ღმერთმა დაგლოცოთ!

ამინ!

ქრისტეს აღდგომა და მისი ნაყოფნი ხსნისა

აღდგომა ქრისტესი - ჩვენი ქრისტიანული, მართლმადიდებელი სარწმუნოების ეს გვირგვინი და საფუძველი - არის ის პირველი, უმთავრესი და დიადი ჭეშმარიტება, რომლის ხარებითაც იწყებდნენ მოციქულები ქადაგებას სულიწმიდის გარდამოსვლის შემდგომ

ქრისტეს სიკვდილით აღსრულდა ჯვარზე ჩვენი გამოსყიდვა და მისივე აღდგომით გვებოძა მარადიული ცხოვრება. ამიტომაც არის ქრისტეს აღდგომა ეკლესიის მუდმივი დღესასწაული, დაუდუმებელი ზეიმი, რომელიც თავის მწვერვალს ქრისტეს აღდგომის წმიდა დღეს აღწევს:

„ქრისტე აღდგა, გიხაროდენ!“ (აღდგომის კანონი).

აი, ქრისტეს აღდგომის გამომხსნელი ნაყოფნი:

ა. ჯოჯოხეთსა და სიკვდილზე გამარჯვება;
ბ. ზეციურ წმიდანთა ნეტარება და ზეციური ეკლესიის არსებობის დასაწყისი;
გ. სულიწმიდის გარდამოსვლა და ქრისტეს ეკლესიის შექმნა დედამიწაზე.

ჯოჯოხეთსა და სიკვდილზე გამარჯვება

სამოთხის დაკარგვის შემდგომ ადამიანი ორი ფორმით შეიძლება არსებობდეს, ესენია: მიწიერი ანუ ხორციელი და საიქიო ცხოვრება.

მიწიერი ცხოვრება სხეულის სიკვდილით მთავრდება. სული ხორციელი სიკვდილის შემდგომაც არსებობს, მაგრამ მისი საიქიო მდგომარეობა, საღვთო წერილისა და ეკლესიის მამათა სწავლებით, ყველასთვის ერთნაირი არ არის.

ძე ღვთისას დედამიწაზე მოსვლასა და მის მკვდრეთით აღდგომამდე მიცვალებულთა სულები ღვთისგან განგდებულნი, განკიცხულნი იყვნენ და ბნელეთში, ჯოჯოხეთში, ქვესკნელში (ებრ. შეოლ) მკვიდრობღნენ (შესაქ. 37,35).

იქ ყოფნა ჰგავდა სულიერ სიკვდილს, როგორც ძველი აღთქმის ფსალმუნში ვკითხულობთ: „არა არს, ვინ სიკუდილსა შინა მოგიხსენოს შენ, ანუ ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ“ (ფს. 6,5).

ჯოჯოხეთში იყვნენ დამწყვდეულნი ძველი აღთქმის მართალთა სულები, რომლებიც მაცხოვრის ამა სოფლად მოსვლის იმედით ცხოვრობდნენ.

როგორც პავლე მოციქული განმარტავს ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-11 თავში: ისინი სიკვდილის შემდეგ მოუთმენლად ელოდნენ თავიანთ გამოსყიდვასა და გათავისუფლებას.

ასე გრძელდებოდა ქრისტეს აღდგომამდე, ახალი აღთქმის დადგომამდე.

„და ესე ყოველნი იწამნეს სარწმუნოებით და არღა მოიღეს აღნათქუემი იგი, რამეთუ ღმერთმან ჩუენთვის უმჯობესი წინაჯსწარ განიგულა, რაჯთა არა თჳნიერ ჩუენსა სრულ იქმნენ“ (ებრ. 1,39-40).

ჩვენი გამოხსნა მათი გამოხსნაც იყო.

ჯვარზე სიკვდილის შემდგომ ქრისტე თავისი კაცობრივი სულითა და ღვთაებრივი ბუნებით ჯოჯოხეთს ჩავიდა.

იმავდროულად მისი სხეული საფლავში განისვენებდა. მან ჯოჯოხეთის ტყვეებს გადარჩენა ახარა და ძველი აღთქმის ყველა მართალი ზეციური სამეფოს ნათელ სავანეებში აიყვანა9.

ამის შესახებ ვკითხულობთ პეტრე მოციქულის პირველ ეპისტოლეში: „რამეთუ ქრისტემანცა ერთ გზის ცოდვათა ჩუენთათჳს ივნო, მართალმან მან ცრუთათჳს, რაჯთა ჩუენ

წარგუადგინნეს ღმრთისა, მოკუდა ხორცითა და ცხოველ იქმნა სულითა, რომელთაცა საპყრობილესა მას სულითა მივიდა და ქადაგა...“ (I პეტ. 3,18-19)

და შემდგომ: „რამეთუ ამისთჳს ეხარა მკუდართა, რაჲთა ისაჯნენ კაცობრივ ხორცითა და ცხონდნენ ღმრთისა მიერ სულითა“ (I პეტ. 4,6).

იმავე საკითხზე მსჯელობს პავლე მოციქული და თან ფსალმუნის მუხლს იშველიებს: „აღხედ მაღალსა, წარმოტყუენე ტყუე და მოიღე ნიშები კაცთა შორის“ (ფს. 67,19), „ხოლო „აღსლვაჲ-იგი“ რაჲ-მე არს, არა თუ ესე, რამეთუ შთახდა იგი პირველად ქუესკნელთა ქუეყანისათა? რომელი გარდამოხდა, იგივე არს, რომელი ამაღლდა ზედა ყოველთა ცათა, რაჲთა აღავსნეს ყოველნი“ (ეფ. 4,8-10).

წმ. იოანე ოქროპირის სიტყვებით: „ჯოჯოხეთში ჩასულმა უფალმა დაატყვევა, განაქარვა, წარტყვევნა, მოკლა, დაამხო და შეკრა იგი“10.

ჯოჯოხეთის კლიტეთა დამტვრევით და ჯოჯოხეთის გარდუვალობის განქარვებით თავად სიკვდილის ძალა განადგურდა:

ჯერ ერთი, მართალთათვის იგი გახდა მხოლოდ „მიწიერიდან ზეციურში“ უკეთეს ცხოვრებაში, ღვთის სასუფევლის ნათელში დასამკვიდრებლად გადასასვლელი.

მეორეც, ხორციელი სიკვდილი ჩვენთვის დროებით მოვლენად იქცა, რადგან ქრისტეს აღდგომით საყოველთაო აღდგომისაკენ მამავალი გზა განგვეღო.

„ხოლო აწ ქრისტე აღდგა მკუდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა“ (1 კორ. 15,20).

ქრისტეს აღდგომა ჩვენი აღდგომის საწინდარია: „ვითარცა-იგი ადამის გამო ყოველნი მოსწყდებიან, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ, ხოლო თჳთოეული თჳსითა წესითა: პირველად ქრისტე და მერმე ქრისტესნი იგი მოსლვასა მას მისსა“ (1 კორ. 15,22-23). შემდეგ სიკვდილი საბოლოოდ განქარდება: „უკუანაჲსკნელ მტერი იგი განქარდეს - სიკუდილი“ (I კორ. 15,26).

ჯოჯოხეთსა და სიკვდილზე გამარჯვების შესახებ განსაკუთრებული სიხარულით გვაუწყებს წმიდა აღდგომის ტროპარი:

„ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მომნიჭებელი“.

ქრისტე, „რომელი ამაღლდა ზედა ყოველთა ცათა“ (ეფ. 4,10), ყოველივეს აღავსებს.



ჩვენ ძლიერ ხშირად გვიფიქრია ძმაო ამაზე,
როდის აღსდგება სამშობლო ჩვენი,
და დაბრუნდება კვლავ სილამაზე
თავისუფლების და აღმაფრენის.
როდის დადგება ის დღე დიადი,
როს ბორკილს შევხსნით ერს დამცირებულს,
და დაუბრმავებს თვალს განთიადი,
ჩრდილოეთის წითელ ჯალათთა კრებულს!..
და საქართველო დიდჭირნახული
გამოფხიზლდება ყველა იოგით,
ჩვენ ღვთისმშობელი გვწყალობს ხახულის
და გვიცავს მარად თეთრი გიორგი.

ზვიად გამსახურდია

„რომ შემეკითხონ, თუ ვინ უნდა გიყვარდეს უფრო მეტად, ღმერთი თუ მოყვასი, ვუპასუხებ, რომ ეს ორი რამ არ არის ურთიერთისგან განვითარებული, რადგან ღმერთი განკაცებით მოყვასად იქცა, ხოლო კაცური საწყისის, ანუ იესოს უკვდავყოფით, კი მან ღმერთად აქცია მოყვასი“

„ქრისტიანობა გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ რელიგია, უპირველეს ყოვლისა იგია ადამიანისადმი,მოყვასისადმი უსასყიდლო სიყვარული. ამიტომაცაა იგი ჰუმანისტური კულტურის ერთადერთი მასაზრდოებელი წყარო“

„შენ თუნდაც უარყო გონებით ადამიანის სულის უკვდავება, მაგრამ თუ მოყვასისადმი თავის გაწირვა ძალგიძს, თუკი სიმხდალის ან სამარცხვინო საქციელის გამოვლინებას სიკვდილი გირჩევნია, უფრო ახლოს დგახარ სულის მარადიულობის, უკვდავების გაგებასთან, ვიდრე ის, ვინც ამ იდეას გონებით აღიარებს, მაგრამ არ ძალუძს ზემოთქმულის განხორციელება“

„თუ ოდესმე რამეს ვუხსნივართ, ისევ სიყვარულის ძალას და მომავალშიც იგი იქნება ჩვენი სიმაგრე. ქართველმა ხალხმა იცის,რომ სულის სიყვარულის ძალასთან ერთად, სულის უკვდავების იდეაც მუდამ დარჩება ქართველი ხალხის ქვაკუთხედურ იდეად“

„ქართული ენა იყო და მუდამ იქნება ეროვნულობისა და სახელმწიფოებრიობის ცოცხალი სიმბოლო, ერის სულიერი ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის მასულდგმულებელი“.

მერაბ კოსტავა

ISSN 1987-7986 helsinkiunion@gmail.com

სარედაქციო კოლეგია: ნუკრი ბაღდავაძე - კოლეგიის თავმჯდომარე; ნოდარ კიკნაძე - მთავარი რედაქტორი; მალხაზ მუსერიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე; რატი გაგოშიძე - პასუხისმგებელი მდივანი; დავით კაპანაძე - საინფორმაციო და კომპიუტერული უზრუნველყოფა; რედკოლეგიის წევრები: ზაზა კორტანელი; ნინო რაზმაძე; კლარა ტონია.